

გ. ლობანიძე

ქირვლის მასივის
აღმოსავლეთ კერივერის
გეგოგოური ნაღეჭების
ცერატიზაცია

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ГЕОЛОГИЧЕСКИЙ ИНСТИТУТ

Труды, новая серия, вып. 36.

Г. П. ЛОБЖАНИДЗЕ

**СТРАТИГРАФИЯ МЕЗОЗОЙСКИХ ОТЛОЖЕНИЙ
ВОСТОЧНОЙ ПЕРИФЕРИИ ДЗИРУЛЬСКОГО
МАССИВА**

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»

ТБИЛИСИ

1972

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

გეოლოგიური ინსტიტუტი

შრომები, ახალი სერია, ნაკვ. 36

გ. ლოგიანიძე

ქიმიკის მასივის აღმოსავლეთ
პერიოდის გეზოზოები ნატექების
სტაციონარია

გამომცემლობა „მეცნიერება“

თბილისი

1972

554 (C 41)
551 . 7 (47 — 922)
ლ. 765

შრომაში გაშუქებულია ძირულის კრისტალური მასივის პე-
რიფერიის აღმოსავლეთი ნეწილის ლიასური, ბაიოსური, ქვედა და
ზედაცარცული წარმონაქმნების სტრატიგრაფია. დეტალურადაა
აღწერილი ქვედაცარცული ნალექები, რომლებმიაც ცალკეული ბი-
ოზონები არის გამოყოფილი. მნიშვნელოვანი აღგილი ქვს დათ-
მობილი საერთოდ ქვედა ცარცის სტრატიგრაფიის ზოგ სადისკუ-
სიო — კლანსეური ჰორიზონტის სტრატიგრაფიული მდებარეობის
და ქვედა და შუა აღბს შორის საზღვრის გავლების საკითხს.

რედაქტორი პ. გამყრელიძე

შესავალი

1959—1961 წლებში მომიხდა გეოლოგიური კვლევის ჩატარება ძირულის მასივის აღმოსავლეთ პერიფერიაზე. კვლევის შედეგები შეამდა საკანდიდატი დისერტაციაში „ძირულის მასივის აღმოსავლეთ პერიფერიის გეოლოგია სურა-მისა და ჯვრის უღელტეხილებს შუა“ (1965), რომელიც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს პ. გამდარელიძის ხელმძღვანელობით შესრულდა. წინამდებარე შრომა აღნიშნული დისერტაციის ერთ-ერთ ნაწილს წარმოადგენს და ქვეყნდება შემოკლებით და მცირეოდენი შესწორებით. მასში უფრო დეტალურადა განხილული მეზოზოური ნალექების სტრატიგრაფიის ის საკითხები, რომლებიც გარკვევას ან დაზუსტებას საჭიროებდნენ.

შესწავლილი რაიონი სურამის ქედის აღმოსავლეთ ფერდობზე მდებარეობს და დახლოებით სურამისა და ჯვრის უღელტეხილებზე გამავალ განედებს შუაა მოქცეული. დასავლეთი საზღვარი ზოგადად ქედის თხემს, თანხვდება, ხოლო აღმოსავლეთი საზღვარი—სოფ. აროცზე გამავალ გრძელს. იგი მოიცავს, მთლიანად ან ნაწილობრივ, ორხევის, შუაღელის (ეს ორი შეერთების შემდეგ მდ. სურამულას ქმნის), ცედანისწყლის (ტილიანის), ჭერათხევის, ლოპანისწყლისა და მეტებისწყლის ხეობებს. რაიონის რელიეფის თავისებურებას ძირითადად აღნიშნული მდინარეები და მათი გამყოფი წაბრტყელებული სერ-ბექობები განსაზღვრავს.

საქართველოს გეოტექტონიკური დარაიონების თანამედროვე სქემის მიხედვით (გამყრელიძე, 1964, 1965), შესწავლილი რაიონის ძირითადი ნაწილი საქართველოს შელტის ძირულის აზევების ზონისა და დაძირვის აღმოსავლეთ ზონის სასაზღვრო ზოლში მდებარეობს. მისი ჩრდილო-აღმოსავლეთი პერიფერიული ნაწილი ეკუთვნის ორიბა-ხრეითის აზევების ზონის ხრეითის ქვეზონას, რომელიც ზემოაღნიშნულ ზონებს ჩრდილოეთიდან ქასაზღვრება და თავისი ტექტონიკური ბუნებით გარდამავალს წარმოადგენს საქართველოს ბელტსა და კავკასიონის სამხრეთი ფერდის ნაოჭა სისტემას შორის. სამხრეთი რაიონის უშუალოდ აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემა საზღვრავს.

ძირულის კრისტალური მასივი საქართველოს გეოლოგიის მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა მუდამ და, ბუნებრივია, მის შესახებ მრავალრიცხვანი ლიტერატურა არსებობს. მასივის აღმოსავლეთ პერიფერიის მეზოზოური წარმონაქმნების შესახებ არსებული შრომების გაცნობის შემდეგ (მათი მოქლე განხილვა წინამდებარე ნაშრომის სათანადო თავებშია მოცემული) ჩვენ წინაშე დაისვა საკითხები, რომლებიც გარკვევას ან დაზუსტებას მოითხოვდა. მათში უმთავრესი იყო: 1) პალეოზოური კრისტალური სუბსტრატისა და მეზოზოური დანალექი საფარის ურთიერთდამოკიდებულების დადგენა, 2) ცარცული, უმთავრესად ქვედაცარცული ნალუქების სტრატიგრაფიის

ზოგი საკითხის დაზუსტება (მაგალითად, ვალანჯინურ-პოტრიფულის არსებობის საკითხი, ბარემული, აპტური და ოლბური ნალექების საზღვრების დაზუსტება და თვით ამ სართულების უფრო წერილ სტრატიგრაფიულ ერთეულებად — ქვესართულებად და ზონებად დანაწილება, ქვედასენომანური ნალექების არსებობის საკითხი, ალბურის და სენომანურის ურთიერთობის გარკვევა და სხვ.), 3) ბაიოსურ გულკანოგენებში არსებული ლიასური ნაჩენების ბუნების გარკვევა და ა. შ.

აღნიშნული და, ასევე, მუშაობის პროცესში წამოჭრილი სხვა საკითხების (კლანსეური პორიზონტის მდებარეობის საკითხი, ქვედა და შუა ალბს შორის საზღვრის გატარების საკითხი და სხვ.) გადაწყვეტა მოითხოვდა საველე და კამერალური კვლევის ჟარკვეული მეთოდებს გამოყენებას.

სტრატიგრაფიული ჭრილების შედგენისას შეგროვილი საქმაოდ მდიდარი ფაუნისტური მასალიდან, პროფ. მ. ერისთავის დახმარებით, შევისწავლეთ ცარცული ამონიტები, აუცელინები და ინოცერამები (განვსაზღვრეთ 74 ფორმა). მასალის დანარჩენი ნაწილი სათანადო სპეციალისტებმა დაამუშავეს. სახელდობრ, ქ. ნუცუბიძემ განსაზღვრა ლიასური ფაუნა, თ. დვალმა — ქვედაცარცული მუცელთფერიანები, ე. კოტეტიშვილმა — აპტური და ოლბური ორსაგდულანების უმეტესი ნაწილი, მ. თოფჩიშვილმა — ქვედაცარცული ბელემნიტები (პროფ. მ. ერისთავის ხელმძღვანელობით), ზ. იმნაძემ — ბარემული და აპტური მიკროფაუნა, რ. ღამბაშიძემ — ზედაცარცული ზღარბები.

პეტროგრაფიული მეთოდის გამოყენება საჭირო გახდა უმთავრესად შუაიურული და ცარცული წარმონაქმნების პეტროგრაფოლ-ფაციალური საკითხების გასარჩევად. სულ შესწავლილ იქნა 200-მდე გამჭვირვალუ შლიფი.

I. ი უ რ უ ლ ი ს ი ს ტ ე მ ა

ჩვედა იურა

ძარულის მასივის აღმოსავლეთი ნაწილის ქრისტალურ ქანებზე განლაგებული დანალექი საფარის უძველეს წარმონაქმნებს ლიასური ქანები წარმოაზენს; მასივის დასავლეთ ნაწილში გავრცელებული შროშის „ქვედა ტუფიტების“ და ჭიათურის „კვარც-პორფირული“ წყებები, რომლებიც წარსულში აღმართ მის აღმოსავლეთ და სამხრეთ პერიფერიებზეც საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული (ძოწენიძე, სხირტლაძე და ჩიჩელაშვილი, 1953, გვ. 173), ამჟამად ამ უკანასკნელ რაიონებში ზედაპირული გამოსავლების სახით არსად აღარ გვხვდება.

მასივის აღმოსავლეთ პერიფერიაზე ლიასური ნალექების გამოსავლებს წყვეტილი ხასიათი აქვს. მოლითის ჩრდილო-აღმოსავლეთით ამ ნალექების გამოსავლების პირველი უბანი სურამის რაიონში გვხვდება — სოფ. ბიჯნისის ჩრდილო-დასავლეთის მიდამოებში (მდ. ორხევსა და შუალელეს შორის).

მდ. შუალელიდან მდ. ლოპანისწყლის ხეობამდე ლიასური ნალექები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სოფ. ცედანის ჩრდილო-დასავლეთ მიღამოებში (ცედანისწყლისა და მის მარცხნიან შენაკად საკირე-ლელის კალაპოტებში) არ-სებულ ბაიოსურში მოქცეულ ნაჩენებს, არსად არ ჩანს. თვით მდ. ლოპანის-წყლის აუზში, სახელდობრ მდინარის მარჯვენა შენაკად „სევა“-ში (სოფ. ჭობთან), ფიქსირებულია ლიასური გამოსავლების მცირე, რიგით მეორე უბანი.

მასივის აღმოსავლეთ პერიფერიაზე ლიასური ნალექების გავრცელება მხოლოდ ამ აღნიშნული თარი უბნით შემოიფარგლება. მაგრამ შესწავლილი რაიონი მოცავს მასივის ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიის ნაწილსაც (სოფ. ქალა-თიდან ჯვრის უღელტეხილამდე), სადაც ლიასი უწყვეტი ზოლის სახითაა გავრცელებული.

მასალებს ლიასური ნალექების გამოსავლების აღნიშნული უბნების შესახებ ვხვდებით სხვადასხვა მკვლევრის შრომებში.

სურამის რაიონში ლიასურის არსებობა პირველად (1932 წელს) პ. გამყრელიძემ დაადგინა. მას ლიასური ნალექების გამოსავლები დატანილი აქვს გეოლოგიურ რუკაზე და ჭრილშიც. მკვლევრის ამ ხელნაწერში აღნიშნულია, რომ აქ ლიასი „წარმოდგენილია კვარციანი ქვიშაქვებით“, რომლებიც ლითოლოგიურად „არაფრით არ განსხვავდებიან შროშის კვარციანი ქვიშაქვებისაგან“ და რომ ეს ქანები მდ. ორხევისა და შუალელის წყალგამყოფზე „ტუფიტონიკურად არიან მოქცეული გრანიტებს შორის“. 1933 წელს ამავე ნალექების მოქლე დაჭასიათებას იძლევა ნ. კანდელაკი. 1958—1959 წლებში აქაური ლიასური გა-

შოსაცლების ფართობი და გეოლოგიური ბუნება დ. ჭილაურმა და მისმა თანა-
აეტორებმა დაზუსტეს.

შდ. ცენანტრულის სათავეებში გავრცელებულ ბაიოსის პორფირიტული
სერიის ქანებში ლიასური წითელი კირქვების „ალოქტონური ლინზების“ არ-
სებობა პირველად პ. უმტყელიძემ და ნ. კანდელაკმა აღნიშნეს. ბოლო მკვლე-
ფარს ამ კირქვებში ფაუნაც აქვს ნაპოვნი — „Spiriferina, Rhynchonella, Te-
rebratula და სხვ.“.

სოფ. ყობთან, „ხევა-ლელის“ კალაპოტში ლიასური ნალექების მცირე ნა-
ჩნი პირველად ს. ჩიხელიძემ (1948) შენიშნა და აღწერა.

პირველი ცნობა მასივის ჩრდილო-აღმოსაცვლეთ პერიფერიაზე, კერძოდ,
მდ. ჭერათხევის აუზის ზემო ნაწილში უშუალოდ გრანიტებზე განლაგებული
„კიმერიკის ძლიერ ქარსიანი მკვრივი, ზოგჯერ ფიქლებრივი ქვიშაქვების და
ქვიშიანი მერგელების შერენარის“ არსებობის შესახებ ს. სიმონოვიჩს მოქმოვე-
ბა (1892, გვ. 353). უდავოა, რომ მკვლევრის ამ „კიმერიკულ“ ნალექებში აწინ-
დელი ლიასური თიხა-მეგრელების წყება იგულისხმება. მდ. ლოპანისწყლის
ხეობის ლიასური წარმონაქმნები 1929—1930 წლებში ა. ფლორენსკიმ და
გ. ბარსანოვმა შეისწავლეს (1936, გვ. 12—13). ივტორებმა პირობითად ლია-
სურს მიაუთვნეს „იისფერი ფიქლების წყება“, რომელიც ხშირად შეიცავს
ტუფოგენურ შუაშრეებს, დაკავშირებულს პორფირიტულ იურასთან. აღნიშ-
ნულ გეოლოგებს სოფ. ლოპანის მიდამოებში შემჩნეული და აღწერილი აქვთ
პორფირიტულ სერიაში მოქცეულ უფრო ძველი წითელი კირქვების და არ-
კოზული ქვიშაქვების დასტაც, რომლის აქ არსებობას ისინი ხსნიან „რღვევე-
ბით და უფრო ქვედა პორფიზონტების ამოწევით“. წითელი კირქვების ასაკზე მსხე-
ლობისას ისინი უფრო ლიასურისაკენ იხებდიან, მაგრამ არ გამორიცხავენ მა-
თში ტრიასის ზედა ნაწილის არსებობასაც. მასივის აღნიშნული პერიფერიის
ლიასურის უწყვეტი ზოლის ის ნაწილი, რომელსაც საკვლევი რაიონი მოიცავს
(კვრის უღელტეხილიდან სოფ. გვირგვინამდე), საკმაოდ დეტალურად შეის-
წავლა ს. ჩიხელიძემ (1948). რამდენადმე მოვინანებით ამ ზოლის ლიასური
ნალექების ფაციალური ცვლისა და სტრატიგრაფიის საკითხები მნიშვნელოვ-
ნად დაზუსტა ი. კახაძემ (1941, 1947).

ჩვენ მიერ შესწავლილი რაიონისა და, საერთოდ, მთელი მასივის პერი-
ფერიის ლიასური ნალექებისა და მათი მკვებავი სუბსტრატის ლითოლოგია გა-
აშრებს გ. ძმწენიძემ, ნ. სხირტლაძემ და ი. ჩეჩელაშვილმა (1950; 1953). 1954
წელს მასივის ჩრდილო-აღმოსაცვლეთ პერიფერიის გეოლოგიური აგებულება
კიდევ უფრო დეტალურად შეისწავლეს ნ. კანდელაკმა, ს. ვაშაკიძემ და სხვ.
1961—1965 წლებში მასივის პერიფერიის ლიასური წარმონაქმნების სტრატი-
გრაფია და ფაუნა შეისწავლა მ. თოფჩიშვილმა (1965, 1969).

საკვლევი რაიონის ზემოაღნაშნულ უბნებში ფიქსირებული ლიასური ნა-
ლექები ლითოლოგიურ-ფაციალური ხსნათით და, შესაძლოა, ასაკობრივადაც
საგრძნობლად განსხვავდება ერთმეორისაგან.

მდ. ორხევსა და შუაღელეს შორის ლიასური NW—SO მიშართების
ორი რღვევით არის გაწყვეტილი (იხ. გეოლ. ჩუკა), რის გამოც ლიასი ამ უბან-
ში სამი იზოლირებული გამოსაქლის სახით არის წარმოდგენილი. პირველი გა-
მოსაჟალი გვხვდება მდ. ორხევის შუა წელის აუზში (სოფ. ჩუმათელეთიდან
ზემოთ დაახლოებით 2,0 კმ შემდეგ) და ძირითადად წარმოდგენილია საშუალო-
და წვრილმარცვლოვანი მაგარი კვარციანი, მინდერის შპატ-კვარციანი, ქარს-

კვარციანი და კვარციტის ებური ქვიშაქვებით. უკანას კნელი განსაკუთრებით დიდი რაოდენობით (საბადის სახით) არის განვითარებული ორხევის მარცხენა შენდებული ჯრმაღლების ხევში, სადაც ლიასური ნალექები დაახლოებით 700 მ სი-გრძეზე გვხვდება. მაკროსკოპულად ქანი მორუხო ლია ფერისაა, მკერივი, წმინ. დამარცხლოვანი. მიკროსკოპულად იგი შედგება ტალღური ჩაქრობის მქონე კვარცის დაკუთხული, ზოგჯერ დაკბილული მარცხლებისაგან და მცირე რაოდენობით (10-15%-მდე) პლაგიოკლაზის მასალისაგან. კვარციტის ებური ქვიშაქვების საბადო ბრმაღლებში, ვთიქრობ, პრაქტიკული შნიშვნულობისაა და მომაფალში პრეციალურად უნდა იქნას შესწავლილი.

მდ. ორხევის მარცხენა მხარეზე, მისი მთავარი განტოტების აღგილიდან ქვემოთ 50 მ დაშორებით, ლიასურის ფუტებში კარგად ჩანს საშუალოქვარგვა-ლიანი კონგლომერატი, რომლის შემაღლებელი მასალა მასივის კრისტალური ქანებით არის წარმოდგენილი. ცემენტი უხეშმარცხლოვანია, მიკროკონგლომერატული ბუნების. კონგლომერატის შრის სისქე 15 მეტრზე ტეტია.

უნდა აღინიშნოს, რომ ორხევში ლიასური ნალექების გამოსავალი როულ გეოლოგიურ პირობებშია. მათი პირველი ნაჩენი ჩრდება მდინარის მარცხენა მხარეს, მარცხენა შენაკად ვაშლაფერდისლელის შესაჩთავიდან ზემოთ 700 მ შემდეგ. აქედან ზემოთ ლიასის იშვიათი ნახენები დაახლოებით 200 მეტრზე შეიმჩნევა მხოლოდ. შემდეგ კი, მდინარის გასწურიც 180—200 მ სიგრძეზე, ბაიოსის პორფირიტული და წვრილმარცხლოვანი ტუფოგენი ქანებია განვითარებული, რომელთა სამხრეთ ნაწილში ჩანს ალბათ შრეებრივობა: დაქ. NW 330°, <70°. 60 მეტრი საგრძის ხარვეზი და შემდეგ სუვ ლიასური ქვიშაქვები გამოჩნდება, რომლებიც ზემოთ 900—950 მ მანძილზე (მთავარ განტოტებამდე) შეიმჩნევა. ამ ინტერვალის სამხრეთ ნაწილში, დაახლოებით 280 მ სიგრძეზე, შრეების განლაგება ასეთია: დაქ. SO 140°—SW 210°, $\angle 50$ —60°. ამას შემდეგ ფრგად ჩანს შრეების გადალუნვა ჩრდილოეთისაკენ (ანტიკლინის თაღი), რომლის ზემოთაც 400—450 მეტრზე მათი წოლის ელემენტებია: დაქ. NNO 10—40°, $\angle 25$ —30°. ბოლო 200 მეტრიან მონაკვეთზე განლაგების ელემენტები არ იზომება, მაგრამ აქაც შრეები, ეტყობა, სუვ ჩრდილოეთისკენ უნდა იყოს დახრილი.

ზემოთ მოყვანილი აღწერილან ჩანს, რომ ორხევში გრანიტოიდებს შორის მოქცეული ლიასური (და ბაიოსური) ნალექები ორ პატარა ნაკვე — სინკლინს და ანტიკლინს აგებს და არა სამხრეთისაკენ დახრილ მხოლოდ მონოკლინს, როგორც ამას აქამდე აღნიშნავდნენ.

ბევრად უფრო კარგად არის გაშიშვლებული რღვევებს შორის მოთავსებული ლიასური გამოსავალი მდ. ორხევისა და შეუაღელის წყალგამყოფზე და იმ ქედზე, რომელიც ამ წყალგამყოფს 1154 მ ნიშნულის აღვილას გამოეყოფა და სამხრეთ-სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით სოფ. ბიჯნისამდე მოემართება. აღნიშნულ უბანში პალეოზურ გრანიტოიდებზე განლაგებული ლიასური ნალექების აღმავალი ჭრილი, ჩემი და მ. თოფჩიშვილის ერთდროული დაკვარცვებებით, ასეთია:

1. კონგლომერატი, რომელიც შუა და ზედა ნაწილებში ლინზების საჭით მახვილ- და საშუალომარცხლოვან ქვიშაქვებსაც შეიცავს. კონგლომერატული მასალა კარგად არის დამტკრალებული. ქანის შემაღლებელი ქვარგვალები, რომელთა დაამეტრი ზოგჯერ 20—30 მ სმ აღწევს წარმოდგენილია პალეოზოური გრანიტოიდებით, მიკროკვარტიტებით, მეტამორფული ფიქლებით, კვარცორფიტიებით, ალბიტოფიტებით და სხვ. (კარბობს კვარცორფული ქანების მასალა). ისინი შეცემენტებულია ძირითადად უხეშმარც-

ლოვანი არყოზული მასალით. კონგლომერატის უშუალო შეხება გრანიტოდებთან არ ჩანს. სისქე 10—15 მ-ზე ნაკლები არ უნდა იყოს (ზუსტად არ იშომება).

2. 130—135° მიმართულებით (გზის გასწვრივ), დაახლოებით 30 მ სიგრძეზე მსხვილ მარცვლოვანი კვარციანი ქვიშაქვები (გრაულიტები), საშუალო- და წვრილებარვევალიანი კონგლომერატების ლინზებით. განლაგების ელემენტები არც აქ ჩანს. სისქე — 20—25 მ.

იგივე მიმართულებით, დაახლოებით 80 მ მანძილზე, ხარვეზია გაშიშვლებაში (ნორმლური სისქე 50—60 მ) და შემდეგ

3. ღია ფერის საშუალო- და მსხვილმარცვლოვანი (თოთქმის გრაულიტური ბუნების) ჰარეზადი კვარციანი ქვიშაქვები. შრები ყირაზე დგას. 5,0 მ. ხარვეზი 20,0 მ.

4. საშუალო- და წვრილმარცვლოვანი (იშვიათად) კვარციანი ქვიშაქვები, გადაწოლილი სამხრეთისაკენ, დაქ. NW 320—330°, \angle 60—75°. სისქე 7,0—7,5 მ.

5. ღია ფერის (მოვარდისფრო-მონაცრისფრო) წვრილ- და იშვიათად საშუალომარცვლოვანი შრეებზოგადი კვარციანი ქვიშაქვები, 5,0 მ.

SO 160° მიმართულებით (ჩელიეფის დახრა 4,50) 50 მ. სიგრძეზე ხარვეზი. ~ 45 მ.

6. ღია ფერის მსგავსი კვარციანი ქვიშაქვები. 10—12 მ.

7. ღია ფერის საშუალო- და იშვიათად მსხვილმარცვლოვანი კვარციანი ქვიშაქვები, რომელშიც მცირებ რაოდენობით ქარსის ქერცლები შეიმჩნევა. 7,5 მ.

რუხი ფერის (ზოგადად) ალევრიტულ-პარმიტური კვარციან-ქარსიანი ქვიშაქვები მუქი ვერსაუბრებით (ცენტრული ნაშენებით). 8—10 მ.

ხარვეზი ~ 15—20 მ

8. საშეალომარცვლოვანი შრეებზოგი (0,05—0,10 მ-დან 0,5—0,7 მ-მდე) კვარციანი ქრისტალები. ზრები აქაც სამხრეთისაკენაა გადაწოლილი (სურ. 1): დაქ. NW 330—350°. დენენგის კუთხე აღმავალ ჭრილში თანდათნ კლებულობს, ე. ი. გადაწოლა ამ მიმართულებით (სამხრეთ-სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ) მატულობა.

დასრულ სრული თანდათანი გადასვლით (ფაციესთა ჭიდილით) მოპყვება




სურ. 1. სამხრეთისაკენ გადაწოლოლი ლიასური კვარციანი ქვიშაქვები
სოფ. ბაჯნისის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ქედზე

10. მონაცრისფრო (მომწვანო ელფერით) ფიქლებრივი არაკარბონატული თახოვანი ქანი არგალიტები), ქვედა ნაშილში. საშუალომარცვლოვანი კვარციანი ქვიშაქვების შუაშერებებით, ლინზებით, კონკრეციებით და მკვრივი ნაცრისფერი წვრილმარცვლოვანი ქვიშანი კირქვების ლინზებით. უკანასკნელებში შეიმჩნევა ცუდად დაცული ორსაგდულიანება (Lima?). ხილული სისქე 5,5 მ.

მოვაკებულ რელიეფზე სამხრეთი მიმართულებით, დაახლოებით 70 მეტრზე, ხარვე-ზია გაშიშვლებაში (სისქე 40—45 მ) და შემდეგ, დაღმართის დასაწყისში, გამოსავალს იძლევა

11. ბაიოსური წყების ლავური მეავე ქანი (ორთოფირი).

აღწერილი ჭრილის (სურ. 2) 1—9 დასტები, რომელთა სისქე 220—250 მ ფარგლებშია (ხარვეზების გათვალისწინებით)¹, ფურძის ფორმაციას მიეკუთ-ვნება. მე-10 დასტის ქანების არსებობა აქამდე ამ რაიონში შემჩნეული არ ყოფილი (ისინი ფაციალურად ახლოს დგანან მასივის ჩრდილო-აღმოსავლეთ პე-რიფერიის ლიასურ ნალექებთან). ანალოგიური თიხოვანი ქანები განვითარებული უნდა იყოს 10-სა და 11-ს შორის არსებულ დაფარულ შუალედშიც.



სურ. 2. ლიასურის ჭრილი სოფ. ბიჭნისის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ქედზე
 1 — გრანიტოდები (პალეოზიური); 2 — კონგლომერატი კვარციანი-ქვიშა-
 ქვების ლიზებით; 3 — მსხვილმარცლოვანი კვარციანი ქვიშაქვები
 წვრილ- და საშუალოკენზიანი კონგლომერატების ლიზებით; 4 — წვრილ-
 და საშუალომარცლოვანი კვარციანი ქვიშაქვები; 5 — კვარციან-ქარ-
 სიანი წვრილმარცლოვანი ქვიშაქვები; 6 — თიხოვანი ქანები; 7 — ორ-
 თოფირი (ბაიოსური?).

ამგვარად, სოფ. ბიჭნისის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ქედზე ლიასუ-
 რი ნალექების სისქე 270—300 მეტრს შეადგენს.

ცუდად გაშიშვლებული ლიასურის მესამე (200-ოდე მ სიგრძის) გამო-
 სავალი მდებარეობს მდ. ორხევის მარცხნა განტოტება „ზავოდის“ ღელეში,
 ჩრდილო რღვევის NNO ბაგეში. ნალექები წარმოდგენილია მუქი ნაცრისფე-
 რი (შავამდე) კვარციანი ქვიშაქვებით და ალევროლიტებით, რომელებშიაც შუა-
 შრეების სახით 5-დან 30 სმ-მდე სისქის შავი ფერის ნახშირიანი ფიქლებიც
 მონაწილეობს. უკანასკნელებში ზოგჯერ მნიშვნლოვანი რაოდენობითაა (15—
 20°-მდე) გრაფიტისებური მასალის ჩანაწინულები და ქერცლები. ხშირად ნახ-
 შირბადი დაკრისტალუბულია. გრაფიტის ამ „საბადოს“ 1905—1907 წლებში
 კერძო პირები ამუშავებდნენ. ალ. თვალჭრელიძემ და გ. სმირნოვმა 1924 წელს
 მაღანქამოვლინება უარყოფითად შეაფასეს.

1 გამორიცხული არა, რომ ჭრილი გართულებული იყოს ტექტონიკური ქერცლებით.

დ. ჯილაურისა და თანავეტორების მონაცემებით (1939, გვ. 244) „ზავოდის“ ღელეშიც ლიასის ჭრილი იწყება უშუალოდ გრანიტოიდებზე განლაგებული 5—6 კ სისქის კონგლომერატით, რომელშიაც გრანიტოიდული ქანებისა და კვარცის დამრგვალებული კენჭების დიამეტრი 1,5—2 სმ-მდე აღწევს. ჩვენი-დაკვირვებით, ამ ღელეში ლიასის შეხება პალეოზოურ სუბსტრატთან არ ჩანს (დაფარულია). მიუხედავად ამისა, კონგლომერატის აქ არსებობა საეჭვო არაა, ვინაიდან მისი საკმაოდ მტკიცედ შედულაბებული ლიაზი (ნაყარის სახით) კარგად ჩანს ღელის კალაპოტში, თვით ლიასური ნალექების გამოსავლების ფარგლებში.

მიყვანილი ფაქტიური მასალიდან ჩანს, რომ მდ. ორსევესა და შუალელეს შორის ლიასი ტრანსგრესიულად, კონგლომერატით ფუნქში, არის განლაგებული პალეოზოურ გრანიტოიდებზე და ძირითადად ბაზალური ნალექებითაა წარმოდგენილი; უფრო ზედა შრები (ქარსიანი ქვიშაქვებისა და არგილიტების), ზხოლოდ როვევებს შეუა არსებულ გამოსავალში, სოფ. ბიჭისის ჩრდილო-და-სავლეთით მდებარე ქედზეა შემორჩენილი.

ნალექების ზუსტი ასაკის შესახებ რამდე გარკვეულის თქმა ჯერჯერობით არ ხერხდება. მათი სინკრონული წარმონაქმნები, წარმოდგენილი ოგივე ფარიესოთ, განვითარებულია მასივის სამხრეთ, სამხრეთ-დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ პერიფერიულ ნაწილებში (საკვლევი რაონის ფარგლებს გარეთ), მაგრამ კონგლომერატებისა და კვარცინი ქვიშაქვების დასტაში სახელმძღვანელო ფაუნა არ არის ნაპოვნი და ამიტომ მისი ასაკის შესახებ არსებული მოსაზრებები მხოლოდ სტრატიგრაფიული მდებარეობის საფუძველზეა. გამოთქმული. ი. გახაძის მიხედვით (1947, გვ. 49), მოცემული კონგლომერატები და კვარცინი ქვიშაქვები განიხილება როგორც შეუა ლიასის ფუძის წარმონაქმნები და უნდა მოჰკუთვნოს პლინსბაზურ სართულს. ქ. ნუცუბიძესაც (1962, 1964) გამართლებულად მიაჩნდა ამ ნალექების პლინსბაზურად დათარიღება, მაგრამ იგი არ გამორიცხავდა მათში ქვედა ლიასის ნაწილის არსებობასაც. ციტირებული ავტორები თავიანთი შეხედულების დასასაბუთებლად აღნიშნავენ, რომ შროშის მიღამოებში ფუძის ნალექებზე თანხმობით განლაგებული წითელი კირქვების სულ ქვედა ნაწილში ღომერული ამალთეიდები, სახელით, *Amaltheus margaritatus* Montf. არის ნაპოვნიო. მაგრამ პ. გამყრელიძე (1949, გვ. 60) ამ მითითებას არ იზიარებს და აღნიშნავს, რომ „ამალთეიდები მეტ შევაგროვე კირქვების ზედა ჰორიზონტებში, რის გამოც მათში პლინსბაზური სართულის არსებობა სრულებითაც არაა გამორიცხული“. მკვლევრის თანახმად, კონგლომერატების და კვარცინი ქვიშაქვებისათვის „ადგილი რჩება ქვედა ლიასში ან შეუა ლიასის სულ ქვედა ნაწილში“, მაგრამ თუ შროშის კირქვებში პლინსბაზურიც აღმოჩნდება, მაშინ უფრო ბუნებრივი იქნება, რომ აღნიშნული ბაზალური ნალექები ქვედა ლიასს მიეკუთვნოს. მ. თოფჩიშვილის (1965, 1969) ახალი მასალების მიხედვით, შროშის კირქვების სულ ქვედა, ბრექჩიული დასტა მართლაც პლინსბაზური (კარიქსული) სართულის დამახასიათებელ ფაუნას შეიცავს. უფრო მეტიც, კვარცინ ქვიშაქვებსა და კირქვებს შორის მდებარე ქარსიანი ქვიშაქვების გარდამავალ დასტაში მ. თოფჩიშვილმა იპოვნა და განსაზღვრა სინემურული სართულის ამონიტური და სხვა ფაუნა. დასასრულ, ქვემოთ ნაჩვენები იქნება, რომ მასივის ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიაზე ფაუნისტურად დახასიათებული შეალი-

ასური ნალექების ფუძის ფორმაცია ბევრად უფრო ნაკლები სისქისაა (15—25 მ), უდიდეს პიგისის NW მიდამოებში აღწერილი ლასური კონგლომერატებისა და კვარციანი ქვიშაქვების ჭყება (220—250 მ).

ზემოთქმულის საფუძველზე, მდ. ორხევსა და შუალელის შორის გავრცელებული კონგლომერატებისა და კვარციანი ქვიშაქვების ქვედალისური ასაკი, მართალია, საბოლოოდ დადგენილი არ არის, მაგრამ უფრო ლოგიკურად უნდა იქნას მიჩნეული.

მდ. შუალელის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ნორმალურ სტრატიგრაფიულ განლაგებაში არსებული ლიასური ნალექების შემდეგი ზედაპირული გამოსავალი მასივის აღმოსავლეთ პერიფერიის უკვე ჩრდილო კიდეში გვხვდება მხოლოდ. სოფ. ყოჩასა და სოფ. წნევის შუა მდ. ლოპანისტყალს მარჯვნიდან მცირესტყლიანი ჰატარა ღელე ერთვის, რომელსაც ადგილობრივი მაცხოვერებლები ხევას ეძახიან. ამ „ხევაში“, შესართავიდან 750—800 მ შემდეგ, ფიქსირებულია ლიასური ნალექების მცირე ზომის (18 მ-მდე სიგრძის) ნაჩენი, რომელთა აღმავალი ჭრალი აქტია:

1. კვარციან-არკოზული ქვიშაქვა, რომელსაც ჩრდილოეთიდან ეხება (კონტაქტი ცხელია) შუალიასურის შემდგომი მოწითალო-მოვარდისფრო კვარცორფიზული ქანი. ქვიშაქვა შრის ქვედა ნაწილში საშუალომარტვლოვანია, ხოლო ზედაში — წვერილმარტვლოვანი. მაყრისკონტული შესწავლითაც კი საეჭვო არა, რომ ქვიშაქვა მასივის კრისტალური ენების (ძირითად გრანიტოდების) გამოყიტვის პროცესების ხარჯზე არაა წარმოშობილი და საერთოდ ფუძის წარმონაქმნება — 1,5—2,0 მ.

2. რუსიფერის კრისტალური კარჯები, რომლებიც ქვედა ნაწილში სკამაოდ ქვიშიანა და კრისტალური ქანების ჰატარა ნატეხებსაც შეიცავს. ზევით კირქვები კრისტალური ავტოზულებას თანდათან კარგას და გადადის

3. მორტე-მოწითალო პელიტომორფულ კირქვებში, რომლებშიც ცშირია ცუდად და-ცული მხართფეხიანების, ბელემინიტების და ფორმინიფრების ნაშთები. კირქვებში ქვიშიანი ნაწილაკები უკვე უმნიშვნელო რაოდენობითაა. სამაგიეროდ ბევრია ჰემატიტი, რომელიც ქანს მოწითალო ფერს აძლევს. ორივე დასტის სისქე — 7,0 მ.

7-იდე ნეტრზე ხარვეზი და შემდეგ ღელეში დახახლოებით 100 მ სიგრძეზე (თითქმის ურების გრძელების გასწრები) გამოსავალს იძლევა

4. ბაიოსური ბრექჩია-კონგლომერატის შრე, რომელშიაც კარგად გაიზჩევა ვარ-ზისფერი გრანიტოდების (ძირითადად), რუხი გრეისისებური კვარციანი დიორიტების, კვარცორფიზების, კვარცის, მინდვრის შატების და მასივის სხვა ქანებისა და მინერალების რაოდენობის სისქე 10—15 მ.

ლიასის აღწერილი ნაჩენიდან (სურ. 3) ზემოთ, 30 მ შემდეგ, ხევას მარჯვნიდან შრიალი ღელე უერთდება, რომელშიაც შესართავიდან ზემოთ ასეთი სურაბთია:

1) სამხრეთ-აღმოსავლეთის (1550) მიმართულებით 60 მეტრზე მოწითალო კვარცორფიზი (გრანიტ-პორფირი) ლიასური კირქვოვან-მეტრგელოვანი ქანის ქსენოლითებით.

2) 40 მ სიგრძეზე ნაყარის სახით რუხი წმინდასარცვლოვანი მაგარი კირქვების ლოდები (ლიასური) გვხვდება ძირითადად. შემდეგ კი ღელის მარჯვენა ნაპირზე კლიფები გამოსავალს იძლევა, აღაბათ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გადაწოლილი (დაქ. აზ. NW 3000, $\angle 80-85^\circ$).


3) სფერული გამოფიტების შემთხვევაში კუნძული კუნძული განვითარებული მუქი ნაცრისფერი ქვიშიანი მერგელები. 8,0 მ

30 მ-იანი ხარვეზის შემდეგ, უშრალოდ ღელის მარჯვენა ნაპირზე, გაშიშვლებულავის დასტერა 2-ის კულკანოგენი ქანი.

12 მ სიგრძეზე ხარვეზი და შემდეგ ღელის მარჯვენა ნაპირზე

3) მოლურგო-მონაცრისფრო (გამოფიტვისას მოყავისფრო) ტუფოგენი ქანი: ღია ფერის მინერალის პორფირული გამონაყოფებით. დაქ. WWS 2500, $\angle 70-75^{\circ}$. ხილულისისე — 2,0 მ.

2000 მიმართულებით 6 მ-ზე ხარვეზია და შემდეგ 3 მ სიგრძის ლოდისებურ გამოსავალს იძლევა



სურ. 3. ლიასურის ჭრილი ხევა-ღელეში.

1 — კვარცპირფირი (ზედალიასური); 2 — კვარციან-არკოზული ქვიშაქვა; 3 — რუხი ქვიშიანი კრისტალური კირქვები; 4 — კრისტალური კირქვები, 5 — მორუხო-მოწითალო პელიტომორფული კირქვები; 6 — თიხა-მერგელები (დომერული და ქვედა ტოარსული); 7 — ბაზალური ბრექჩია-კონგლომერატი (ბაიოსური).

4) ნაცრისფერი პასამიტური ტუფოგენური (?) ქვიშაქვა 0,5—5,0 მმ ღიამეტრის მოყავისური მინდვრის შპატის მარცვლებით.

5) 1900 მიმართულებით 27 მეტრზე, ძირითადად ღელის მარცხნა ნაპირზე, ჟაცრისფერი მერგელოვანი ქვიშაქვები ან ქვიშიანი მერგელები, რომლებშიაც გაშიშვლების ჩრდილო ნაწილში $10 \times 10 \times 5$ სმ3 ზომის მონაცრისფრო მკვრივი მერგელის ქვარგვალა (პირიტის ჩანაწინწყლებით) შეიმჩნევა.

ეგვე მიმართულებით 5-ოდე მეტრზე დაფარულია და შემდეგ ზოგადად 1500 მილა-თულებით 14 მ სიგრძეზე

6) მერგელოვანი ქანები, დასტა 5-ს მსგავსი.

7) ნაცრისფერი (გამოფიტვისას მოცვითალო-მურა) ვულკანოგენი ქანი, რომლის წვრილმარცვლოვან ძირითად მასაში ხშირია 0,5—3,0 მმ ღიამეტრის ალბათ კვარცის მარცვლები. 10,0 მ.

8) 1900 მიმართულებით, 7,5 მ სიგრძეზე, მონაცრისფრო ქვიშიანი მერგელები.

ამის შემდეგ, ღელის სათავეებში, ქანების ძირითადი გამოსავლები დაფარულია.

აღნიშნულ შენაკადში აღწერილი ნალექები, ეტყობა, მასივის ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიის ლიასური თიხა-მერგელოვანი წყების (იხ. ქვემოთ) შუა ან ზედა ნაწილის შესატყვევისია. ამ ნალექების ქვედა შრეები დაფარული უნდა იყოს თვით ხევას ჭრილის 3 და 4 დასტებს შუა აღნიშნულ 7—8 მ სიგრძის შუალედშიც.

ამგადაც, ხევა-ღელეში ლიასური ნალექები წარმოდგენილია კვარციან-არკოზული ქვიშაქვებით, კრისტალური და პელიტომორფული კირქვებით და თიხა-მერგელოვანი ქანებით, რომლებშიც ვულკანოგენი ქანებიც გვხვდება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხევა-ღელის ლიასურ ნალექებზე განლაგებულია ბრექჩია-კონგლომერატის (4) ასაკზე და დალექების პირობებზე ერთი აზ-

რი არ არსებობს. ს. ჩიხელიძის (1948, გვ. 155, 159) მიხედვით, აღნიშნული ბრექჩია-კონგლომერატები ბაიოს ეკუთვნის, ხოლო გ. ძოწენიძის და თანა-ავტორების (1953, გვ. 137) აზრით კი „ეს დასტაც ლიასის ნაწილს უნდა ჭარმო-აღვენდეს. რომლის ჭარმოშობა იმ დროშა საფუძველის მასივის ამონიტებს უნდა გა-მოეწვია“. ამ საკითხს შესახებ ფაქტიური მდგრადარეობა ასეთია:

1. ბრექჩია-კონგლომერატის შრის სულ ქვედა ნაწილი უმთავრესად მასი-ვის კრისტალური ქანების მასალისაგან შედგება (გაბატონებულია ვარდისფერი-გრანიტოდები). ზევით ამ მასალის რაოდენობა და ნატეხების ზომები თანდათან კლებულობს და, სამყიდვოდ, მატულობს ტუფოგენი მასალა. ასე თანდათანობით ქანი ტიპიურ ტუფბრექჩიაში გადადის. გადასვლის ხასიათი ისე-თია, რომ საზღვრის გავლება ბრექჩია-კონგლომერატსა და ტუფოგენ ქანს შო-რის მხოლოდ პირობითად თუ შეიძლება.

2. ეს შრე, ჩანს, ლიასის სხვადასხვა დონის ქანებზე არის განლაგებული.

3. ბრექჩია-კონგლომერატი ლიასური კირქვების და თიხიან-მერგელოვანი ქანების ნატეხებს შეიცავს.

ამრიგად, ხევა-ლელეში ბაიოსის ტრანსგრესიული განლაგება ლიასზე თით-ქოს საეჭვო არაა.

მასივის ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიაზე ლიასური ნალექები უწ-ყვეტი ზოლის სახით არის წარმოდგენილი. ლიასურატურული მონაცემების მიხედვით ეს ნალექები პირველად მდ. ლოპანიწყლის ხეობაში, სოფ. გვირ-გვინასთან შიშვლდება და აქედან ჩრდილო-დასავლეთით მდ. საკანაფურის-ლელემდე (მდ. ძირულის მარჯვენა შენაკადი) გაიდევნება. გამოირჩეა, რომ ლიასურის გამოსავალი სოფ. გვირგვინას აღმოსავლეთითაცაა (და ვრცელდება სოფ. ქალეთამდე (მდ. მეტეხისწყლის მარჯვენა ფერდობი).

სოფ. ქალეთის მიღამოებში ლიასური ნალექები კარგადაა გაშიშვლებუ-ლი თვითი სოფელში გამაფალ სამხრეთ-დასავლეთის მიმართულების ე. წ. ხეთი-სიასხოს ლელეში (მდ. მეტეხისწყლის მარჯვენა შენაკადი). ამ ლელეში შესარ-თავიდან ზემოთ, დაახლოებით 250 მეტრზე, ბაიოსური ქანების ნარჩენებია (დაჭ. NO 60°<45°). შემდეგ, ლელისა და სოფელში გამგაღირებული სამანქანო გზის გა-დაცვეთის აღვილითან ქვემოთ 120 მ დაშორებით, შიშვლდება მათ ქვეშ განლა-გებული ლიასური თიხა-მერგელოვანი ქანები (ზედა ნაწილში ქარსინი ქვაში-ქვების შუამრექებით და დიაბაზური ქანების შრედარღვებით), რომლებიც ზემოთ, ლელის გასწვრივ, თითქმის 1 კმ სიგრძეზე შეიმჩნევა. უფრო ზემოთ 20-ოდე მეტ-რზე ხარვეზია გაშიშვლებაში და შემდეგ კი, მდ. ლოპანიწყლისა და მეტეხის-წყლის წყალგამყოფის თხემიძღვე (დაახლოებით 500 მეტრზე), ჩორჩანა-უწყლე-ვის „ფილიტების წყების“ გამოსავალია. ამ ლელის აღმოსავლეთით ლიასური ნალექები სარმატულით ითარება.

აღწერილი ლელის ჩრდილოეთით, მდ. მეტეხისწყალს მარჯვნიდან, კასილისა-ხოს ლელე უცროდება, რომელსაც თავის მხრივ ზემო წელში მარჯვნიდან ე. წ. ჭიაბების ლელე ურთვეს. ამ უკანასკნელში, შესართავიდან 230 მ შემდეგ, 10 მეტრზე კარგად ჩანს კამბრიულ ფილიტებზე უშუალოდ განლაგებული 1,5 მ სისქის კონგლომერატის შრე. კონგლომერატის ქვარგვალები რამდენიმე მშ-დან 0,5—1,5 სმ ზომისაა და კვარცოლფირებით, ალბიტოფირებით, გრანიტოიდებით, მეტამორფული ფიქლებით და მასივის აგებულებაში მონაწილე სხვა ქანებით არის წარმოდგენილი. ქანი მტკიცედაა შეცვენტრიზებული, ცემენტი კვარც-არ-

კოზულია. ამ გაშიშვლების ქვემოთ 30 მ-ზე დაფარულია. უფრო ქვემოთ, კერძობების ღელის გასწვრივ შემდეგ კი ვასილისახოს ღელის კალაპოტში, დაახლოებით 600 მ მანძილზე, ჩანს ლიასური თიხა-მერგელოვანი ქანები ღიაბაზ-პორფირიტის საკმაოდ სქელი შრექარღვით. მაშასადამე, ამ ღელები, და საერთოდ მდ. მეტეხისწყლის მარჯვება ფერდობზე, ლიასური ნალექები ტრანსგრე-სიულად, კონგლომერატით ფუქები, არის განლაგებული კამბრიულ ფილიტებზე.

ზემომცვენილი მონაცემები საშუალებას იძლევა ღაზუსტდეს ჩორჩანა-უწლევას „ფილატების წყების“ გაფრცელებასა და დაბოლოების ხასიათი ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. გამოირკვა, რომ ეს წყება აღნიშნული მიმართულებით, მდ. მეტეხისწყლის მარჯვენა ფერდობამდე კრცელდება და შემდეგ კი იძორება ტრანსგრესიული შუალიასური ნალექების ქვეშ და არა სარმატული ნალექების (ჩიხელიძე, 1948) ან ბაიოსური ვულკანოგენური სერიის (დ. ჭილაური და სხვ.) ქვეშ, როგორც ეს აქამდე იყო ცნობილი. საგულისმოა ისიც, რომ ამ უბანზე ფილიტებისა და ლიასური ნალექების მიმართებები თითქმის ურთიერთმართობულია.

მდ. მეტეხისწყლის აუზის მარჯვენა წყალგამყოფიდან ჩრდილო-დასავლეთთ ფრას უღელტეხილამდე) ლიასური ნალექები კარგადაა გაშიშვლებული მდ. ლოპანისწყლის გასწვრივ, ხახულიახოს მიდამოებში და მდ. ჭირათხევის ხეობაში.

მდ. ლოპანისწყლის ხეობაში, სოფ. გვირგვინადან ქვემოთ დაახლოებით 300 მ დაშორებით, ლიასური ნალექებისა და მასივის კრისტალურ ქანების შუა შეჭრილია იისფერი მჟავე ეფუზიური ქანის — კვარციანი ორთოფირის სხეული (დაქ. აზ. 140—170°, \angle 70—80°, სისქე 70 მ-მდე), რომელიც იშვიათად ლიასური ქანების ქსენოლითებს შეიცავს. ამ შუალიასურის შემდგომი სხეულის ჩრდილო ზალბანდიდან ზემოთ, მცირე ხარჯების შემდეგ, შიშვლდება:

1. მომწვანო-მონაცრისფრო და მუქი ნაცრისფერი პელიტურ-პსამიტური სუსტა-ჭვიშანი კირქვებისა და თიხიანი მერგელების დასტა, რომელიც მ. თოფჩიშვილის (1969) ახალი მასალების მიხედვით ღომერული ასაკის ფაუნას (*Amaltheus margaritatus* Montf. *Lytoceras gauthieri* Reyn. და სხვ.) შეიცავს. დაქ. NW 330—350°, \angle 60—80°. 60—70 მ.

2. ლია ნაცრისფერი (მომწვანო ელფერით) და ყავისფერი თიხიანი მერგელები და მერგელავარი თიხები; დასტის ქვედა შრექაბშივე, მდინარის მარჯვენა ნაპირზე, ნაპონია (მ. თოფჩიშვილ) *Grammoceras thouarsense* d'Orb., *Partshiceras* sp., *Mitiloides quenstedti* Pčel. და სხვ. დაქ. NO — 20°, \angle 50—55°. 12—15 მ.

3. მუქი ნაცრისფერი პორფირიტული ქანის ალბათ შრეებრივი სხეული, რომელშიც ლიასური წითელი კირქების ნატეხები გვხვდება. 50 მ.

4. ლია მომწვანო-ნაცრისფერი და მოწითალო-იისფერი არგილიტური თიხების დასტა, რომლის ზედა ნაწილში ლია ფერის მევრივი ალევრიტული ქარსიანი ჭვიშაქვების თხელი უზარესებიც გვხვდება. დასტის სულ ქვედა ნაწილში შეიმჩნევა ალევრიტულ-პსამიტური ტუფოგენების რამდენიმე შუაშრე (სისქე 15—30 სმ). 80—100 მ.


5. მუქი ფერის სუსტადურალიტიზებული ოლიგინიანი ღიაბაზის (ძოწენიძე და სხვ. 1953, გვ. 141) შრექარღვი. ქანისათვის დამახასიათებელია სფერული გამოფიტება. სისქე 70 მ-მდე.

6. ნაცრისფერი (ხშირად მომწვანო ელფერით) სუსტადჭვიშანი არგილიტების და ლია-ნაცრისფერი მევრივი ალევრიტული და ალევრიტულ-პსამიტური ქარსიანი ჭვიშაქვების

დასტა. ქვიშაქვებში, ეტყობა, პირკლასტური მასალაც მონაწილეობს (შეიცავს საღი ანდეზინის მარცვლებს). ქვიშაქვები დასტა ქვედა ნაწილში თხელშრეებრივია (რამდენიმე 8-დან 15—20 8-მდე), ხოლო ზევით კი თანდათან უფრო სქელშრეებრივი (0,5—1,0 8-მდე) ხდება. 80—90 8.

ამ დასტას აგრძელებს ბაიოსის ვულკანოგენური სერია, რომელიც აქ მუქიფერის ლავური განვითარება.

აღწერილი ჭრილის (სურ. 4) დასტა 1, შემცველი ნამრახების მიხედვით, ღომერულ სართულს უნდა მიეკუთვნოს, ხოლო დასტა 2 კი — ტოარსულის სულ ქვედა ნაწილს. დასტა 4 სოფ. გვირგვინას ფარგლებშია განვითარებული, საღაც ს. ჩიხელიძეს (1948, გვ. 158) ტოარსულის ლამაზსიათებელი *Grammoceras thouarsense* d'Orb. აქვს ნაპოვნი. ამ გარემოებისა და შეზობელ ჭრი-



სურ. 4. ჭრილი მდ. ლოპანისწყლის მარცხენა ნაპირის გასწვრივ სოფ. გვირგვინასთან.

1 — გრანიტოდები (ბალვეტოური); 2 — კვარცინი ქვიშაქვები (?), 3 — ზოვგენური კირქვები (?) და 4 — სუსტადქვიშიანი მერგელოვანი კირქვები, თიხანი მერგელები (ღომერული); 5 — ფერადი თიხინი მერგელები და არგილიტური თიხები, წვრილმარცვლოვანი ქრისიანი ქვიშაქვების შუაშრეებით ზედა ნაწილში (ტოარსული და ქვედა ალენური); 6 — პირფირიტული ქანის და 7 — სუსტადურალიტიზებულ ლილიკინი დიაბაზის შერქარლვები (ბაიოსური?); 8 — სუსტადქვიშიანი არგილიტები და წვრილმარცვლოვანი ქარსაიანი ქვიშაქვები (ალენური?); 9 — ტუფოგენები (ბაიოსური); 10 — კვარცინი ორთოფირი (ბათური?).

ლებთან (ჯვარის მიღამოები) შედარების საფუძველზე, ეს დასტა, მისი ქვედა და შუა ნაწილები მაინც, ტოარსულ სართულს უნდა მიეკუთვნოს. ამ დასტას სულ ქვედა ნაწილის მოწითალო-იისფერ არგილიტურ თიხებში, როგორც უკვე ითქვა, შეიმჩნევა (სოფ. გვირგვინას სამხრეთ კადუსთან ჩამომავალი ღელის მარცვენა ნაპირი), ალევრიტულ-პსამიტული ტუფოგენების 15—30 8 მ-მდე სისქის რამდენიმე შუაშრე. ასე რომ, ჭრილში ვულკანიზმის გამოვლინების ნიშნები უკვე ტოარსულიდან ჩანს. აქედან გამომდინარე, ამ დასტას ქვეშ განლაგებული ვულკანური სხეულიც (3), რომლის ამგვები ქანი ლავური ბუნების ჩანს (ბაზალტური პირფირიტი?), შესაძლოა ამავე ასაკის იყოს და არა ბაიოსური, როგორც ეს აქამდე იყო მიჩნეული. დასტა 6 და შესაძლოა 4-ის სულ ზედა ნაწილი (ქვიშაქვების შუაშრეების გამოჩენის შემდეგ), სტრატიგრაფიული მდებარეობის მიხედვით, ალენურად უნდა იქნას დაბარილებული. მაგრამ ალენურის ორივე საზღვარი პირბიბითაა და დაზუსტებას მოითხოვს. განსაკუთარებით საინტერესო ზედა საზღვრის დაზუსტება, რასაც დიდი მნიშვნელოვანი დასტას აგრძელებს ბაიოსის ვულკანოგენური სერია, რომელიც აქ მუქიფერის ლავური განვითარება.

ბა ექნება ლიასსა და ბაიოსს შორის საზღვრის გატარების სადისკუსიო საკითხის გადაჭრისათვის. ჯერჯერობით ამ საზღვრის გატარება (მოცუმულ ჭრილში), პირობითად, ლითოლოგის მკვეთრ შეცვლას, ტერიგენული ნალექების ვულკანოგენურით შეცვლას, უნდა დაუკავშირდეს. ყოველ შემთხვევაში, არსებული მასალების პირობებში ეს უფრო ბუნებრივი ჩანს, ვიდრე ლ. ლეონტიევის და ვ. ხაინის (1946) დაუსაბუთებელი მოსაზრებას, რომლის თანამდაც ლოპანისწყლის ხეობაში ტერიგენული ფაციესით („მუნჯი ფიქლებით“) არის წარმოდგენილი არა მარტო აალენი, არამედ ბაიოსს ქვედა ნაწილიც — *Witchellia laevigata*-ს ზონა.

მდ. ჭერათხევზე, მასთან ზემოდან მესამე მარცხენა შენაკადის შეერთების ადგილზე (ჯვრის უღელტეხილიდან წყალდაღმა დაახლოებით 2,0 კმ დაშორებით), პალეოზურ გარდისფერ გრანიტოდებზე უშუალოდ, ფარული სტრატიგრაფიული უთანხმოებით, განლაგებულია:

1. მორუხო-ღია ფერის კვარციან-არკოზული ქვიშაქვის შრე; ქანი დასაწყისში წვრილ-კენჭიანი კონგლომერატით (გრაველიტი) არის წარმოდგენილი, ხოლო ზევით მარცვლების სიმსხო თანდათან კლებულობს და შრის ზედა ნაწილი უკე წვრილმარცვლოვანი კვარციანი ქვიშაქვისაგან შედგება. სისქე 20 მ-ზე.

2. რუხი, მომწვანო-რუხი და ოლაგ-ალაგ მოყავისფრთ ფიქლებრივი ქვიშაიანი მერგელების და მერგელოვანი კირქვების დასტა. ზოგჯერ მერგელები ქარსიანია, შეიცავს პირიტის უწვრილეს კონკრეციებსაც. ზევით ქვიშის რაოდენობა თანდათან კლებულობს. დასტის ბირველსაც შრებებში და შემდეგ ზევითაც, მთელ სისქეზე, მ. თორჩიშვილის (1969) თანახმად გვხვდება *Amaltheus margaritatus* Mont. f., აგრეთვე ბელემნიტების და ბრაქოპლატების ცუდად დაცული ნაშთები. 80—100 მ ზევით, ჭერ მდ. ჭერათხევის გასწვრივ (დაახლოებით 200 მეტრზე), შემდეგ კი მის ვარცხენა შენაკად კაპრებისწყლის ხევში, აღნიშნულ დასტას აგრძელებს.

3. მოცისტირ და მოწითალო-იისფერი ფიქლებრივი მერგელოვანი თხების და არგილიტების დასტა, ზედა ნაწილში მევრივი სუსტადქარსიანი ქვიშაქვების თხელი და იშვიათი შუაშრებებით. დასტის ქვედა ნახევრში გვხვდება მიტილიდები და სხვა განუსაზღვრელი ორსაგდულიანები. შრებები დაქანებულია ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ (20—40%); დახრის კუთხე საგებიდან სახურავისაკენ თანდათან კლებულობს და 75-დან 500-მდე დაღის. 110—140 მ.


4. მუქი ფერის პორფირიტ-დიაბაზის შრეძარღვი, რომელიც დელს (კაპებისწყლის) გასწვრივ 300—350 მ სიგანეზეა გაშიშვლებული. ქანში უბან-უბან მნიშვნელოვანი რაოდენობით (30—40%-მდე) გვხვდება კვარცის 1—1,5, იშვიათად 2,0 მმ ღიამეტრის მარცვლები. 100—130 მ.

5. მუქი ნაცრისფერი თხა-შერგელებს დასტა ღია ნაცრისფერი მევრივი ალევროლიტური სუსტადქარსიანი ქვიშაქვების შუაშრებით. დაქ. NO^o 200 კ 300. სისქე 40 მ-ზდე.

100—120 მეტრზე ხარვეზი გაშიშვლებაში (ნორმ. სისქე 45—55 მ) და შემდეგ ბაიოსის თხელი შერებივი ყვაისფერი ალევროლიტური ტუფიტების ნაჩენია.

მოყვანილი ჭრილის (სურ. 5) დასტა 1-ის წარმონაქმნები მეზოზოურისწინა კრისტალური ქანების, ძირითადად გრანიტოდების გამოფიტვის პროდუქტის ხარჯზე არის წარმოშობილი და საერთოდ ტიპიურ ფუძის ფორმაციას მიეკუთვნება. რადგან მათი მომყოლი დასტის პირველსაც შრებებში ღომერტული ამალოტეიდები გვხვდება, ამიტომ ისინი უნდა განვიხილოთ როგორც დომერტულის ბაზალური ნალექები. აქევ უნდა ითქვას, რომ კვარციან-არკოზული ქვიშაქვების ეს დასტა (სისქე 15—25 მ) მასივის ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიის ლიასურის ფუძეში, ჭერათხევიდან დაწყებული ჩრდილო-დასავლეთით, უწვევტლივ გადაევნება.

დასტა 2 მთელ სისქეზე Am. margaritatus Montf. -ით არის დახასაღ-
თებული და ამიტომ დომეტრულად უნდა დათარიღდეს. დასტა 3 და 5 სტრატი-
გრაფული მდგრადარეობით მთელ ზედა ლისს მოიცავს.



უხვად შეიცავს სხვადასხვა ორგანიზმების — ხავსტოველების, წყალმცენარეების და სხვათა ნაშთებს. ალსანიშვნავია, რომ კირქვების ქვედა ნაწილში პლაგიოლაზის საღი გარცვლები და გრანიტოიდების საჯამაო მსხვილი (1,0 მ-მდე) კარგად დამუშავებული ჟენებიც გვხვდება. 10 მ.


1. 20-ოდე მეტრზე ხარვეზი და შემდეგ

3. მოწითალო მიკრომარცვლოვანი კირქვები. 8 მ.

4. მონაცრისცრო და შოკოლადისცეკრი თხა-მერგელოვანი ქანების დასტა, რომელიც ჰქონდის უნაგირაზე (გზების გადაკვეთის, აღგილას) გაკვეთილია პორფირიტული დაბაზის 1,5 მ-მდე სისქის დაიკით. ლელის გასწერივ დასტა დაახლოებით 250 მ სიგრძეზე გაშიშვლებული. ნორმალური სისქე 140—160 მ.

ამის შემდეგ, ლელის სათავეებში, დაახლოებით 230 მ მანძილზე, ცალკეული ნაჩენების სახით ფიქსირებულია დაბაზ-პორფირიტული ქანის შრეძარლვი (სისქე 120 მ-მდე), რომელსაც ზევით ლოპანისწყლის ჭრილის დასტა 6-ის ანალოგიური ქანები უნდა აგრძელებდეს (დაფარულია). უფრო ჟემოთ (ქედზე) ბაიოსის ვულკანოგენი ქანებია გავრცელებული.

ჭრილის (სურ. 6) 1—3 ფასტები სტრატიგრაფიული მდებარეობით ჭერათხევის ჭრილის დასტა 1-ს (მოლიანად) და დასტა 2-ის ქვედა და შუა (?) ნაწილებს შეესატყვისება და დომერულს უნდა მიეკუთვნოს. დასტა 4, ჭერათხევისა და ლოპანისწყლის ჭრილებთან შედარების საფუძველზე, უნდა მოიცავდეს ლომერული სართულის ზედა ნაწილს და ტოარსულს მთლიანად. ამ დასტასა და ბაიოსურ ქანებს შორის არსებულ დაფარულ შუალედში ააღენური ნალექები უნდა იყოს განვითარებული.



სურ. 6. ჭრილი ხახულიახოს დასავლეთით გამავალ საჩეხების ლელის გასწერივ:


- 1 — პალეოზური მიკროლინანი გრანიტოიდები;
- 2 — კვიშანი კირქვები, საგებში კონკილიმეტატით და
- 3 — მიკრომარცვლოვანი კირქვები (დომერული); 4 — ფერადი თიხოვან-მერგელოვანი ქანები (ტოარსული და ქვედა ააღენური?); 5 — დიაბაზ-პორფირიტის შრეძარლვი (ბაიოსური?); 6 — არგილიტები და წყრილმარცვლოვანი ქარსანი კვიშავები (ააღენური?); 7 — ბაიოსური ტუფოგენები.

უნდა აღინიშნოს, რომ ხახულიახოს ჭრილის ქვედა ნაწილში ფიქსირებული კირქვების დასტა, რომლის სისქე 35—40 მ-მდე აღწევს, ქვდის დასავლეთ-სამხრეთ-დასავლეთ ფერდობზეც გაიდევნება, თითქმის მდ. ჭერათხევის კალაპოტა-მდე. ხახულიახოს ქედზე კირქვები თითქმის მიმართების გასწერივაა (290—

320⁰ მიმართულებით) გაშიშვლებული. ამით აიხსნება აქ დიდ მანძილზე. დაძლოებით 250 მეტრზე, მათი გავრცელება და არა ტექტონიკური გაორებით, როგორც აქამდე ონიშნავდნენ. თხემის აღმოსავლეთით, მდ. ლოპანისწყლისაკენ, კირქვები ს. ჩიხელიძის მონაცემებით (1948, გვ. 156), აღარ ჩანს და ჭრილი მთავთრო კვარციანი ქვიშაქვების თხელი დასტით ოწყება. თუმცა, ზოგან ფიქლებრივი თიხა-მერგელების ელუვიონ-დელუვიონშია წითელი კირქვების მოზრდილი ლოდებიც გვხვდება, რომლებიც ალბათ დომერული თიხა-მერგელუვანი ქანების სულ ქვედა ნაწილში მოქცეულ ჩანართებისებურ სხეულებს წარმოადგენს. მდ. ლოპანისწყლის კალაპოტსა და ფერდობების ქვედა ნაწილებში ქვიშაქვები და კირქვები, როგორც ზემოთ მოყვანილი სათანადო ჭრილიდან ჩანს, აღარ გვხვდება, რაც მასივსა და ლიასურ ქანებს შორის ორთოფირული ქანის სხეულის შეტერით უნდა აიხსნებოდეს.

ამრიგად, მასივის პერიფერიის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის ლიასი საგრძნობლად განსხვავდება დანარჩენი ნაწილების ლიასისაგან, ერთი მხრივ, უწყვეტი, თანდათანობითი გადასვლით ბაიოსის ვულკანოგენურ სერიაში, მეორე მხრივ, ფურო ღრმა ზღვის ფაციესით და ქვედალიასურის არასტებობით (სურ. 7). აქ ლიასი უმეტეს შემთხვევებში იწყება ღია ფერის კვარციანი და არკოზული ქვიშაქვების შრით ($h=15-25$ მ), რომელიც ტიპიური ფუძის წარმონაქმნის მიეკუთვნება. მას მოჰყვება დომერულ-ზედალიასური ასაკის მოწითალო-ისფერი და მოცისფრო ფიქლებრივი მერგელოვანი კირქვების, თიხიანი მერგელების, მერგელოვანი თიხებისა და არგილიტების საკმაოდ სქელი (300—450 მ) წყება, ზედა ნაწილში მკვრივი სუსტადქარისიანი ალევროლიტური ქვიშაქვების შუაშრებით და დიაბაზ-პორფირიტული ქანის მძლავრი (100—150 მ-დე) შრეძარლვით. ზოგან (ხახულიახო) ლიასის ქვედა ნაწილში რუხი და მოწითალო ფერის ლინზების კირქვებიც გვხვდება, რომლებიც სტრატიგრაფიულად დაახლოებით ქვედა-და შუადომერული ქანების ეკვივალენტს უნდა წარმოადგენდნენ.

ლიასური კირქვებისა და კვარციან-არკოზული ქვიშაქვების ცალკეული ნაწენები გვხვდება აგრეთვე მონოკლინურად დაქანებულ ბაიოსურ ვულკანოგენურ ქანებშიც (სოფ. ცედანის ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთი მიღამოები, სოფ. ლოპანის უბანი, მდ. ორზიულის ხეობა). საკითხი მათი განლაგების პირობებისა და გენეზისის შესახებ სპეციალურად არის განხილული აგტორის სტატიაში (ლობუანიძე, 1965), სადაც შეგროვილი ფაქტობრივი მასალის საფუძვლზე დასაბუთებულია, რომ აღნიშნულ უბნებში ლიასური ქანები ცალკეული ლოდების (ჩანართების) სახითაა მოქცეული ბაიოსურ ტუფოგენებში და მეტწილად წყალქვეშა ვულკანების აფეთქებების შედეგს უნდა წარმოადგენდეს. შეიძლებოდა ნაწილობრივ მაინც დაგვეშვა ბაიოსური აუზის ნაპირებზე გაშიშვლებული ლიასური ნალექების ჩამოწყვეტა და წყალქვეშა დაცურება, რაც უმთავრესად ისევ ბაიოსური ვულკანური აფეთქებების შედეგად მომხდარ მიწისძრებთან იქნებოდა დაკაშირებული.



სურ. 7. ძირულის მასივის აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიების ლია-
სური ნალექების სტრატეგიული ჰიდროგრაფიული შემთხვევა

1 — განაიტოდები; 2 — კონგლომერატები; 3 — მსხველრაცვლოვანი კვარციანი ქვი-
ზექვები; 4 — საშუალო და წვრილმარცვლოვანი კვარციანი ქვიშაქვები; 5 — კვარციან-ქარისიანი
ქვიშაქვები; 6 — სუსტადევიშანი კრისტალური კირქვები; 7 — მიკრომარცვლოვანი კირქვე-
ბი; 8 — ქვიშანი კირქვები; 9 — თიხიანი შერგელები; 10 — მერგელოვანი თიხები; 11 —
ქვიშანი თიხები; 12 — ქვიშანი არგილიტები; 13 — ქვიშანი შერგელები; 14 — მერგე-
ლოვანი კირქვები; 15 — არგილიტები; 16 — ბრექჩია-კონგლომერატი; 17 — ტუფოგრანული ქა-
ნები; 18 — პორფირიტი; 19 — ღიაბაზი; 20 — ორთოფირი; 21 — კვარცპორფირი; 22 —
კვარციანი ორთოფირი.

ბაიოსის პორფირიტული სერია

ბაიოსური წარმონაქმნები რაიონში ზევრად უფრო ფართოდაა განვითარებული, ვიდრე ზემოთ აღწერილი ლიასური ნალექები. ისინი სურამის უღელტეხილის ჩრდილო-აღმოსავლეთით პირველად მდ. ორხევის ხეობაში ჩნდებიან, საიდანაც ფართო (0,5—2,5 სმ) და უშესვეტი ზოლის სახით სოფ. ბრილის ჩრდილო მიდამოებამდე (მიმართების გასწვრივ დახლოებით 10 კმ სიგრძეზე) ვრცელდებან. უფრო ჩრდილო-აღმოსავლეთით განსახილველი წარმონაქმნები ცარცული და მესამეული ნალექებითაა დაფარული და მცირე ეროზიული ნაჩენების სახით მხოლოდ მდ. ლოპანისწყლისა და მეტეხისწყლის ხეობებში შიშვლდება. ასე რომ, მასივის აღმოსავლეთ პერიფერიაზე ბაიოსურიც იზოლირებული გამოსავლების სახით არის წარმოდგენილი. ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიაზე ბაიოსი ფართოდაა გავრცელებული, მაგრამ საკედევი რაიონი მოიცავს მხოლოდ მის მცირე ნაწილს, სოფ. მეტეხის და ლოპანის მიდამოებს.

განსახილველი წარმონაქმნები სურამის ჩრდილო-დასავლეთ მიდამოებში (მდ. ორხევისა და სოფ. წაბლოვანის შორის) მეტ-ნაკლები სიზუსტით შეისწავლეს პ. გამყრელიძე (1932), ნ. კანდელაკმა (1933), გ. სმირნოვმა, ნ. თათრიშვილმა და თ. ყაზხაშვილმა (1938), ს. ჩიხელიძე (1948, 1950), დ. ჭილაურმა და თანაავტორებმა (1959), ხოლო მდ. ლოპანისწყლის (სოფ. წერელისა და სოფ. აბანოს შუა) და მეტეხისწყლის (სოფ. ატოცთან) ერობებში, აგრეთვე მასივის ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიის ჩვენთვის საინტერესო ნაწილში კი — ს. სიმონოვიჩმა (1892), რომელიც მათ კიმერიზულად ათარიღებდა, ა. ფლორენსკიმ და გ. ბარსანოვმა (1936), ს. ჩიხელიძე (1948), ნ. კანდელაკმა (1955), დ. ჭილაურმა და თანაავტორებმა (1959).

ზემოთ აღნიშნული უბნების გარდა რუკის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში დატანილია სოფ. წიფისა და ფონის ჩრდილო-დასავლეთ მიდამოებში (გოლათუბნის ღელეში და ნიკორაგულ-საბუეთის ზოლში) გავრცელებული ბაიოსური გამოსავლებიც, რომელიც გ. ზარიძემ (1938) და ს. ჩიხელიძემ (1948, 1950) შეისწავლეს.

აღნიშნულ უბნებში, სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, სერიის ზოგადი ხასიათი რამდენადმე იცვლება. ამიტომ სასურველა, რომ ამ უბნებს ცალ-ცალკე გავეცნოთ.

სოფ. წიფის ჩრდილო-დასავლეთ მიდამოებში, სახელდობრ, მდ. გოლათუბნის ხეობაში, აღმოსავლეთით გამავალ ღელეში და წყალგამყოფებზე, პორფირიტულ სერიას ჩრდილო-ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ბათური ასაკის ფონაზევის გრანიტითორიტული ინტრუზივი ესაზღვრება, ხოლო სამხრეთიდან კი მასზე ტრანსგრანიტულადაა განლაგებული ბარემული კირქვები. ამ უბანში სერია მასიური აგებულებისა; მის შემაღენლობაში ძირითადად მონაწილეობს კვარციანი პორფირიტები, პირიტიანი, ხშირად კვარციანი ტუფბრექჩიები, ლავური ზრექჩიები, ლაბრადორიან-ქლორიტიანი, იშვიათად ამფიბილიანი და ავგიტიანი ატექსიტური და მანდელშტერინური პორფირიტები. აღინიშნება ლიაბაზური პორფირიტებიც (გამკვეთი ძარღვების სახით). ლავური ბრექჩიები და ტუფური ფირიტებიც (გამკვეთი ძარღვების სახით). ლავური ბრექჩიები და ტუფური აგებულების ქანები (რომელთა ბუნება ხშირად კარგად არც კი არყვევა) ხასი-

თდება. პირველადი წარმოშობის კვარცის შემცველობით (ჩიხელიძე, 1950, გვ. 81). ცხადადგამოსახული შრეებრივობის უქონლობისა და აღილების მიუდგომლობის გამო, სკრიაში კვარციანი პორფირიტების და დანარჩენი ქანების ურთიერთობის გარევა ძალიან ძნელდება. ს. ჩიხელიძე (1950, გვ. 82) ამ ქანებს ბაიოსური ვულკანიზმის სულ ბოლო დროის პროდუქტად თვლის. ყოველ შემთხვევაში, კვარციანი პორფირიტები ფონა-ხევის გრანიტითულ ინტრუზია. ეს ძელია, ვინაიდნ უქანასკნელი მათზე კონტაქტურ ზეგავლენას ახდენს.

სოფ. ფონასა და რიკოთის ულულტეხილს შეა არსებული ბაიოსური ზენარენი დასავლეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან ფონა-ხევის ინტრუზივით არის შემოსაზღვრული, ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან — პალეოზური გარდისტერი გრანიტოიდებით, ხოლო სამხრეთით მასზე ბარემული კირქვებია ტრანსგრესიულად განლაგებული. ამ უბანში შემონახული ქანების მიხედვით შრენარი ისტერივ ბუნების ჩანს, როგორც ზემოთ აღწერილ აღვილებში. აქაც, ისევე როგორც მდ. გოლათუბნისწყლის აუზში, ბათურ გრანიტითულ ინტრუზის უწყვეტლივ მიუყვება კონტაქტური ზეგავლენით შეცვლილი ქანების ზოლი.

ს. ჩიხელიძის მონაცემების თანახმად (1950, გვ. 81), აღწერილი უბნების ბაიოსურში არსად არ გვხვდება ისეთი ალბიტიზებული პლაგიოკლაზიანი და სახეშეცვლილი კარბონატიზებული ლავური ან ტუფოგენი ქანები, როგორიც უფრო დასავლეთით (მოლითის მიღამოებში) გვაქვს.

ლავური ქანების, ძირითადად კვარციანი პორფირიტების, ამაღლებული ზედაპირული გამოსავლების გავრცელების ხასიათისა და რელიეფის მხედველობაში მიღებით ორკვევა, რომ აღწერილ უბნებში შრები ზოგადად დაქანებულია სამხრეთისაკენ ციცაბო კუთხით. სერიის შემორჩენილი ნაწილის სისქე 0,5—1,2 კმ ფარგლებში ცვალებადობს.

მდ. ორხევის აღმოსავლეთით, ჩუმათელეთ-ბრილის ზოლში, სერიის პეტ-როგრაფიული ბუნება ზემოთ აღნიშნული უბნების ანალოგიური ჩანს. ზოლის დასავლეთ ნაწილშივე შეიმჩნევა და აღმოსავლეთისაკენ გადავნებით (მიმართებაშე) კიდევ უფო მტაფიო ხდება, რომ ამ მიმართულებით სერიის აგებულებაში ლავური ქანების მონაწილეობა თანდათან კლებულობს და, შესაბამისად, მატულობს მათთან მორიგეობაში მყოფი პიროკლასტების როლი. ამ გარემოების გამო ამონტრქვევათა ცენტრი ზოლის დასავლეთით უნდა ვიგულისხმოთ. ამ ზოლში მდ. ორხევიდან დაწყებული მდ. შუალედის აუზის მარჯვენა წყალგამყოფამდე ბაიოსი ლიასურ ნალექებზე, ხოლო უფრო აღმოსავლეთით კი უშუალოდ პალეოზოურ კრისტალურ ქანებზე არის განლაგებული უთანხმოდ. ზევიდან მას უმეტესად ტრანსგრესიული ბარემული კირქვები ფარავს. გამონაკლისს წარმოადგენს მდ. ცედანისწყლის და ბულუთურისღელის (მდ. ბურნეულის შენაკადი) მარჯვენა წყალგამყოფები, სადაც ბაიოსურზე უშუალოდ შუამიონური ქვიშებია განლაგებული.

აღნიშნულ ზოლში ბაიოსური წარმონაჟმნების ყველაზე სრული ჭრილი მდ. შუალედის გასწვრივ გვხვდება. ამ მდინარის გასწვრივ პალეოზოურ გრანიტოიდებს 80 მ სიგრძის ხარვეზის შემდეგ მოპყვება მუქი ნაცრისფერი აღბიტიზებული უგიტ-ლაბრადორიანი პორფირიტები, რომლებიც ცალკეული ნაჩენების სახით დაახლოებით 100 მ მანძილზე ჩანს. 90 მეტრზე ხარვეზი და შემდეგ ათიოდე მეტრ სიგრძეზე გაშიშვლებულია ორთოფირული ქანი, რომელშიაც

მნიშვნელოვანი რაოდენობით გვხვდება მოგარდისფრო მინდვრის შპატის 1—5 მმ ზომის პორფირული გამონაყოფები; იშვიათად შეიმჩნევა ლია ფერის მარცვლებიც. ამის შემდეგ, დაახლოებით 600 მ მონაკვეთში, შიშვლდება ხოლმე ავგიტ-ლაბრადორიანი და რქატყუარიანი პორფირიტები, ტუფები, ტუფქვიშაქვები. დასტის სულ ზედა ნაწილში ქანები ბრექჩიული ხასიათისა (სისქე 10—15 მ) — ტუფოგენებში მნიშვნელოვანი რაოდენობითაა ორთოფირების ნატეხები, ზომით 10—25 სმ-მდე. ამ ბრექჩიული ქანის ბუნება (ინტრუზიული თულვური?) ჯერჯერობით გაურჩეველია. უფრო ქვემოთ (სტრატიგრაფიულად ზევით) 1300—1500 მ მანძილზე ორთოფირებია (კერატიფირები?) გაშიშვლებული. ალაგ-ალაგ გვხვდება ავგიტ-ლაბრადორიანი პორფირიტებისა და მათი პიროკლასტოლითების მცირე ზომის ნახენებიც. ორთოფირებზე, სოფ. ბიჭნისის ზემოთ, ბარემული კირქვებია განლაგებული.

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ შუალელის ხეობის შუალერული გულდანოგენური სერიის აგებულებაში გაბატონებული ადგილი უჭირავს მთისფრო მუავე ქანებს. საყურადღებოა, რომ ისინი სერიის ყველა ნაწილში გვხვდებიან, ოლონდ უფრო ჭარბად და თანაც მძლავრი სხეულების სახით არიან წარმოდგნილი მის ზედა ნაწილში.

მდინარე შუალელის მარჯვენა წყალგამყოფზე, ლიასურ და ბარემულ ნალექებს შორის, შუალერული მხოლოდ ორთოფირებითაა წამოდგენილი, რომელთა სისქე 70 მ არ აღემატება. აქედან ჩრდილო-აღმოსავლეთითაც, შუალელის მარჯვენა ფერდობზე, პალეოზოურ გრანიტოდებს ყველგან სერიის ზედა ხაწილისათვის დამახასითებელი მძლავრი ორთოფირები ეხება უშუალოდ. ასე რომ, ორთოფირების ქვეშმდებარე პორფირიტული ქანები და მათი პიროკლასტები, რომლებიც თვით მდინარის გასწვრივ დაახლოებით 1 კმ სიგრძეზე არიან გაშიშვლებული, მარჯვენა მხარეზე გამოგარდნილია. ამის საფუძველზე იქმნება შთაბეჭდილება, რომ შუალელის მარჯვენა ფერდობზე და წყალგამყოფზე ორთოფირების შეხება პალეოზოურ გრანიტოდებთან და ლიასურ ქანებთან ან ტექტონიკური ხასიათის უნდა იყოს, ან ინტრუზიული

წყების ზედა ნაწილში ორთოფირები გვხვდება შუალელის ხეობის ჩრდილო-აღმოსავლეთითაც, მაგალითად, მდ. ცოცხანასლელის სათავეებში და მდ. ცედანასწყლის გასწვრივ. აღნიშნული მუავე ეფუზიური ქანები მდ. ცედანისწყლის აღმოსავლეთით მხოლოდ მცირე მანძილზე შეიძლება ვრცელდებოდეს, ვინათღან მის მარცხენა შენაკად ნარიყისლელუში ისინი უკვე აღრ შეიძჩნებიან. საერთოდ, ნარიყისლელისა და მისი შენაკადების (სვანისლელე, სამეცვებისლელე) ბაიოსურ ულგანვენებში, უფრო სამხრეთ-დასავლეთით მდებარე უნდებასაგან განსხვავებით, ლაგებს თითქმის პიროკლასტური მასალა (ტუფები, ტუფბრექჩიები, ტუფოქვიშაქვები) ჭარბობს.

ჩუმათელეთ-ცედანის ზოლის შუა იურულში არსებული ზემოაღნიშნული კალიშპატიანი ქანების გეოლოგიურ-პეტროგრაფიული ბუნება და წარმოშობის საფათი შემდგომ სპეციალურ კვლევას მოითხოვს.

სოფ. ბრილის ჩრდილო-დასავლეთ მიდამოებში (ბულუთურას ღელე) ბაიოსი წარმოდგენილია მეტ-ნაკლებად შეცვლილი (მეტწილად გაუმიღლოტებული) ავგიტ-ლაბრადორიანი პორფირიტებით და მათი პიროკლასტებით.

მასივის აღმოსავლეთ პერიფერიაზე ბაიოსურის მცირე ზომის ზენახენები ფიქსირებულია აგრეთვე მდ. ლოპანისწყლის (სოფ. წნელის ქვემოთ) და

შდ. მეტუხისწყლის (სოფ. ატოცთან) ხეობებში. ლოპანისწყლის ხეობაში შრე-ნარი ($h = 700-750$ მ) ლიასურ ნალექებზე (ხევა-ღელუში) და პალეოზოურ გრანიტოდებზეა განლაგებული ტრანსგრესიულად და ტრანსგრესიულადვე იფარება ბარემული კირქვებით. აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან ზენაჩენზე სარმატული ქვიშებია გადაფარებული. სარმატული ნალექებითაა შემოფარგლული სამი შხრიდან ბარემული კირქვების ქვეშ გაშიშვლებული ბაიოსური ჭანები სოფ. ატოცთანაც ($h = 400$ მ-ზდე). აღნიშნულ უბნებში შემოჩენილი ბაიოსური სერიის ნაწილი ფლორენსკისა და ბარსანოვის (1936) მონაცემებით წარმოდგენილია ავგიტანი და ავგიტ-ამფიბოლიანი, მეორადი პროცესებით ძლიერ შეცვლილი, პორფირიტების ტაქსიტური ლავებით და, მცირე რაოდენობით, მათი პიროკლასტებით. ისინი გაკვეთილია ზოგადად სამხრეთ-დასავლეთის მიმართულების მქონე დიაბაზური და დიაბაზ-პორფირიტული ტიპის ქანების ძალვებით.

ამგვარად, მასივის აღმოსავლეთ პერიფერიაზე ბაიოსის ფულკანოგენური სერია წარმოდგენილია სხვადასხვა შედგენილობის (ორთოკლაზიანი პორფირების, ავგიტანი, ავგიტ-ამფიბოლიანი, ამფიბოლიანი, კვარციანი და სხვ. პორფირიტების) ლავებით, შუალედი ბუნების ტუფ-ლავებით, მასივური ტუფებითა და იშვიათად შრეებრივი ტუფოგენებით; გამკვეთი სხეულები უმთავრესად დიაბაზებით და დიაბაზური პორფირიტებით არის შედგენილი. ქანები ინტენსიურადაა შეცვლილი. შეცვლა ძირითადად გამოხატულია ალბიტიზაციაში, ქლორიტიზაციაში, სილიციფიკაციაში, ეპიდოტიზაციაში, კარბონატიზაციაში, იშვიათად პირიტიზაციაში და პელიტიზაციაში. ეს პროცესები უმთავრესად პისტოულკანური აკტომეტამორფიზმის და პიდრომეტამორფიზმის მოგლენებით უნდა იყოს გამოწვევული (ჩიხელიძე, 1948, 1950).

საგრძნობლად განსხვავებული სურათი შეიმჩნევა მასივის ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიულ ნაწილში, სადაც მასივის აღმოსავლეთი და საერთოდ დანარჩენი ნაწილებისაგან განსხვავებით ლიასი სრული თანდათანობით იცვლება ბაიოსური სართულით. სხვანარი ჩანს ბაიოსური ვულკანოგენური სერიის ფაკიესი; აქ სერიის შედგენილობაში გაბატონებულია არა ლავური წარმონაქმნები, როგორც ამას აღმოსავლეთ პერიფერიაზე აქვს აღგილი, არამედ ტერიგენული და პიროკლასტური (როგორც პირველადი, ისე გადალექილი) ქანები, რომელებშიაც ხშირია არკოზული მასალის არსებობა. ყველა შემთხვევაში, ლიასის მოსაზღვრე ზოლი, სიგანით 0,8—1,0 კმ-მდე, თითქმის მთლიანად შრეებრივი ტუფოგენების მორიგეობით ხსიათდება. მკვლევრები მიუთითებენ ამ ზოლში ლიასისა და ბაიოს შორის მერგელოვან-თიხოვანი ფიქლების (დამახსიათებელია ლიასური წყების ზედა ნაწილისათვის) და ტუფოგენების მორიგეობით წარმოდგენილი „გარდამავალი“ დასტის არსებობას. აღნიშნული მითითება ზოლის ძირი ნაწილში, რომელიც ჯრის უღელტეხილის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს, ჩემი დაკირცხულებით არ მართლდება. საზღვარი მერგელოვან-თიხოვანი ქანების და წვრილმარცვლოვანი მკვრივი ქარსისშემცველი ქვიშაქვების მორიგეობით წარმოდგენილ დასტისა (აალენური?) და შრეებრივი ტუფოგენების დასტის შორის ფაციესურად საკმაოდ მკვეთრია. უკანასკნელში ლიასური წყებისათვის დამახსიათებელი თახა-მერგელოვანი ქანების მსგავსი შრეების და შუაშრეების მონაწილეობა არ შეიმჩნევა. ეს გარემოება ლიასისა და ბაიოს შორის საზღვრის პირობითად გატარებას

საკმაოდ ააღიფლებს. უნდა ითქვას, რომ მასივის პერიფერიის ჩრდილო-აღშო-სავლეთ ნაწილის შუაიურული ვულკანოგენური სერიის გეოლოგია და პეტ-როგრაფია ჯერ კიდევ არაა სრულყოფილად შესწავლილი და შემდგომ კვლე-ვს მოითხოვს. ეს მით უფრო სასურველია, რომ აღნიშნული ზოლი საქართვე-ლოში ერთ-ერთ საუკეთესოს წარმოადგენს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრისათვის, როგორიცაა ლიასისა და ბაიონის შორის საზღვრის გატარება, შუაიურულ ვულკანოგენურ წარმონაქმნებში ვულკანური პროდუქტების ამოფ-რქვევათა თანმიმდევრობის ხასათის დადგენა, საქართველოს ბელტისა და სამ-ხრეთი ფერდის გოსინკლინს შორის საზღვრის გავლება და სხვ.

გ. ძოწენიძის მონაცემებით (1948, გვ. 39, 51) მასივის ჩრდილო პერიფე-რიაზე პორფირიტული სერიის ქვედა პორიზონტები სპილიტური პიროკლას-ტოლითებით არის აგებული. ამავე მეცნიერის (1938) მიერ მეზობელი რაი-ონების (ჩემო-რაჭა და სამხრეთ ოცეთი) შუაიურულ ვულკანოგენურ წარმო-ნაქმნებში დადგენილია პორფირიტული ქანების ამოფრქვევას შემდეგი სქემა: ყველაზე ძველია სპილიტური პირფირიტები, მათ მოჰყვება რქატყუარიან-ლაბ-რალორიანი პორფირიტები, შემდეგ პლაგიოკლაზიანი პორფირიტები და, ბო-ლოს, ავგიტანი პორფირიტები ფუძე ბლაგიოკლაზით. შემდგომი გამოკვლევე-ბით დგინდება, რომ აღნიშნულ თანმიმდევრობას საქართველოს სხვა რაიონებ-შიც აქვს ადგილი და, მაშასადამე, მოვლენას, ეტყობა, რეგიონალური ხასიათი აქვს. მიუხედავად ამისა, მაკვლევი რაიონის ბაიოსურ სერიაში ქანთა ცალკეული ტიპების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ რამე გარკვეულ კანონზომი-ერებაზე ლაპარაკი ჭერჭერობით არ ხერხდება. აღნიშნულ რაიონში, აგრეთვე მასივის სამხრეთ პერიფერიაზე გაფრცელებულ შუაიურულ ვულკანოგენებში, „ნამდვილი“ სპილიტების მონაწილეობა, ლიტერატურული წყაროებისა (ჩი-ხელიძე, 1950 და სხვ.) და ჩემი მასალების მიხედვით, არ შეიძჩნევა. მართალია, მასივის აღნიშნული ნაწილების ბაიოსურის ქვედა ნაწილში დადგენილა ალ-ბიტიზებული პლაგიოკლაზიანი პორფირიტების აჩსებობა, მაგრამ ისინი, ს. ჩიხელიძის (1950) თანახმად, სპილიტების ანალოგებად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან ნათლად ჩანს ალბიტის მერადი წარმოშობა (ქანის მყარ მდგომარეობაში მიმ-დინარე ავტომეტამორფიზმის შედეგად) და ერთ შლიფში გახვდება ლაბრადო-რის როგორც სრულიად საღი, ისე ნაწილობრივ ან მთლიანად ალბიტიზებუ-ლი მარცვლებიც.

მასივის სამხრეთ და აღმოსავლეთ პერიფერიების ბაიოსურში სპილიტების არარსებობის ფაქტი შესაძლებელია მიუთითებდეს მასივის აღნიშნული რაი-ონების და ჩრდილო ნაწილის შუაიურული ვულკანოგენური წარმონაქმნების სხვადასხვა გეოტექტონიკურ პირობებში წარმოშობაზე. როგორც გ. ძოწენიძე აღნიშნავს (1948, გვ. 334), სპილიტები გეოსინკლინური ზონების გარეთ არ გახვდება და ამიტომ ლოგიკურია დაშვება, რომ თვით გეოსინკლინიც გარკვე-ულ როლს თამაშობს ამ ქანების წარმოშობაში. შესაძლებელია ზემოაღნიშნუ-ლი ფაქტი იმითაც აიხსნას, რომ მასივის სამხრეთ-დასავლეთ, სამხრეთ და აღ-მოსავლეთ პერიფერიულ ნაწილებში ბაიოსი, ი. კახაძის მონაცემებით (1947, გვ. 68), ქვემოდან მეორე ზონით იწყება — აკლა ქვედა, *Witchellia laeviuscula*-ს ზონა. საკითხის დაზუსტებისათვის შემდგომი კვლევაა საჭირო.

მასივის პერიფერიის აღმოსავლეთ ნაწილში შუაიურული ვულკანოგენუ-რი წარმონაქმნების ასაკი, პალეონტოლოგიური მასალის არარსებობის გამო,

უშუალოდ არ იჩვევა. მის ფარგლებს გარეთ, ძირულა-შროშის რაიონში ვულ-კანოგენური სერიის ბაიოსური ასაკი პ. გამყრელიძე მ და ს. ჩხერიძემ (1933) ფაუნის საფუძველზე დაადგინეს. ფაუნისტურად და აგრეთვე ლიასურთან ურთიერთობით არის დასაბუთებული მასივის ჩრდილოაღმოსავლეთ პერიფერიის ვულკანოგენური სერიის ბაიოსური ასაკიც (Kaxadze, 1947). მეორე მხრივ, მათ შუა მოქმედული მასივის აღმოსავლეთ ნაწილის და ჩხერიმელის ხეობის პორფირიტული სერია, როგორც ზემოთ არის ნაჩვენები, ერთ მთლიან სტრატიგრაფიულ ერთეულს და, ამავე დროს, მათ ჰორიზონტალურ ფაგრძელებას წარმოადგენს, ამიტომ ისიც ბაიოსურს უნდა მიეკუთვნოს. მასივის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილისაგან განსხვავებით, დანარჩენ ნაწილებში ბაიოსური ქვევიდან მეორე, *Otoites sauzei*-ს ზონით იწყება. სმ რაიონებში ბაიოსზე ტრანსგრასიულადა განლაგებული ბარემული ნალექები, რის გამოც მისი ზედა ნაწილები უმეტეს აღგილებში გადარეცხილია. ამიტომ მასივის აღნიშნულ ნაწილებში ბაიოსური სართული უმთავრესად შუა ნაწილით უნდა იყოს წარმოდგენილი.

მ უ ა ვ ე ქანები პორფირიტულ სერიაში. პორფირიტული-სერიის შემადგენლობაში ზოგჯერ მუავე ქანებიც მონაწილეობს. ისინი წარმოდგენილია საკმაოდ მძლავრი დაიკების და განვენების (?) სახით.

მუავე ქანები, წარმოდგენილი ორთოკლაზიანი პორფირებით (კერატოფირებით?), როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, გვხვდება ჩუმათელეთ-ცედანის ზოლში, სადაც მათ ბაიოსური სერიის ზედა ნაწილში გაბატონებული როლიც კი ეკუთვნის. განსაკუთრებით ფართოდა ისინი განვითარებული შუალელის ჭრილში, სადაც ორთოფირების რამდენიმე მძლავრი (250—300 მ-მდე) სხეული მონაწილეობს.

სოფ. ბიჯნისის ჩრდილო მიდამოებში ქანი პეტროგრაფიულად პირველად გ. სმირნოვმა, ნ. თათრიშვილმა და თ. ყაზახსშვილმა (1938) შეისწავლეს. მისი მოკლე მიეროსკოპული დახასიათება მოცემულია აგრეთვე დ. ჯილურის და თანავტორების 1959 წლის ანგარიშში. მათი მონაცემებისა და ჩვენი მასალის მიხედვით ქანი მიკროსკოპულად შემდეგი ხსაიათისაა: სტრუქტურა პორფირული, ატაქსიტური; ძირითადი მასა წარმოდგენილია თითქმის შავი გაუმჭვირეალე მინის ბაზისით, პლაგიოკლაზის მიკროლითებით, კვარცისა და მალენეული მინერალის მარცვლებათ. კვარცი მცირე და თანაც არათანაბარი რაოდენობით თითქმის ყველა ნიმუშში გვხვდება; წარმოდგენილია სხვადასხვა ზომისა და ფორმის მარცვლებით, ზოგჯერ მარცვლების აგრეგატების სახითაც. ძირითად მასაში კვარცთან ერთად ზოგჯერ ქალცედონის რადიალურ-სხივოსნური აგრეგატებიც შეინიშნება. ქანი მუქ მინერალებს არ შეიცავს. მისი მუქი (მოისისფრო) ფერი განპირობებულია მაგნეტიტის არსებობით, რომელიც ზოგან მცირე უბნებსაც კი ჰქმნის. პორფირული გამონაყოფები ქანის მასის თითქმის 1/3 ნაწილს შეადგენს და წარმოდგენილია პლაგიოკლაზისა და კალიშპატის საკმაოდ მსხვილი კრისტალებით. პლაგიოკლაზი უმთავრესად შეცვლილია, რაც მის ზუსტად განსაზღვრას აძნელებს; გარღატეხის მიჩვენებელისა და ორმაგი სხივთტეხის სიღილის მიხედვით იჩვევა, რომ იგი უმ-

თავრესად მუავე ხასიათის, ალბიტ-ოლიგოკლაზის რიგის უნდა იყოს. კალი-შპატი თითქმის ყოველთვის პერტიტული სტრუქტურისაა და მისთვის დამახა-შეიათებელი შეცვლის პროცესტებით ხასიათდება. ხშირად ისიც შეფერილია რენის ჰიდროფუნგით, რომელიც მასში ნაპრალებით არს შესული. იშვიათად შეიმჩნევა ქლორიტის ფსევდომორფოზებიც კარბონატის და მეორადი კვარ-ცის გარცვლებით. გვხვდება აპატიტის პრიზმები და მაღნეული მინერალის მარცვლებიც. კალიშპატების გაზომვის შედეგები მოყვანილია გ. სმირნოვის და თანავტორების შრომაში (1938).

ქანის ქიმიური ანალიზის შედეგები (გადმომცა ი. ხმალაძემ) შემდეგია:
 SiO_2 —69,07, Al_2O_3 —13,10, Fe_2O_3 —3,68, FeO —1,98, TiO_2 —0,20, MnO —0,07
 CaO —0,64, MgO —0,51, K_2O —3,80, Na_2O —6,10, P_2O_5 —კვალი, სინესტე—0,14, ხურებითი დანაკაჯები — 0,34. ამ მონაცემების მიხედვით ქანი კერატო-ფირების რიგს უნდა მიეკუთვნოს.

აღწერილი მუავე ქანები ზოგან ლავური ბრექჩიის ბუნებისაა (მდ. შუა-ლელის მარცვენა ნაპირი — ბარემული კირქვების საგებიდან დაახლოებით 350 მ დაშორებით და სხვ.). გარდა ამისა, ველზე მიღებული შთაბეჭდილებების მიხედვით, ისინი მომცველ პორფირიტულ ქანებთან მორიგეობს. ამ და ზოგი სხვა ნიშნის მიხედვით ქანები განთვენების სახით უნდა იყოს განლაგებული. მეორე მხრივ, მათი ურთიერთობა ლიასურ და პალეოზოურ წარმონაქმნებთან (იხ. გვ. 25), აგრეთვე ბარემულ კირქვებთან (მდ. წაბლარისღლის მა-რცხენა ფერდობი, სოფ. ცივწყაროს ჩრდილო-აღმოსაფლებო მიდამოები) ისე-თია, რომ ისინი შესაძლოა გამკვეთიც კი იყოს. საყითხის ერთმნიშვნელოვანი გადაწყვეტილისათვის დამატებითი კვლევებია საჭირო.

დაიკების სახით მუავე ქანები უმთავრესად მდ. ლოპანიშვილისა და მე-ტესისტულის ხეობებში გვხვდება. ერთ-ერთი ასეთი დაიკა გვხვდება სოფ. ყო-ბის ჩრდილო-აღმოსაფლეთის მიდამოებში, სახელდობრ, ხევა-ლელეში. მეორე და-კა ფიქსირებულია მდ. ლოპანისწყალზე, სოფ. გვირგვინის ქვემოთ (სურ. 4). ორივე ადგილზე სხეულები პალეოზოურ კრისტალურ ქანებსა და შუალიასურ ნალექებს შორისა შევრილი. დაიკების შემადგენელი ქანების პეტროგრაფი-ული და ქიმიურ-მინერალოგიური დახასიათდება მოცემულა ა. ფლორენსკის და გ. ბარსანვის შრომაში (1936). ავტორები ყობის სხეულის ამგებ ქანს კვა-რციან კერატოფირს უწოდებენ, ხოლო გვირგვინის დაიკას ქანს კი — კვარციან ორთოფირს. გ. ძოწენიძე (1948, გვ. 66), აღნიშნული ფტორების მონაცემებზე დაყრდნობით, უფრო მართებულად თვლის ქანს ორივე შემთხვევაში კვარც-პორფირი ეწოდოს.

ხევა-ლელის გასწვრივ კვარცპორფირი 180—200 მ სიგრძეზეა გაშიშვლებული. მასში ხშირად გვხვდება ლიასური თიხა-მერგელოვანი ქანების ქსე-ნოლითები. თვით ძირითად განლაგებაში მყოფი კვარციანი ქვიშაქვის (დო-შერულის ფუძის წარმონაქმნი) და კვარცპორფირის კონტაქტში ცხადად ჩანს უკანასკნელის შეცხობა და თერმული ზეგავლენა პირველზე. ასე რომ, კვარც-პორფირი შეალიასურის შემდგომია. მეორე მხრივ, ხევა-ლელის ლიასურ ნალე-ქებზე განლაგებულ ბათოსურის ბაზალურ ფორმაციაში (ბრექჩია-კონგლომე-რატი) მნიშვნელოვანი რაოდენობით გვხვდება კვარც-პორფირების სუსტად

დამუშავებული ნატეხები და ქვაზეგალები, რომლებიც ინტრუზის შემადგენული ქანისაგან თითქმის არცრით არ განსხვავდებიან (ლობჟანიძე, 1969). თანაც, ამ უბნისაგან მოშორებით (სოფ. წერელისის მიდამოებში და სხვაგან), უშუალოდ პალეოზოურ ქანებზე განლაგებულ ბაიოსურის ფუქეში, კვარცპორტფირული მასალა აღარ შეიმჩნევა. გარდა ამისა, ხევა-ლელის კვარცპორტფირული სხეული გაკვეთილია პორფირიტული ქანების დაიკებით, რომლებიც ბაიოსური სერიის ძალული ქანების სინქრონული უნდა იყოს. აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ხევა-ლელის კვარცპორტფირული ეჭისტრუზივი ზე-დალიასური ასაკის უნდა იყოს.

სოფ. გვეირგვინას ქვემოთ, ლიასურისა და პალეოზოურის საზღვარზე გა-შიშვლებულ კვარციან ორთოფირში კარგად ჩანს ფლუიდალური ტექსტურა და ნაპრალიანობა მის გასწვრივ, რის საფუძველზეც დგონდება, რომ დაიკა-დაქანებულია სამხრეთ-სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ ციცაბო ($70-80^{\circ}$) კუთხედან და სამხრეთ-სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ ციცაბო ($20-30^{\circ}$) კუთხედან. მისი ხილული სისქე 70 გ. მდგრა. ამ შუალიასურის შემდგომი ეჭისტრუზივის ზედა ასაკობრივი საზღვრის გარკვევა საველე დაკვირვებების მიხედვით არ ხერხდება.

უშუალოდ ბაიოსურ წარმონაქმნებში მეუავე ქანების მძლავრი დაიკები და განცენები (?) გვხვდება ისევ მდ. ლიანის შიშვლის ხეობაში — სოფ. გვირგვინას ზემოთ უსა მდ. მეტეხისწყლის მარცხენა ნაპირის გასწვრივ (სოფ. ქალეთიდან ჩამომავალი ღელის შესართავთან და სოფ. ბალთადან სოფ. მეტეხისაკენ მიმავალი გზის პირას). ეს ქანები ფლორენსკისა და ბარსანოვს (1936) აღწერილი აქვთ კვარცპორტფირების სახელწოდებით, მხოლოდ შენიშნავენ, რომ სტრუქტურის ხასათასა და Na_2O -ს მნიშვნელოვანი რაოდენობით მონაწილეობის მიხედვით ისინიც კერატოფირების და ორთოფირების არიგს უნდა მიყენონ. გ. ძოწენიძე (1948, გვ. 68) შენიშნავს, რომ ფლორენსკისა და ბარსანოვის შრომაში მოყვანილი კიმიური ანალიზი მიუთითებს ქანის მომცემი მაგმის დაცუტურ და არა ლიანისტულ შედგენილობაზე, რის გამოც მას კვარციან ალბიტოფირი უნდა ეწოდოს.

ს. ქალეთიდან ჩამომავალი ღელის შესართავთან მეუავე ქანი გაშიშვლებულია მეტეხისწყლის (დასავლეთ ფრინეს) როგორც მარცვენა, ისე მარცხენა ნაპირზე. ქანი მოყავისფრო-მონაცრისფროა, ლავური ბუნების — მასში ხშირად გვხვდება ბაიოსური ტუფიტების მისგავსი ქანების ჩანართები, ბომბისებური სხეულები, შლაკური უბნები და დინების კვალი. იგი პორფირია, ემჩნევა ფლუიდულური ტექსტურა. მდინარის მარცხენა ნაპირზე ქანში ძალიან კარგადაა განვითარებული ხუთეულთხა სვეტური განწევრება. სვეტები ზოგადად დაქანებულია სამხრეთ-დასავლეთისაკენ (220°) 70° -ანი კუთხით. აქედან გამომდინარე, აგრეთვე ფლუიდულური ტექსტურის მიხედვით დგინდება, რომ ამ ადგილზე სხეულის წოლის ელემენტებია: დაქ. აზ. NO 45° , $\angle 25-30^{\circ}$. ქანში ხშირად შეიმჩნევა ჩრდილო-აღმოსავლური მიმართების ნაპრალები, დაქანებული ციცაბო კუთხით ჩრდილო-დასავლეთისაკენ, რომელთა ჭედაპირებზეც კარგად ჩანს პორიზონტული გადაადგილების (განსხლეტის) ნიშნები. აღსანიშნავია, რომ ამ ლავური ქანის ნაჩენზე, ორ ადგილზე, ნაყარში შეგვხვდა ობიდიანის ნატეხები.

ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი დან ბაიოსურის და ამ მეტავე ლავური ჭანის ნაჩენები სარმატული ნალექებით იფარება. გვიმორფოლოგიური დაკვირვებებითაც ჩანს, რომ ლავური ქანი ხეობის გამომუშავებაში უნდა იყოს ჩამოყალიბებული. ასე რომ, ფოფუზივის ასაკი ბაიოსურის შემდგომი და სარმატულისწინა დროით ზნდა იქნას განსაზღვრული. უფრო ზუსტად რაიმე გარკვეულის თქმა ფერგულობით არ ხერხდება.

სოფ. ბალთის ჩრდილო კიდესთან, მდ. მეტებისწყლის მარცხნა ფერდობზე (სასაფლაოსთან) 20×20 კვ. მ ფართობზე, ამაღლებულ გამოსავალს იძლევა ღია-მიკვარციფისფრო, საკმარის სალი ალბიტოფირული ქანი, რომელშიაც პორფირული გამონაყოფები მოწითალო ფერის მინდვრის შპატებით არის წარმოდგნილი. სხეული მოქცეულია ბაიოსურ ტუფოგენებში, რომლებშიაც კარგად იზომება შრეებრივობა—დაჭ. $335-340^\circ$, $\angle 65-70^\circ$. ასეთივე ელემენტები იზომება თვით მეტავე ქანშიც. მაშასადამე, სხეული შრეებრივი ფორმისაა. მისი უშუალო შეხება ბაიოსურ ქანებთან არ ჩანს, რას გამოც ძნელია დადგენა შრეძარღვთან გვაქვს საქმე თუ განფენთან. თუ ქანის ხასიათს გავითვალისწინებთ (პორიანობა, ფლუიდალური ტექტურა და სხვ), უფრო ლავურ განფენთან უნდა გვქონდეს საქმე.

მდ. ლოპანისწყლის მარცხნა ნაპირზე, ბაიოსურში მოქცეული ლიასური კვარციანა ქვიშაქვებისა და ზოოგენური კირქვების ნაჩენიდან წყალდაღმა 30 მ დაშორებით (სოფ. ლოპანის ქვემოთ), შიშვლდება 15—20 მ სისქის ბრექჩიული ზემინის ალბიტოფირული ქანი, რომელიც აქტედან აღმოსავლებით თითქმის უწყვეტლივ გარდენება მდ. მეტებისწყლაში. იგი დაიკის სახითაა შეკრილი ბაიოსურ ვულკანოგენებში და სიერცობრივად შუასარმატულის შემდგომ ბალთის რღვევას უკავშირდება.

II. ცარცული სისტემა

ქვედა ცარცი

სურამის ქედის აღმოსავლეთ ფერდობზე ქვედაცარცული ნალექების არსებობა პირველად დიუბუა დე მონპერემ აღნიშნა (1839, ტ. II, გვ. 351—362). შემდეგ ჰ. აბიხმა (1858, გვ. 136—137) დიუბუას ეს მითითება უარყო და გამოთქვა აზრი, რომ ამ ზოლში მხოლოდ ზედა ცარცი არის წარმოდგენილი. ე. ფური (1875, გვ. 19, 72) ჰ. აბიხმას შეხედულებებს იმეორებს. უფრო მოვეანებით ა. სორიკინმა (1880, 1885) და ს. სიმონოვიმა (1892) აბიხის შეცდომა გამოასწორეს და სურამის ქედის აღმოსავლეთ ფერდობზე ზედაცარცულთან ერთად აღნიშნეს „გოლტური“ ნალექებიც, რომლებშიც გამოკვეუს „კაპროტინებიანი“ კირქვები („ურგონული სართული“), თიხიანი კირქვები და მერგელები (აპტური სართული) და „Haploceras“ beudanti Brongn.“—სის შემცველი მწვანე გლაუკონიტიანი ქვიშაქვები. ე. ფურნიემ (1896, გვ. 124, 155) ფონა-სურამის ჭრილში ქვედაცარცული ნალექების არსებობა კიდევ უფრო დამაჯერებლად დაასაბუთა. მან აქ ნეოკომური, ურგონული, აპტური და ალბური (გოლტური) სართულები ცალჩეულ ლითოლოგიურ-ფაუნისტურ ჰორიზონტებად დაანაწილა. კერძოდ,

„ურგონულ სართულში“ რეა ჰორიზონტი გამოჰყო, აპტურში — ორი, ხოლო ალბურში — ხუთი (გვ. 136, ჭრ. XVII). ქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მან სურა-შის რაიონში ურგონული „სართულის“ ქავშ სრულიად უსაფუძვლოდ ვალან-ჯინური და ჰორივული ნალექების არსებობაც დაუშვა.

1932 წელს პ. გამყრელიძემ გეოლოგიურ რუკაზე პირველად დაიტანა ქვედა ცარცის ცალკეული სართულები, დაბზუსტა თვითეული ამ სართულის ნალექთა ფაციესები და სიმძლავრეები, მიუთითა მათ მსგავსებაზე მდ. ჩერი-მელის ხეობის სინქრონულ წარმონაქმნებთან, აღნიშნა აპტურ კირქვებისა და მერგელებში გარგაზული ეპიხელონიცერასების არსებობა.

1932—1933 წლებში, სურამის ქედის აღმოსავლეთი ფერდობის გარკვეულ უბნებში, ცარცული ნალექების ზოგადი შესწავლა მოუხდათ ს. ჩერელიძეს (1948) და ნ. კანდელაქს. მცირე ცნობებს სურამის რაიონის ქვედაცარცულის შესახებ ვხვდებით ბ. მეფერტის შემაჯამებელ შრომაშიც (1941). მდ. ჭერათხევის გასწვრივ ქვედაცარცული ნალექების ჭრილი საკმაოდ დეტალურად აქვს აღწერილი მ. ვარენცოვს (1950, გვ. 21—27). თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ მის ფაუნისტურ მონაცემებზე დაყრდნობა (აღნიშნულ ჭრილში) ზოგჯერ გარკვეულ გაუგებრობას იწვევს.

საქართველოს ქვედაცარცული სექციის შესწავლასთან დაკავშირებით, მდ. ორხევის გასწვრივ ჭრილი შედგენილი აქვს მ. ერისთავს (1952), რომელ-საც ცალკეული სართულების ნალექთა ლითოლოგიური დახასიათების გარდა, ფაუნისტურად აქვს დასაბუთობული კლანსეური ჰორიზონტის და ტარდეფურ-კატას ზონის არსებობა.

1958 წელს ძირულის მასივის აღმოსავლეთ პერიფერიულ ნაწილში გეო-ლოგიური აგეგმვა ჩატარეს დ. ჯილაურმა, მ. გიორგანაშვილმა და სსკ., რომელმაც სათანადო ანგარიში ქვედაცარცული ნალექების ჭრილებიც აღწერეს (მდ. ორხევისა და მდ. ჭერათხევის გასწვრივ).

ამგვარად, მისალებს ძირულის მასივის პერიფერიის აღმოსავლეთი ნაწილის ქვედაცარცული ნალექების შესახებ საკმაოდ მრავალრიცხოვან შრომებ-ში ვხვდებით. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნალექებში ფაუნის დეტალური შევროვება და შესწავლა არავის უწარმოებია. ამიტომ ცალკეული ლითოლოგიური ჰორიზონტის ასაკი უმეტეს შემთხვევებში დაუსაბუთებელი იყო საზღვრები გამოყოფილ სართულებს შორის ხშირად დაზუსტებას მოითხოვდა. დაზუსტებას საჭიროებდა აგრეთვე ნალექების სიმძლავრეები, ფაციალური ცვლის საკითხები და ა. შ.

ძირულის მასივის აღმოსავლეთ პერიფერიაზე ქვედა ცარცი წარმოდგენილია ბარემულით, აპტურით და ალბურით. ეს ნალექები მდ. ჩერიმელის ხეობის შესაბამისი წარმონაქმნების უშუალო გაგრძელების წარმოადგენს და სურამის უღელტეხილიდან სოფ. ცივწყარომდე უწყვეტი ზოლის სახით ვახვდება. უფრო ჩრდილო-აღმოსავლეთით ისინი მიოცენური ნალექებით იფარება და მხოლოდ ხეობებში შიშვლდება იზოლირებული გამოსავლების სახით. შესწავ-ლილ ზოლში ქვედაცარცული ნალექების სრულ და კარგად გაშეშვლებულ ჭრილების მდ. ორხევი, შუალედუ და ჭერათხევი იძლევა, სადაც ქვედაცარცული ნალექები მიმართებაზე მჯვერი ფაციალურ ცვლილებებს არ განიცდის (სურ. 11).

ქვედაცარცული ნალექების პირველი სრული ჭრილი მდ. ორხევის გასწვ-რივ, სოფ. ჩუმათელეთის მიღამოებში არის წარმოდგენილი, სადაც:

1. მასივის პალეოზოურ გრანიტოდებზე უშუალოდაა განლაგებული ბრექჩიული ქანის შრე, აგებული კრისტალური ქანების, უმოარესად გრანიტოდების, და თვით ქვედაცარცული კირქვების ნატეხებით, რომლებიც „შეცემენტებულია“ მომწვანო-ნაცრისფერი და მოყვავისფრო თიხებია. სისქე 1,8—1,0 მ.
2. მოყვითალო-მონაცრისფრო საშუალო- და წერილმარცვლოვანი შრეებრივი, ხშირად დოლომიტიზებული კირქვები მომწვანო და მოლურჯო-მონაცრისფრო თხხოვანი ქანების ცალკეული უბნებით და გამოკულებით შუაშრებით. კირქვებში იშვიათად შემჩნევა კვიშიანი მსალის მცირე მინარევი, ცალკეული შრეების სისქე 0,8—1,0 მ-დან 2,5—3,0 მ-დან აღწევს. 46,5 მ.
3. მოყვავისფრო მკვრავი წერილმარცვლოვანი დოლომიტიზებული კირქვა, რომელიც ცუდად დაცულ ფაუნას (რეკვინიები?) შეიცავს. 2,6 მ.
4. ხარვეზი გაშიშვლებაში. 3,0 მ.
5. მუქი მწვანე თიხი (გათიხებული პელიტური ტუფი). შლიფში ჩანს პლაგიოკლაზის წვრილ ნატეხები. გამორიცხული არა, რომ ქანი ბენტონიტისებულ თხხას წარმოადგენდეს. 1,0 მ.
6. მოყვითალო-ნაცრისფერი მკვრავი წერილმარცვლოვანი კირქვები თიხების შუაშრებით. 1,1 მ.
7. აფთირი (მოვარდისფრო ელფერით) მიქრომარცვლოვანი მკვრივი დანაპარალინებული კირქვა. ნაპარალები კალციტთა ამონებული. ზედა ნაწილში ქანი უფრო ძლიერ არის დანაპარალებული და შეიცავს რეკვინიებს. 8,5 მ.
8. მონაცრისფრო წერილმარცვლოვანი კირქვებისა და მომწვანო თხხების თხელშრებრივი დასტა. 0,8 მ.
9. მკვრავი წერილმარცვლოვანი კირქვიანი დოლომიტი. 2,8 მ.
10. მოყვითალო-მოყვავისფრო მკვრივი წერილმარცვლოვანი შრეებრივი კირქვები (0,3—1,0 მ) მომწვანო ქვიშიანი თიხების შუაშრებით. 5,0 მ.
11. მოყვითალო (მოვარდისურ-მოყვავისურ შეცვლილი უბნებით) კრისტალურ-მარცვლოვანი მასიური დოლომიტიზირებული კირქვა. 7,0 მ.
12. ღია ფერის (მოყვითალო ელფერით) მკვრავი მიქრომარცვლოვანი რექვინიებიანი კირქვა. 6,0 მ.
13. ბრექჩიულ-კონგლომერატული კირქვა, მდიდარი დიდტანინი ეგზოგირების ნიუბ-რებით (ეგზოგირებიანი შრე). ზერში ეგზოგირების (Exogygra latissima a Lam.) და სხვ. გარდა გვხვდება სხვა ფაუნაც—ბრაქიოპოლიტები, ორსაგდულიანები, თავთფებიანები, პარარეზოლიტები და ა. შ. შრის სისქე 1,8—2,0 მ.
14. მონაცრისფრო (გამოფიტებისას მოყვითალო) ნაპარალოვანი ფიცხი, ხშირად გაყა-ჟებული, თხელშრებრივი კირქვები და ქვიშიანი კირქვები, შიგ. Plicatula inflata Sow., Panopaea cf. gurgitis Brongn. 30—35 მ.
15. მერგელოვანი გლაუკონიტინი ქვიშიერების, ქვიშიან-მერგელოვანი კირქვების და ქვიშიანი მერგელების მორიგეობა. ქანების ფერი ვალებაღობს ღია ნაცრისფერიდან მუქ ნაცრისფერამდე. დასტაში ნაპოვნია Mesohibolithes brevis Schw.. Cokombiceras sp., Inoceramus cf. neocomiensis d'Orb., Plicatula inflata Sow., Pl. placuna Lam. და სხვა ცუდად დაცული ფაუნა. დასტას გამოსავალი მდ. ნარის გასწვრე 85—90 მეტრზე. 24,0 მ.
16. ნაცრისფერი ქვიშიანი მერგელები და იშვიათად (ქვედა ნაწილში) ქვიშიან-მერგელოვანი კირქვები. უკანასკნელებში ნაპოვნია Acanthohoplites cf. laticostatus Sinz., Lima gaultina Woods, Plicatula sp. დასტას მდინარის გასწვრე დაახლოებით 90 მ ინტერვალი უკავია. სისქე 20 მ-მდე.
3. გ. ლობუანაძე

17. ნაცრისფერი, შედარებით მკვრივი, არაცხადშრეებრივი ქვიშიანი მერგელები, რომელიც აღმავალ ჭრილში თანდათან მსხვილმარცლოვანი ხდებიან და გადადიან კარბონატულ ქვიშაქებში. ფაუნა იშვიათა; ნაპოვნია *Plicatula inflata* Sow., *Lima* cf. *gaultina* Woods. ქანების გმოსავალი მდინარის გასწვრივ 110 მ სიგრძეზე შეიმჩნევა. სისქე — 27 მ-დე.

18. ხარვეზი გაშიშვლებაში (მდინარის გასწვრივ 20 მეტრზე), 3,5 მ.

19. მორუხო არაცხადშრეებრივი (მასიური?) გლაუკონიტიანი ტუფქვიშაქები. აღმავალ ჭრილში მარცვლების ზომა თანდათან მატულობს და ქანი პასამიტურიდან პასამიტურ-პსეფიტური სტრუქტურის ხდება.

მიკრისკოპში ქანის ნატეხი მასალა ტუფურია და უმთავრესად წარმოდგენილია პლაგიოფაზის იდიომორფული კრისტალებით და ნატეხებით (0,1—0,8 მმ). კრისტალები უმთავრესად სალია, მაგრამ ზოგჯერ გაკრძონატებაც ემჩნევა. დამახასიათებელია პოლისინთეტური მრჩებლები; გვხვდება ზონალური კრისტალებიც. გარდატების შაჩქენებელი მეტია კანადის ბალზამზე (ანდზინის რიგისაა ან უფრო ფუქსი). ქანში დადი რაოდენობით არის გლაუკონიტის იზომეტრული მარცვლები (0,2—0,5 მმ ზომის). მცირე რაოდენობით გვხვდება ბიოტიტის ქერცლებიც. ცემენტი ბაზალტური ტიპისაა, წარმოდგენილი მთლიანად კარბონატით. მასში ხშირია მიკროფაუნის ნაშთები.

„შრის“ სულ ქვედა ნაწილში ნანახაა: *Aucellina aptiensis* Pomp., *A. cf. caucasica* Buch., *Neohibolites* sp. ind. სტრატიგრაფიულად 1,3—1,5 მ-ით მაღლა, 0,5 მ ინტერვალში, ნაპოვნია ძალიან მდიდარი და საინტერესო ფაუნა, საიდანაც განსაზღვრულია ამონიტები: *Leymeriella tardefurcata* Leym., *L. tardefurcata intermedia* Spath., *L. tardefurcata orchewiensis* Lohj. subsp. nov., *L. aff. revili* Jac., *L. regularis* Brug. *L. regularis crassa* Spath., *L. bogdanowitchi* Glas., *Douvilleiceras mammillatum* Schloth. (უხვად), *Puzosia* cf. *quenstedti* Par. et Bon., *P. aff. mayoriana* d'Orb., *Desmoceras latidorsatum* Mich., *Uhligella walleranti* Jac., *Beudanticeras beudanti* Brongn., *Tetragonites timotheanus* Mayor (ბევრი), *Euphylloceras velledae* Mich. (უხვად), *Ptychoceras cf. laeve* Math., ორსაგდელანები: *Cuspidaria* aff. *undulata* Sow., *Astarte allobrogensis* Pict. et Camp., მუკელფენები: *Nerinella utrillasi* Vern. et Lor., *Metacerithium monense* Buv., *Turbo* sp. ex gr. *michailensis* Pict. et Camp., *Trochus* sp. ind.

ამავე შრის სულ ზედა ნაწილში, აღნიშნული მდიდარი ფაუნის აღების ადგილიდან 8,5 მ მაღლა (სტრატიგრაფიული) ნაპოვნია *Douvilleiceras munile* Sow., *Plicatula gurgitis* Pict. et Roux. შრის სისქე — 11—12 მ.

20. მუქი ნაცრისფერი თიხიან-ქვიშიანი მერგელები, იშვიათად მომწვან-ნაცრისფერი პასამიტური სტრუქტურის ფენირი გლაუკონიტიანი ტუფქვიშაქების შეუშრებით და ცალკეული უბნებით. თიხოვან-მერგელოვან ქანებშიც საკმაოდ დიდი რაოდენობითაა პირველადი ვულკანოგენი მასალის მინარევი, წარმოდგენილი ანდზინის რიგის, ან უფრო ფუქსი პლაგიოკლაზის (ძირითადად), ჩვეულებრივი რქატყუარის და მაგენეტიტის სრულიად დაუმუშავებელი კრისტალებით და მარცვლებით. ქანში საკმაოდ ხშირად შეიმჩნევა ანდზიტური ქანების ნატეხებიც, რომლებიც უმთავრესად პლაგიოკლაზის მიკროლითებით არის წარმოდგენილი. აღსანიშვნაია, რომ მუქ ნაცრისფერ თიხოვან-კარბონატულ ძირითად მასაში განხეული მოთეთრო პლაგიოკლაზის კრისტალები და მარცვლები ქანს დამახასიათებელ ელფერს ანიჭებს.


20 და 19 დასტების ფაცაესთა „ჭიდლის“ ინტერვალში (სასაზღვრო ზოლში), *D. monile*-ს აღების ადგილიდან 0,2—0,3 მ მაღლა, შეგროვილ იქნა *Hoplites dentatus* Sow., *Kossmatella* cf. *agassiziana* Pict., *Douvilleiceras* aff. *mammillatum* Schloth., *Desmoceras latidorsatum* Mich., *Puzosia* sp. ind.

დასტების ქვედა ნაწილში ნაპოვნია *Hamites* aff. *tenuicostatus* Spath., *Puzosia* sp. ind., *Neohibolites* sp. ind., *Inoceramus* cf. *anglicus* Woods და სხვა ცუდად დაცული ფაუნა, ხოლო შუა ნაწილში კი — *Inoceramus concentricus* Par k. (ბევრი). ზასტას მდანარის გასწვრივ 90 მ უკავია, სისქე — 25 მ.

21. ფონისაკენ გადასახვევი სამანქანო ეზის ხიდიდან წყალდაღმა, დაახლოებით 270 მ მანძილზე, უწყვეტ გამოსავალს იძლევა მუქი ნაცრისფერი ქვიშიან-თიხიანი მერგელების და მერგელოვანი თიხების დასტა, იშვიათად ნაცრისფერი, შედარებით მერგივი, კირქვიანი მერგელების შერებით (სისქით რამდენიმე სმ-დან 1,0 მ-მდე) და კიდევ უფრო იშვიათად მოლურჯო-მონაცრისფერ (მომწევანო ელფერით) პსამიტურ-პსეფიტური სტრუქტურის ფხვიერი გლაუკონიტიანი ტუფებიშვების შუაშრებით (0,02—0,30 მ). თიხოვან-მერგელოვანი ქანები დასტა 20-ში აღნიშნულის მსგავსი. შრების დაჭ. 115—1200, 18—20° 58 მ.

22. ხარვეზი გაშიშულებაში (მდინარის გაწვრივ 50 მ სიგრძეზე). 14 მ.

23. მოცისფრო პსამიტური სტრუქტურის ფხვიერი გლაუკონიტიანი ტუფოგენური (?) ქვიშები სენომანური ფაუნით (აქვე, 10-ოდე შევემოთ, მდ. ორხევის მარჯვნივ ბალათ-ხევი უურთლება).



სურ. 8. ჭრილი მდ. ორხევის გასწვრივ (სოფ. ჩუმათელეთის მიდამოები). 1—ჰედაბალეობური გრანიტოდები; 2 — ბაიოსური ვულკანოგენები; 3 — ღოლომიტიზებული კირქვები (ბარემი); 4 — ორგანოგენული კირქვები ჩერქვიენიგბით (ბარემი); 5 — თხელშრებრივი სუსტალქვიშიანი კირქვები (ქვედა აღმი); 6 — მერგელოვანი გლაუკონიტიანი ქვაშაქვები, ქვიშიან-მერგელოვანი კირქვები და მერგელები (გარაგაზული); 7 — ქვიშიანი მერგელები და კარბონატული ქვიშაქვები (კლანსეული); 8 — არაცხადშრებრივი გლაუკონიტიანი ტუფები (ქვედა აღმი); 9 — თიხიან-ქვიშიანი მერგელები და მერგელოვანი თიხები კირქვიანი მერგელებისა და გლაუკონიტიანი ტუფებიშვების შუაშრებით (ზეა და ზედა აღმი); 10 — თიხიან-ქვიშიანი მერგელები, გლაუკონიტიანი ტუფებიშვები და ქვიშიანი კირქვები (სენომანი).

მოყვანილი ჭრილის (სურ. 8) 1—12 შრები ეკუთვნის ურგონული ფაციესის კირქვების წყებას (სისქე 55 მ), რომელშიც გამოიყოფა შრებრივი ღალომიტიზებული კირქვების ჰორიზონტი (1—6), სისქით 25 მ და რექვიენიებიანი („კაპროტინებიანი“) კირქვების ჰორიზონტი (7—12), სისქით 30 მ. მე-13 ეგზოგირებიანი შრეა, ხოლო დასტა 14 კი — ურგონულისზედა თხელშრებრივი ფიცხი ქვიშიანი კირქვების ჰორიზონტი (ქვედაპტური), რომელიც აქამდე პირობითად ზედაბარემულადა მიჩნეული. დასტები 15—18 შეადგენს ზედა პტურ მერგელოვან წყებას; მათგან 15 და 16 გარგაზულს ეკუთვნის, ხოლო 17 და 18 კი — კლანსეულს. გლაუკონიტიანი ტუფებიშვები (დასტა 19) ქვედა აღმდებრია, ხოლო დასტები 20—21 და აღმათ 22 (ნაწილობრივ მაინც) შეადგენს საკმაოდ სქელ (90 მ-მდე) თიხა-მერგელების წყებას, რომელიც აღმის შუა და ზედა ქვესართულებს მოიცავს.

ქვემოთ მოცემულია აღნიშნული სტრატიგრაფიულ-ლითოლოგიური ერთეულების დახასიათება სართულებისა და ქვესართულების მიხედვით.

ბარემი

ბარემული ნალექები ტრანსგრესიულად და დიდი კუთხური უთანხმოებითაა განლაგებული ბაიოსის ვულკანოგენურ სერიაზე და ზოგან (მდ. ორხევის ხეობაში და სოფ. ბრილი-ალის ზოლში) — მასივის კრისტალურ ქანებზე. ამ ნალექებში, ველზე მუშაობის დროს, ძირითადად ორი პორიზონტის გარჩევა ხერხდება: 1) მოყვითალო-მონაცრისფერო და მოვარდისფრო შრეებრივი დოლომიტიზებული კირქვები, სისქით 20—30 მ (პ. გამყრელიძის მიხედვით, „b“ პორიზონტი) და მათზე განლაგებული, 2) თეთრი და ღია ნაცრისფერი ძლიერ მაგარი სქელშრეებრივი და მასიური რექვიენიებიანი კირქვები (ტიპიური ურგონული ფაციესი), სისქით 30—70 მ (პ. გამყრელიძის „c“ პორიზონტი). ზოლის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში (წიფილიან ცივწყარომატე) ბარემული ნალექების საგებში შეიმჩნევა გრაველიტების, ქვიშაქვების, კირქვიანი ქვიშაქვების და ქვიშიანი კირქვების (ფუძის ნალექები) მცირე სისქის დასტაც (პ. გამყრელიძის „a“ პორიზონტი), რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ თანდათან ისოლება. სოფ. ბრილის მიდამოებში და შის ჩრდილო-აღმოსავლეთით — მდ. ჭერათხევის, ლოპანისწყლის და მეტებისწყლის ხეობებში ქვედაცარცული ნალექების ფუძეში, ტერიგენული მასალა არ შეიმჩნევა, რაც შეეხება კონგლომერატებს, ისინი სურამის ქედის აღმოსავლეთ ფერდობზე ქვედაცარცულის საგებში არ-სად არ გვხვდება.

შესწავლილი ზოლის ბარემული ნალექები როგორც დაქანების, ისე მიმართების გასწერივ საგრძნობ ფაციალურ ცვლილებებს განიცდის. აღნიშნულის ნათელსაყოფად ქვემოთ მოცემულია ორი ჭრილის აღწერა.

სოფ. ფონას ქვემოთ, სამანქანო გზის გასწერივ, ზედანერკომური ნალექები თითქმის უწყვეტად არის გაშიშვლებული. ისინი თვით გზის პირას, ბათური ანაკის ხევის გრანიტორიტის ინტრუზიულ სხეულზე უშუალოდ განლაგებული, ხოლო გზის ქვეშ — მდ. ფონისწყლის კალაპოტის ქვეშ ბაიოსური ქანების მცირე სისქის დასტაა შემორჩენილი. ამ აღილზე, ბაიოსის პორფირიტულ ქანებზე, განლაგებულია:

1. მუქი ნაცრისფერი საქმაოდ მაგარი ალევრიტული სტრუქტურის კირქვიანი ქვიშაქვა. ქანი მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიცავს მცენარეთა განახშირებულ ჩანართებს, იგა ძირითადად შედგება კვარცის დაკუთხულ-სუსტადმორჩვალებული მარცვლებისაგან. უფრო მცირე რაოდენობით მონაწილეობს მუსკოვატის ქერცლები და მინდვრის ჟპატის პელიტიზებული მარცვლები. ცემენტი ბაზალური ტბისაა და წარმოდგენილია წკრილრისტალური კალციტით. სისქე 0,55 მ.

2. ნაცრისფერი კირქვიანი ალევრილიტი მცენარეთა განახშირებული ჩანართებით.

3. მოყვითალო-ნაცრისფერი ალევრიტული სტრუქტურის ქვიშიანი კირქვა განახშირებული მასალის ჩანართებით. 1,20 მ.

4. ღია ფერის წკრილმარცვლოვანი ქვიშიანი კირქვა, რომელშიც ტერიგენული მასალა უმთაგრესად კვარცის მარცვლებით და ქარსის ქერცლებით არის წარმოდგენილი. 0,60 მ.

5. ღია მოყვითალო-მონაცრისფრო მკვრივი წკრილმარცვლოვანი სუსტადქვიშიანი კირქვა კალციტის ძარღვაკებით და ცალკეული ბუდეებით. 1,0 მ.

უფრო ზემოთ, ღელის გასწერივ. 55 მ სიგრძეზე ხარვეზია გაშიშვლებაში.

აღწერილი დასტა (სისქით 3,6 მ) ფუძის ნალექებს უნდა მიეკუთვნოს. ეს დასტა სა-

ავტომობილო გზის პირს ათ ჩანს. აქ ბათურ ვრანოდიორიტებზე განლაგებული ბარე-
მული ნალექების (დაქ. SO 135—1400/18—200) აღმავალი ჭრილი ასეთია:

1. მონაცენისფრო ბრექჩიული აგებულების მაგარი ქვიშიანი კირქვა, 2,30 მ.
2. მოვარდისფრო-ნაცრისფერი მკარივი წვრილერისტალური სუსტალ ქვაშიანი კირქვა. შრის ქვედა ნახევარს ბრექჩიულობა ემჩნევა. ქანის ბორებში შეიმჩნევა კარბონატის საკმაოდ მსხვილერისტალური გამონაყოფება. იშვიათად ჩანს კვარცის წვრილი მარცვ-ლები, რომლებიც არათანაბრადაა განცეული ქანის მასაში. ვხვდებით პირიტს, წარმოდგენილს მიკრომარცვლების დანაცროვებების სახით. არის აგრეთვე რკინის პილროვან-გება (წანაცხებებისა და ზოლების სახით). 2,90 მ.
3. მოყვითალო-მონაცრისფრო მაგარი, ალაგ-ალაგ დოლომიტიზებული ორგა-
ნოგენულ-დეტრიტული კირქვა. მიკროსკოპში ჩანს ქანი აგებული ნიჟარებითა და მათი
შემაცემენტებებით პელიტომორფული, ზოვკერ მიკროკრისტალური კარბონატით, რომე-
ლიც ხშირად გავღენილია რკინის პილროვანებით. აქა-იქ ჩანს პირიტის მცირე ზომის
ჩანართები. იშვიათად შეიმჩნევა კარბონატის მსხვილერისტალური გამონაყოფები. ნიჟარები გაკარბონატებულია. კირქვის გადოლომიტება უძნობრივი ხასიათისაა. შრის
სისქე 7,5 მ.
4. მოყვითალო- მოთეთრო მკვრივი პელიტომორფული კირქვა, პირიტის ძარღვაკებით
და ცალკეული დანაგროვებით. ენან-დასერალია კალციტის უწვრილესი ძარღვაკებით. მას-
ში მცირე რაოდენობითა რკინის პილროვანებიც. 1,30 მ.
- სამანქანო გზის ქეშ, ყოფილი რკინიგზის გასწრებივ, ჭრილს აგრძელებს.
5. მოყავისფრო-მონაცრისფრო (მოვარდისფრო ელფერით) წვრილერისტალური სუს-
ტალ დოლომიტიზებული კირქვა. 0,10 მ.
6. ხარვეზი გაშიშვლებაში. 1,8 მ.
7. ღია მონაცრისფრო წვრილმარცვლოვანი კირქვა. 1,5 მ.
8. ხარვეზი. 0,7 მ.
9. მოყავისფრო-მონაცრისფრო (მოვარდისფრო ელფერით) მკვრივი ზოლებრივი (ფიქ-
ლებრივი) კირქვა (დაქ. აზ. SO 1450, 220) 0,35 მ.
10. ხარვეზი. 1,5 მ.
11. ღია ნაცრისფერი (მოვარდისფრო ელფერით) ფიცხი პელიტომორფული კირქვა
პირიტის დანაგროვებით. ქანი მიკროფაუნას შეიცავს. 0,7 მ.
12. მომწვანო ფერის გათიხებული ქანი (ფერფლის „ტუფი“). 0,15 მ.
13. მოყავისფრო-ნაცრისფერი (ზრის ქვედა ნაწილში მომწვანო) მკვრივი პელიტომორ-
ფული კირქვა კვეშმდებარე გათიხებული ქანის მასალით და ცალკეული ჩანართებით.
კირქვა მიკროფაუნანია. 0,10 მ.
14. მომწვანო-მონაცრისფრო (გამოფიტვისას მოლურჯო) პელიტური თიხი, რომელ-
შიც უბან-უბან კარბონატია. 0,25 მ.
15. მოთეთრო-მოვარდისფრო (გამოფიტვისას მოყვითალო) მკვრივი რექვინიებიანი
ორგანოგენი კორტებიანი კირქვა. შრის სულ ქვედა ნაწილში, 1,10—0,15 მ სისქეზე,
ქანი კონგლომერატულ-ბრექჩიული აგებულებისაა (კირქვების ნატეხები ქვეშმდებარე
თახებითაა „შეცემენტებული“) და რექვინიების გარდა ცუდად დაცულ გასტრობო-
დესაც შეიცავს. შრეში გამოიყოფა ღია ნაცრისფერი წვრილერისტალური კირქვების
უბნები პირიტის ჩანაწილწლებით და მიკროფაუნის დეტრიტულით. 5,9 მ.
16. მოვარდისფრო-მონაცრისფრო მკვრივი წვრილმარცვლოვანი ორგანოგენულ-კლას-
ტური კირქვა კალციტის ხშირი ძარღვაკებით და ცალკეული გამონაყოფებით. ქანი
რექვინიებს შეიცავს. 1,7 მ.
17. ანალოგიური კირქვის შრე. 2,80 მ.
18. მოთეთრო ფერის მკვრივი წვრილმარცვლოვანი რექვინიებიანი ორგანოგენულ-
კლასტური კირქვა (ქანი პირითადად ფორმანიფერებისაგან შედგება). 1,2 მ.
19. მოყვითალო-თეთრი შედარებით რბილი ალევრიტული სტრუქტურის კირქვა (ქა-
ნი ქვედა ნაწილში ბრექჩიულია). 0,80 მ.
20. ხარვეზი გაშიშვლებაში. 0,7 მ.
21. მოყვითალო-ღია ფერის ალევრიტული სტრუქტურის ორგანოგენულ-კლასტური
კირქვა კალციტის ძარღვაკებით და ცალკეული გამონაყოფებით ($d=2 \pm 10$ მმ). ქანი

რკინის პიღროვანგით უბან-უბან მოწითალო-უანგისფერია. შლიფში მიკროფაუზიდან განსაზღვრულია *Miliolina* sp. 0,30 მ.

22. ლია ნაცრისფერი (მოყავისფრო ელფერით) მკვრივი წვრილმარცვლოვანი ორგანოვანულ-კლასტრურა კირქვა. 0,15 მ.

23. ლია მოყავისფრო (მოვარდისფრო ელფერით) მკვრივი წვრილმარცვლოვანი რექვი-ენიებიანი კირქვა, რომელიც ჩანართების სახით მომწვანონ თიხის უბნებს შეიცავს (ამი-ტომ. ქანი ბრექჩიული ხასიათისა). 0,35 მ.

24. მომწვანონ გათიხებული ქანის გამოჭყლეტილი შუაშრე. 0,02—0,03 მ.

25. მოთეთრო (მოყავისფრო-მოყვითალო უბნებით) წვრილმარცვლოვანი კირქვა, ორ-განული დატრიტუსის უმნიშვნელო რაოდენობით. ფორმამინიფერებიდან განსაზღვრულია *Miliolina* sp. 0,10 მ.

26. კარბონატული თიხისა და ფაუნის დეტრიტუსისაგან აგებული შუაშრე. 0,04—0,05 მ.

27. ლია ფერის (გამოციტვისას მოყვითალო) ორგანოგენულ-დეტრიტული კარქვა მომ-წვანო ფერის გათიხებული შუაშრეებით (0,5—1,0 სმ). ქანი თითქმის მთლიანად ნიჟა-რების ნატეხებისაგან შედგება (ლუმაშელი). მიკროფაუზიდან აქაც *Miliolina* sp. არის ნაპოვნი. 0,20 მ.

28. მოყავისფრო-ლია ფერის მკვრივი მიკრომარცვლოვანი რექვინიებიანი ორგანო-გენულ-დეტრიტული კირქვა. შრის სულ ქვედა ნაწილში დიდ რაოდენობითაა იგივე ნიჟარების ნატეხები, რომელიც 22-ე შრეში გვხვდება. ზედა ნაწილში ქანი მომწვანო-მონაცრისფრო თიხის ჩანართებს შეიცავს (ბრექჩიული ხელება). რექვინიებითან ერთად შრის მთელ სისქეზე, უმთავრესად კი ზედა ნაწილში, ქანა სხვა ცუდად დაცულ ორ-საგდულიანებსაც შეიცავს. მისროოფაუზიდან შლიფებში განსაზღვრულია *Miliolina* sp. და *Stensionina* sp. ~ 1,30 მ..

29. ბრექჩისებური კირქვა (23-ას მაგავსი). 0,30 მ.

30. კონგლომერატი, აგებული 0,5—1,0 სმ-დან 10—20 სმ-დაც დამბეტრის ქვარგვა-ლებისაგან და მათი „შემაცემენტებელი“ თიხისა და ნიჟარათა ნატეხების მასალისაგან, ქვარგვალები და ნატეხები წარმოდგენილია მოყავისფრო-ლია ფერის მკვრივი რექვი-ნიებიანი და, მუქი ნაცრისფერი ფიცხი მიკრომარცვლოვანი ორგანოგენულ-დეტრიტული კირქვებით. კირქვის მუქ ნაცრისფერ სახესხვაობაში (შლიფი № 68) განსაზღვრულია ფორმამინიფერები: *Miliolina* sp., *Stensionina* sp., *Globigerina* sp., *Anomalina* sp. 0,05—0,15 მ.

31. ძირითადად ნიჟარების ნატეხებისაგან შემდგარი ქანი (ლუმაშელი), „შეცემენტე-ბული“ კარბონატულ-თახოვანი მასალით. 0,10—0,15 მ.

32. რექვინიების და სხვა ცუდად დაცული ფაუნის ნიჟარებით გაჭედილი ორგანო-გენულ-დეტრიტული მოთეთრო (მოვარდისფრო ელფერით) კირქვა. მიკროფაუზიდან განსაზღვრულია *Miliolina* ex gr. *problematica* Agal., *Miliolina* sp. 0,25 მ.

33. მოვარდისფრო-მოთეთრო (ალგალაგ მოყვითალო) ფიცხი მიკრომარცვლოვანი კირქვა. 1,0 მ.

34. ლია-მოვარდისფრო (მოყავისფრო ელფერით) მკვრივი წვრილ-მარცვლოვანი კირ-ქვა კალციტის ხშირი გამონაყოფით. 0,35 მ.

35. ლია ყავისფერი მკვრივი წვრილმარცვლოვანი რექვინიებიანი ორგანოგენულ-კლასტრი კირქვა. შრის ქვედა ნაწილში ქნი უფრო მეტად არის გამოფიტული და თე-ტრი ფერისა. 1,15 მ.

36. მ შემდევ, ყოფილი რეინიგზისა და მდ. ფონისწყლის გადაკვეთის ადგილთან, ხევის მარცხენა ნაბირზე არის გაშიშვლება, რომელიც უკვე აღწერილი 32-ე შრით იწ-ყება; მას მიჰყვება 33, 34 და 35 (ქვედა ნაწილი) შრეები. შემდევ

37. ხარვეზი გაშიშვლებაში. 2,3 მ.

38. მოთეთრო ფერის შედარებით ჩბილი ორგანოგენულ-კლასტრი კირქვა რექვი-ნიებით და სხვა ცუდად დაცული ორსაგდულიანებით. 1,30 მ.

39. თეთრი, შედარებით ჩბილი (ხელს სვრის) ფერის ტენის რაოდენოგენული კირქვა. 1,0 მ.

40. ორგანოგენულ-პოლიტრიტული კირქვის მასიური შრე. ქანი ძირითადად მაკრი და მიკროფაუზის ცუდად დაცული ნიჟარებისაგან შედგება (თითქმის ლუმაშელს წარმოდ-

გენს). ჩანს, მონაწილეობას დებულობს წყალმცენარებიც. გაბატონებული ადგილი უკავია წრიული ან ოვალური კვეთის ($d=1-2$ მმ) ფორმინიულერების (?) ნიჟარებს, რომლებიც ქანს ურთი შეხედვით ოლიოთური კირქვების იერს ანიჭებს. ამ ნიშნით ეს ქანი აღვილად გამორჩევა ქვეშ-და ზევითმდებარე ქანებისაგან. ნიჟარები თეთრი ფერისა, ხოლო მათი შემაცემენტებელი კარბონატი (დამორჩილებული ადგილი ფაფია)—ლია მოყავისფრო. ქანის გამოფიტულ ზედაპირზე კალციტის კრისტალური გამონაფები გვხვდება. 2.3 მ.

41. მოყავისფრო-ლია ფერის ორგანოგენულ-კლასტური კირქვა. აქაც ორსაგდულიანების და ფორმამინიულერების ნიჟარებს ქანის აგებულებაში მნიშვნელოვანი როლი ეცუთვნის. მაგრამ კარბონატული ცემენტი აქ 50%-ს, შესაძლოა მეტსაც, შეადგენს. შრის სისქე მიმართებაზე მნიშვნელოვან ცვლილებას განიცდის. 0,35 მ.

42. მოკარდისფრო თეთრი წვრილმარცვლოვანი კირქვა რექვინიებით. 0,60 მ.

43. ლია ფერის (მოყავითალო-მოყავისფრო ელფერით) წვრილმარცვლოვანი ორგანოგენულ-დეტრიტული კირქვა, რექვინიებისა და სხვა ორსაგდულიანების ნიჟარებით და კალაპოტებით. მიკროფაუნიდან ბევრია *Miliolina*-ს და *Stensionina*-ს წარმომადგენელი. 0,25 მ.

44. მოყავისფრო-მუქი თიხის გამოჭულეტილი შუაშრე. 0,15—020 მ.

45. მოთეთრო-ნატისისფრო (მოყავისფრო ელფერით) მეტრივი წვრილმარცვლოვანი ორგანოგენულ-დეტრიტული ბუნებრივი ბუნებრივობის განწვრივი ნაპრალები, რომელიც სშირად თახითაა ამოვსებული. 1,90 მ.

46. თეთრი (მოერთისფრო ელფერით) ნაპრალოვანი ფიცხი წვრილკრისტალური კირქვა რექვინიებით (იშვიათად) და წყალმცენარებით (?). დამახსიათებელია კალციტის ძარღვაკები და მნიშვნელოვანი ზომის ცალკეული გამონაყოფები. შრის ქვედანაწილში ქანი ორგანოგენულ-კლასტური ბუნებრივია და მიკროფაუნიდან შეიცავს *Miliolina*-ს წარმომადგენლებს. ეს შრე შოსე გზის გასწრები, სოფ. ფონს ქვემოთ, პარეველ კარნიზისებურ გამოსავალს იძლევა (თხელშრებირვი კირქვების ქვეშ). მის ზედა ნაწილში გვხვდება ცუდად დაცული ორსაგდულიანები. და სხვა ფაუნა. 5,0 მ.

47. ბრექჩიულ-კრინგლომერატული კირქვის შრე. ქანი აგებულია კირქვების ქვარგალებით და ნატეხებით და მათი შემაცემენტებელი კარბონატული მასალით. შრეში უხვად გვხვდება დიდტანიანი ეგზოგირების და სხვათა ნიჟარები. 1,9 მ.

აღწერილი ჭრილის 1—14 შრე (სისქე 21,15 მ) „შრეებრივი დოლომიტიზებული კირქვების“ პორიზონტს მიეკუთვნება, ხოლო 15—46 შრე (სისქე 35 მ) კი — „კაპროტინებიანი“ კირქვების (ტიპიური ურგონული ფაციესი) პორიზონტს. 47-ე შრე (ეგზოგირებიანი), რომლითაც მთავრდება ურგონული კირქვების ჭრილი, ქვედა აპტს ეკუთვნის. ჭრილში საყურადღებოა კონგლომერატის არსებობა (30-ე შრე), რომლის ქვარგვალებში მრავალკამერიანი *Globigerina*-ს და *Anomalina*-ს წარმომადგენლები გვხვდება.

მდ. ჭერათხევის ხეობაში ბარემული ნალექები ძირულის მასივის კრისტალურ ქანებზე განლაგებული. ისინი თითქმის უწყვეტლივაა გაშიშვლებული მდინარის ოლივირც მარჯვენა, ისე მარცხენა ფერდობებზე. განლაგების ელემენტებია, დაქ. აზ. SO 155—165°, $\angle 15—20^{\circ}$. მდინარის მარცხენა მხარეს, სოფ. ცეკეთიჯვრის ჩრდილო მიღებობში (წყაროსთან), გრანიტოიდებით გაკვეთილ გაბრო-ამფიბოლიტებზე უშუალოდ განლაგებულია

1. მტკიცედ შეცემენტებული ბრექჩიული კირქვა. ქანი შედგება სხვადასხვა ფერის (მოყავისფრო-მოვარდისფრო, მოწითალო, მომწვანო-მონაცრისფრო) მეტრივი სუსტად-ქვიშიანი წმინდამარცვლოვანი კირქვების ნატეხებისაგან. მათში ტერიგენული მასალა იშვიათად გვხვდება და უმთავრესად მიკროკლინის და კვარცის მარცვლებითაა წარმო-

გენილი. ნატეხები კარბონატული მასალითვეა შედუღაბებული. შრის ზოლული სისქე (საგები არ ჩანს). 0,20 მ.

2. მოვარდისფრო-ნაცრისფერი წმინდამარცვლოვანი. კირქვა, რომელიც გამოიყაოშლ უცნებში ცალკეულ თხელ შეებად არის დანაწევრებული. 0,25 მ.

3. ბრექჩიული კირქვა. გამოიყოფა ორგორუ სუსტადშეცემენტებული (ცემენტის როლს მომწვანო ფერის თიხოვანი მასალა ასრულებს), ისე უფრო მტკიცე უბნება. ქანის ნატეხები წარმოდგენილია წმინდამარცვლოვანი ზოვარდისფრო-ნაცრისფერი სუსტადთიხიანი ორგანოგენული კირქვებით. ულიცებში ჩანს საკმარის კარგად დაცული მიკროფაუნა. შრეში დიდი რაოდენობით (უმთავრესად სუსტადშეცემენტებულ უბნებში) განვდება გასტროპოდების და ორსაგლულიანების კალაპოტები. გასტროპოდებიდან განსახლვებულა Nerinea eristawii Dvali, Oonia ovalis Pčel., Ampullospira mediana Dvali, Ampullina aff. picteti Kar., Harpagodes cf. pelagi Brongn. 0,60 მ.

4. მონაცრისფრო-ლია (მომწვანო ელფერით) წმინდამარცვლოვანი, სუსტადქვაშიანი (მლიცეში აქა-იქ ჩანს კვარცების მარცვლები), ზოგ უბანში ალბათ სუსტად გადოლომიტებული კირქვა. 0,6 მ.

5. მონაცრისფრო-მონაცრისფრო (კანგისფერი და მოყავისფრო უბნებით) სუსტადქვაშიანი (კალიშატების მარცვლებია) ბრექჩიული კირქვა, რომელიც ზოგ უბანში სუსტად გადოლომიტებულია, ზოგში კი გადაკრისტალებული. ქანი იმავე მაკროფაუნას შეიცავს, რასაც მე-3 შრე. 0,40 მ.

6. მონაცრისფრო-ლია (მოვარდისფრო ელფერით) მეკრივი წმინდამარცვლოვანი, სუსტადქვიშიანი (კვარცის დაკუთხეულ მარცვლებს შეიცავს) კირქვა. შრის ქვედა ნაწილში მომწვანო თიხმოვანი უბნებია, რაც ქანს ბრექჩიულ ხასიათს ანიჭებს. 0,30 მ.

7. მასიური შრე, რომლის ქვედა ნაწილი (1,0—1,2 მ) წარმოდგნილია მოყავისფროვარდისფერი მკრივი წმინდამარცვლოვანი სუსტადთიხიანი გადოლომიტებული კირქვით, ხოლო დანარჩენი ნაწილი კი — ნაცრისფერი (მომწვანო ელფერით) მკრივი წმინდამარცვლოვანი, ნაწილობრივ გადაკრისტალებული, კირქვით. უკანასკნელშიც არის ხოლმე მოვარდისფრო-მოწითალო უბნები. შრეში. კანსტა განვითარებული. 6,7 მ.

ამის შემდეგ შრე-შრეზე ჭრილის შედეგნა არ ხერხდება.

8. ანალოგიური მონაცრისფრო (მოწითალო ფერის უბნებით) კირქვები. 5,0 მ

9. მონაცრისფრო-მოვარდისფრო წმინდამარცვლოვანი პორტებიანი სუსტადთიხიანი დოლომიტი, კალციტის ცალკეული გამონაყოფებით. 6,0 მ.

10. ალაგ-ალაგ გაშიშვლებული ღია მოვარდისფრო წმინდამარცვლოვანი გადოლომიტებული კირქვები. 5,5 მ.

11. მოვარდისფრო-ლია ფიცქი მიკრომარცვლოვანი მინიშნელოვნად გადაკრისტალებული რექციენტებიანი ორგანოგენული კირქვა კალციტის ძარღვებით და ცალკეული გამონაყოფებით. ქანი გაშედილია მიკროფაუნით. შრის დაქანება SO 1550, $\angle 150$.2.30 მ.

12. მოქვითალო-ლია ფერის მეკრივი ორგანოგენული კირქვა. ქანი შრის ქვედა ნაწილში წვრილმარცვლოვანია და მუქი ფერის ჩანაწინებულებს შეიცავს, ხოლო ზედა ნაწილში კი — მიკრომარცვლოვანი. შრეში, განსაკუთრებით კი მის ზედა ნაწილში, ბეკრია რექციენტების ცუდად დაცული ნიერები. 2.2 მ.

13. ბრექჩიული ქანი, რომელიც შედგება მოყავისფრო-ლია მეკრივი წმინდამარცვლოვანი ორგანოგენული კირქვების ნატეხებისაგან და მათი შემაცემენტებელი მოწვანი-მოლუსტრი თიხმოვანი მასალისაგან. 0,30 მ.

14. მე-11-ს მსგავსი დანაპრალიანებული კირქვა. 3,0 მ. ამის შემდეგ რელიეფი მოვაკებული ხდება.

15. სამხრეთ-აღმოსავლეთის 130° მიმართულებით (პორიზონტალურად), 30 მეტრზე ალაგ-ალაგ შეშვლება ანალოგიური რექციენტებიანი კირქვები. 8,0 მ.

16. ჩრდილო-აღმოსავლეთის 350 მიმართულებით (ჩელიეფის დახრა შრების საწინა-აღმდეგო და დახლ. 120-ს შეადგენს), 15 მ მ.ნძილზე. უიქსტრებულია ოეთრი მიკრომარცვლოვანი რექციენტებიანი ორგანოგენული კირქვები პირიტის ჩანაწინებულებით და ცალკეული დანაგროვებით. 5,0 მ.

17. თითქმის შრების მიმართების გასწრები (720 მიმართულებით), 100 მ მანძილზე, ალბათ იგივე რექციენტებიანი კირქვებია. აქვე გამავალ ლელეში ჩანს დასტის ზედა ნა-

წილი, წარმოდგენილი სქელშრეებრივი თეთრი რექვიენიებიანი დანაპრალიანებული კარქვებით (კალციტის ძარღვაკებით და ცალკეული გამონაყოფებით) და უფრო ვი მიკრომარცვლოვანი კირქვებით, რომლებშიც მერგელოვანი ზოლები შეიმჩნევა. 4,5 მ.

18. ღია ფერის (მოკარბისუცრო ელფერით) მკვრივი მიკრომარცვლოვანი ორგანოენული რექვიენიებიანი კირქვები კალციტის ძარღვაკებით და ცალკეული გამონაყოფებით. ქაშით თხივანი უბრნებიც გვევდება. 6,0 მ.

19. ჩრდილო-აღმოსავლეთის 600 მიმართულებით (ჩელიეფის დახრა შრეების დაქანების საწინააღმდევოა და 150-ს შეადგენს) 12 მეტრზე ანლოგიური კირქვები, მთლილ უფრო მეტად დანაპრალიანებული, შიშვლება. მათში რექვიენიებთან ერთად სხვა პატარა ტანის ცუდად დაცული ორსაგლულიანები და მუცელფეხიანებიც მოიპოვება 4,0 მ.

20. თითქმის იგვე მიმართულებით, სოფ. ცხეთიჯვარში გამავალი ღელის ზემო წელის გარჯვენა ნაკირს გაწვრივ (რელიეფი დახრილია SW-კერ კიდევ 130-ანი, შემდეგ კი 50-ანი კუთხით) 110 მ მანძილზე, ისევე მოთვეთრო ფიცხი მიკრომარცვლოვანი რექვიენიებიანი ზოლების კირქვები. 25,0 მ.

21. ბრექჩიული კირქვის ეგზოგირებიანი შრე, რომელიც ფაციალურად რექვიენიებიან (ურგონულ) კირქვებთან არის დაკავშირებული, შაგრამ შეიცავს ქვეღაპტურ ფაუნას 2,0 მ.


აღწერილი ჭრილის 1—10 შრე (სისქე 25,55 მ) ეკუთვნის შრეებრივი ღოლომიტიზებული კირქვების პორიზონტს, ხოლო 11—20 შრე კი (სისქე 60,3 მ) — რექვიენიებიანი კირქვების (ტიპიური ურგონული ფაციესის) პორიზონტს. წყების სისქე ამ ჭრილში 85—90 მ-მდეა. კიდევ უფრო მძლავრია (100—120 მ) ბარემული ნალექები მდინარის მარჯვენა ფერდობზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ჭრათხვის ხეობის ბარემულის ქვედა პორიზონტში ღოლომიტებს და ღოლომიტიზებულ კირქვებს მნიშვნელოვანი აღგილი უჭირავს.

აქედან, ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით, ღოლომიტიზაციის ხარისხი, ეტყობა, კიდევ მატულობს და მდ. ლოპანისწყლის ხეობის ბარემულ ნალექებში ნორმალური და კირქვიანი ღოლომიტების სამრეწველო მნიშვნელობის საბადო გვევდება (Роква, 1959). ამ საბადოზე ღოლომიტების ორ ფენას გამოპყოფენ: ქვედას — ჭარდისფერი წვრილმარცვლოვანი (0,15—0,18 მ) ღოლომიტისას, რომელშიაც ფაუნის ნაშთები შეიმჩნევა და ზედას — ვარდისფერი ან მოვარდისფრო-ნაცრისფერი მსხვილმარცვლოვანი (1,0—1,7 მ-მდე) ღოლომიტისას. ეს ორი ფენა ერთიმეორისაგან ღრა ნაცრისფერი და კურემისფერი კირქვებით არის გამიზნული. დადგენილია, რომ ქვედა ფენის სისქე სამხრეთ-დასაცლეთისაკენ (მიმართების გასწვრივ) თანდათან მატულობს და 8 მ-დან 25—30 მ-დე აღწევს. სისქის მომატება ზეგით-მდებარე კირქვების ხარჯზე ხდება. ზედა ფენის სისქე 7—15 მ ფარგლებში ცვალებადობს. ირკვევა, რომ ღოლომიტები და კირქვები ტრთიმეორეს ფაციალურად სცვლის როგორც მიმართების, ისე დაქანების გასწვრივ. ზედა ფენაზე განლაგებულია თეთრი და მოვარდისფრო-ღრა მკვრივი მიკრომარცვლოვანი ორგანოგრენული კირქვები რექვიენიებით (სისქე 60—70 მ-დე), რომლებსაც უშუალოდ ეგზოგირებიანი შრე (ბრექჩიული კირქვის) მოპყვება ქვედა აპტური ფაუნით.

ანალოგიური ხასიათისაა ბარემული ნალექების ჭრილი მდ. მეტეხისწყლის გასწვრივ (სურ. 9). ბარემული წარმონაქმნების სიმძლავრე აღნიშნულ ხეობებში (მდ. ლოპანისწყალი, მდ. მეტეხისწყალი) 100—110 მ რიგისაა.

დოლომიტების გრუზისის საკითხი გერ კიდევ არაა გადაწყვეტილი. არ-სუბული ფაქტიური მასალა გვაფიქრებინებს, რომ ამ ზოლში ისინი კირქვების გარდაჯმნის გზით უნდა იყვნენ წარმოშობილი.




სურ. 9. ჭრილი მდ. მეტეხისწყლის ხეობის მარცხნია ფერდობზე სოფ. ოტოცთან.

- 1 — ვულკანოგენური ქანები (ბაიოსური); 2 — დოლომიტები და დოლომიტი-ზებული კირქვები (ბარემული); 3 — სქელშეებრივი ორგანოგენული ფარქვები რექვიენიებით (ბარემული); 4 — თხელშეებრივი სუსტადქვიშინი კირქვები; 5 — მერგელოვანი კირქვები და მერგელები (გარგაზული); 6 — ფხვიერი ქვიშაქვები (სარმატული).

მოყვანილი და სხვა ჭრილების შესწავლით დგინდება, რომ სოფ. წიფი-დან დაწყებული ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით ბარემული ნალექების სისქე თანდათან მატულობს და 50—60 მ-დან (წიფი-ბიგნისის ზოლი) 80—120 მ-დე (მდ. მდ. ჭერათხევი, ლოპანისწყალი, მეტეხისწყალი) აღწევს (სურ. 10). როგორც აღნიშნული იქნა, ამავე მიმართულებით იზრდება დოლომიტიზაციის ხარისხიც. ამავე დროს, ტერიგენული მასალის სიმსხო და როლი ბარე-მულის საგებში ამ მიმართულებით თანდათან კლებულობს. მართლაც, სოფ. წიფის მიდამოებში ბარემულის ბაზალურ ნალექებში (სისქე 2,5—3,0 მ) გრაველიტები და ქვიშაქვები მონაწილეობს, ხოლო უფრო ჩრდილო-აღმოსავ-ლეთით, ფონარან ციცწყარომდე, გრაველიტები აღარ გვხვდება და „ფუძის წარმონაშენები“ მხოლოდ კირქვიანი ქვიშაქვებით და ქვიშიანი კირქვებით არის წარმოდგენილი, რომლებიც სოფ. ცედანამდე სრულიად ისოლება.

აღნიშნული ფაქტების საფუძველზე უფრო მართებული ჩანს იმ ქვლე-ვართა შეხედულება (გამყრელიძე, 1949 და სხვ.), რომელთა თანახმადაც ძირუ-ლის მასივის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ბარემული ზღვის ტრანსგრესია ჩრდილოეთიდან ხდებოდა.

მკვლევართა გარკვეული ნაწილის (Fournier, 1896; Варенцов, 1959, გვ. 20—21; Роква, 1959 და სხვ.) მიხედვით ურგონული კირქვები ბარემის გარდა ვალანჯინ-ჰოტერივსაც უნდა მოიცავდეს. პ. გამყრელიძის მიერ რექვიენი-ებიან კირქვებში შეგროვილი ფაუნიდან 6. იოსელიანმა (1940) განსაზღვრა Requienia ammonia Goldf., R. zlatarskii Paq. და Monopleura sp. n., რის



სურ. 19. ძირულის მასივის აღმოსავლეთ პერიფერიის ბარემული ხალექების სტრატიგრაფიული კრილების შედარება.

- 1— გაბრო-ამფიბოლიტი; 2— გრანიტო-დიდები; 3— ვულკანოგენური ქანები; 4— გრანო-დიორიტი; 5— გრაველიტი; 6— ქვიშაქვა; 7— კირქვიანი ქვიშაქვა; 8— დოლომიტიზებული კირქვა; 9— კირქვიანი დოლომიტი; 10— დოლომიტი; 11— კირქვა; 12— ქვიშიანი კირქვა; 13— სუსტადქვშიანი კირქვა; 14— დოლომიტიზებულ ქვიშიანი კირქვა; 15— თიხა; 16— ბრექჩია; 17— ბრექჩიული კირქვა; 18— ბრექჩიულ-კონგლომერატული კირქვა; 19— სუსტადქვშიანი რექვიუნიგბიანი კირქვა; 20— ზოოგენური რექვიუნიგბიანი კირქვა; 21— ბრექჩიული სუსტადქვიშიანი დოლომიტიზებული კირქვა.

საფუძველზეც მ. ერისთავმა (1952, გვ. 169, 1960, გვ. 17) გამოთქვა მოსახრება, რომ ძირულის მასივის სამხრეთ-აღმოსავლეთ პერიფერაზე რეზენირებიანი კირქვები შესაძლოა ზედა ბარემს ეკუთვნოდეს, ხოლო ქვეშმდებარე შრებრივი დოლომიტიზებული კირქვები და ბაზალური ქვაშაქვები კი — ქვედა ბარემს.

დადგენილია (Жинио, 1952, გვ. 368), რომ ურგონი — ეს მხოლოდ ფაციესია, რომელიც ხშირად სხვადასხვა სტრატიგრაფიულ დონეზე მდებარეობს. მაგ., დასავლეთ საქართველოში რექვინირებიანი კირქვები ზოგან თანხმობით არის განლაგებული ზედა ჰიტრიფულზე. ამის საფუძველზე მ. ერისთავმა (1960, გვ. 17) აღნიშნა, რომ აქ ურგონული ფაციესი ქვედა ბარემსაც მოიცავს. დალესტნის სამხრეთ რაიონებისათვის, ტ. მორდვილკოს (1962, გვ. 120—123) მონაცემების თანახმად, *R. ammonia Goldf.*, *R. zlatarskii Paq.* და *R. renevieri Paq.* ფაციესისათვებელი ფორმებია ქვედა (და არა ზედა) ბარემისათვის. გვარი *Requienia*-ს წარმომადგენლების გაჩენას ქვედა ბარემში (*Caillaudi*-ს ზონაში) აღნიშნავენ სამხრ.-აღმ. საფრანგეთშიც (იხ. ერისთავი 1960, გვ. 109). მაშასადამე, რექვინირების სტრატიგრაფიული გავრცელება არ შემოიფარგლება მხოლოდ ზედა ბარემით. ისინი პირველად ქვედა ბარემის პირველსავე ზონაში ჩნდებიან და გადადიან ზედა ბარემში, ზოგჯერ კი ქვედა აპტშიც (ჩრდილო ალპების წინა ქვედები, ქალაქი აპტი და სამხრეთ-აღმოსავლეთ საფრანგეთის სხვა რაიონები, წინაბალყანები და ა. შ.).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ შესწავლილ რაიონში რექვინირებიანი კირქვების ჰიტრიზონტი შესაძლოა ქვედა ბარემსაც მოიცავდეს. ამ შემთხვეულში ქვეშმდებარე შრებრივი დოლომიტიზებული კირქვების ჰიტრიზონტი და ბაზალური ქანები თავისუფლად შეიძლება მიეკუთვნოს ჰიტრიზულს. მაგრამ ჩვენ მოერ შეგროვილი ფაქტობრივი მასალა ამ დაშვების საწინააღმდეგოდ მეტყველებს. ასე, მაგალითად, სოფ. წიფას მიდამოებში დოლომიტიზებული კირქვების ჰიტრიზონტის ქვედა ნახევრის თითქმის შუა ნაწილში, ცარცის საგებიდან 7,5—8 მ-ით მაღლა, შეიძჩნევა რექვინირების არსებობა. უფრო მეტიც, აქედან ჩრდილო-აღმოსავლეთით, სოფ. ბიჭისის (წიბლარის ღელე) და სოფ. ბრილის (ნარტვი ღელე) მიდამოებში, რექვინირები ქვედაცარცულის თითქმის სულ ქვედა შრებბში — საგებიდან 1,0—1,5 მ-ით მაღლა, გვხვდება. აღნიშნულ იქნა, რომ გვარი *Requienia*-ს წარმომადგენლები პირველად ბარემის დასაწყისში ჩნდება. ამიტომ შეიძლება დავასკვნათ, რომ წიფა-ბრილის ზოლში ქვედა ცარცი ბარემით იწყება.

შესწავლილ ზოლში აპტზე ძველ კირქვებს ყველაზე მეტი სისქე (80—120 სმ) მდ. ჭერათხევის, ლოპანისწყლის და მეტებისწყლის ხეობებში აქვს. სოფ. ცხეთისგვრების მიდამოებში, მდ. ჭერათხევის მარცხენა მხარეზე (სოფლის წყაროსთან და საკირე ღელეში), ქვედაცარცულის ქვევილან პირველსაცვე შრებბში შეგროვდა ორსაგდულიანების და მუცელთფეხიანების ფაუნა. ორსაგდულიანების განსაზღვრა, სამწუხაროდ, არ ხერხდება, ხოლო მუცელთფეხიანებიდან განსაზღვრული ფორმები ზუსტი სტრატიგრაფიისათვის უმნიშვნელო ღირებულებისაა. მიუხედავად ამისა, ბარემულზე ძველი ნალექები არც ამ უბნებში უნდა გვხვდებოდეს, ვინაიდან აქ აპტზე ძველი ქვედაცარცული ნალექების.

სიმძლავრე უმთავრესად რექვიენიებიანი კირქვების სისქის მომატების ბარჯზე არის გაზრდილი — ქვეშმდებარე დოლომიტიშებული კირქვების ჰორიზონტი შეულ ზოლში თითქმის ერთნაირი სისქისაა. მაგ., მდ. ჭერათხევის ხეობაში რექვიენიებიანი კირქვების ჰორიზონტი ქვედაცარცულის საგებიდან 25 მ-ის შემდეგ იწყება (იხ. ჭრილი).

ამრიგად, უფრო ლოგიურია ძარულის მასივის აღმოსავლეთ პერიფერიაზე ნეოკამის მხოლოდ ბარემით წარმოდგენა. მაგრამ იბადება კითხვა — წარმოდგენილია აქ ბარემული სართული სრულად, როგორც პ. გამყრელიძე, მ. ერისთავი და სხვები ფიქრობენ, თუ მხოლოდ მისი ზედა ქვესართულით, როგორც ამას ბ. მეფერტი (1942, გვ. 167) ვარაუდობდა? ამ ორი თვალსაზრისიდან, ჩვენი აზრით, უფრო გამართლებული ჩანს პირველი, მაგრამ საბოლოო პასუხისათვის საკითხი დამატებით კვლევას საჭიროებს.

აღწერილი ნალექების ზედა ასაკობრივი საზღვრის შესახებ ქვემოთ იქნება საუბარი.

აპტი

აპტის ქვედა და ზედა (კლასიური ჰითვლით) ქვესართულები ლითოლოგიურად და ფაციალურად საკმაოდ მკვეთრად განსხვავდება ერთი-მეორისაგან. ამიტომ უმჯობესია ისინი ცალ-ცალკე განვიხილოთ.

ქვედა აპტი (ბედულური)

რექვიენიებიანი ზოოგენური კირქვები აღმავალ ჭრილში იცვლება ბრექჩიული, ზოგან ბრექჩიულ-კონგლომერატული კირქვის შრით, რომელიც მდიდარია დიდტანილი ეგზოგირების ნიუარებით. უკანასკნელი გარემოების გამო, იგი ლიტერატურაში (Гамкрелидзе, 1949, ჩიხელიძე, 1948, ერისთავი, 1952 და სხვ.) ეგზოგირებიანი შრის ან ჰორიზონტის სახელწოდებით არის ცნობილი. შრე, ეგზოგირებას გარდა სხვა ფაუნასაც შეიცავს (იხ. ქვემოთ). სისქე 1,5—2,0 მ ფარგლებში ცვალებალობს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს შრე თავისი დამახასიათებელი ნიშნებით ადვილად გამოიჩინევა ბუნებაში და თანაც მთელ შესწავლილ ზოლში (სოფ. წიფილან მდ. მეტეხისწყლის ხეობამდე) გაიღევნება. ამის გამო საველე კვლევების ჩატარებისას კარგ სამარტინებო შრეს წარმოადგენს.

ეგზოგირებიან შრეს ზევით მოჰყვება მრყვითალო და ღია ნაცრისფერი ნაპრალოვანი მყიფე, ზოგან გაფაუებული, თხელშრეებრივი (0,1—0,4 მ, იშვაძალა 0,7—2,0 მ-მდე) სუსტადქვიშიანი კირქვების დასტა, სისქით 30—35 მ. ეს ჟასტა სურამის ქედის აღმოსავლეთ ფერდობზე ქვედაცარცული ნალექების შველა ზედაპირულ გამოსავალშია ფიქსირებული. ჭრილების შესწავლით დგინდება, რომ დასტა მიმართების გასწრივი მნიშვნელოვან ფაციალურ ცვლილებებს არ განიცდის.

აღნიშნული ეგზოგირებიანი შრე და შრეებრივი მყიფე კირქვების დასტა ქვედა ცარცის ჭრილში პირველად პ. გამყრელიძე (1949) გამოჰყო. სოფ. წიფის მიღამოებში. შემდეგში ეს ჰორიზონტები სხვა მკვლევრებმაც (ერისთავი, 1952; კოტეტიშვილი, 1961) შეისწავლეს. მიუხედავად ამისა, შათი ზუსტი შე-

ფარდებითი ასაკი გადაუჭრელი იყო. პ. გამყრელიძე (1949, გვ. 74), ეხებოდა რა მყიფე შრეებრივი კირქვების ჰორიზონტის ასაკს, აღნიშნავდა: „ცნობილი არ არის, ბარემს ლუსუთვნის ის მთლიანად ან ნაწილობრივ, თუ ამტკი, რომელიც აქ მცირე სისქის (დაახლოებით 25 მ) მერგელოვანი ნალექებით არის წარმოდგენილი“. ეს შრეები ბკვლევარმა პირობითად ზედა ბარემს მიაკუთვნა, რაღაც მაშინ ჩათში ამონიტები არ იყო ნაპოვნი, ხოლო ქეშმდებარე ეგზოგირებიან შრეში ნაპოვნი *Exogyra subsinuata* Leym. და *Ex. latissima* Lam. ბიოსტრატიგრაფების მიერ ძირითადად ზედაბარემულ ფორმებად იყო მიჩნეული. თანაც განსახილები კირქვები ფაციალურად, მართალია, გარდამავალს წარმოადგენს ურგონულ კირქვებსა და აპტურ მერგელოვან-კირქვიან ქანებს შორის, მაგრამ შედარებით უფრო ახლოს დგას პირველთან. აქედან გამომდინარე, მათი პირობითად ზედა ბარემულისადმი მიკუთვნება სრულიად ლოგიკური იყო. ეს აზრი სავსებით გაიზიარეს შემდგომმა მკვლევრებმაც (ერის-თავი, 1952, 1960; კოტეტიშვილი, 1961 და სხვ.).

სოფ. წიფის მიდამოებში, საკირე ლელის მარცხენა მხარეზე, (საავტ. გზის პირას) ტიპიური ურგონული კირქვების სახურავში განლაგებულ 2,0 მ-მდე სისქის ეგზოგირებიან შრეში, უმთავრესად კი მის სულ ზედა ნაწილში, შეფაგროვეთ საკმაოდ მდიდარი ფაუნა, საიდანაც განსაზღვრულია: *Costidiscus recticostatus* d'Orb., *Cheloniceras cornuelianum* d'Orb., *Ch. cornuelianum pygmaea* Niksch., *Ch. cf. seminodosum* Sinz., *Ancyloceras orbignyi* Math., *Anc. sp.*, *Deshayesites cf. weissi* Neum. et Uhl., *Acrioceras furcatum* d'Orb., *Pseudohaploceras douvilleti* Fallot. და სხვ. ონიშნული ფაუნის ანალიზიდან ნათლად ჩანს (ლობუანიძე, 1962), რომ იგი უძავილ ქვედა აპტური ასაკისაა. მაშასადამე, შრეებრივი სუსტადევიშიანი კირქვები, რომლებიც ხსნებული ფაუნის შემცველ ეგზოგირებიან შრეს მოჰყვება უშუალოდ, ქვედა აპტზე ქველი არ არის. რაც შეეხება ზედა ასაკობრივ საზღვრას, იგი ალბათ ქვედა და ზედა აპტის საზღვრას თანხვდება — მდ. ჩხერიმელის მარჯვენა ნაპირზე, წიფის რკინიგზის სადგურიდან ზემოთ დაახლოებით 200 მ და შორებით, შრეებრივ კირქვებზე განლაგებული მერგელოვანი ქანების სულ ქვედა შრეებში გარგაზულის ქვედა ზონისათვის დამახასიათებელი ფორმები აღმოჩნდა (იხ. ქვემოთ).

ამრიგად, დადგინდა, რომ წიფის რაიონის შრეებრივი სუსტადევიშიანი კირქვები, რომლებსაც ურგონულისზედა უცწოდეთ (1962), და მათ საგებში განლაგებული ეგზოგირებინი შრე ბეღულურ ქვესართულს ეკუთვნის.

ონიშნული შრეებრივი მყიფე, სუსტადევიშიანი კირქვები და ეგზოგირებინი შრე წიფის მიდამოებიდან უშუალოდ გადადის სურამის ქედის აღმოსავლეთ ფერდობზე, სადაც ისინი ქვედაცარცული ნალექების ყველა დამზადებასიათებელ ჭრილში გამოიყოფა. ირკვევა, რომ ამ ზოლში მათ იგივე სტრატიგრაფიული დონე უჭირავთ, რაც წიფის რაიონში. ასე, მაგალითად, მდ. ჭერათხევის მარჯვენა მხარეს, სოფ. ალსა და ცხეთიჯვარს შუა (ეკლესიასთან), კარ-

გად არის გაშიშვლებული როგორც ეგზოგირებიანი ბრექჩიულ-კონგლომერა-ტული კირქვის შრე, ისე მომდევნო ურგონულის ზედა კირქვებიც. აქ ეგზოგირებიანი შრის სულ ზედა ნაწილში შეგროვდა თავთფეხანების და ორსაგდულიანების საქმაოდ მდიდარი ფაუნა, საიდანაც განსაზღვრულია: *Costidiscus* cf. *recticostatus*, d'Orb., *Ptychoceras meyrati* Oost., *Deshayesites cestayesi* Leym., *D. cf. dechyti* Pap., *Procheloniceras albrechtii-austriae* Hoh., *Cheloniceras cornuelianum pygmaea* Niksch. და სხვ. დასახელებული ამონიტების კომპლექსი საფუძველს იძლევა (ლიბჯანიძე, 1964) ითქვას, რომ მისი შემცველი ეგზოგირებანი შრე უთურდ ეკუთვნის ქვედა აპტის მეორე — *Deshayesites deshayesi*-ს ზონას. ამავე ზონას შეესატყვისება ის სოფ. წიფის მიღამოებშიც. ამასთან ერთად, ამ შრეში ნაპოვნი ზოგი სახის, კერძოდ, *Procheloniceras albrechtii-austriae* Hoh.-ის (მდ. ჭერათხევი), *Deshayesites* cf. *weissi* N. et Uhl.-ს და *Acrioceras furcatum* d'Orb.-ს (წიფა) საფუძველზე დაისმის საკითხი ქვედა აპტის პირველი ზონის არსებობის შესახებაც. როგორც ცნობილა (თრისტავი, 1962), ალბურ და შუაევროპულ ოლქებში აპტური სართული *D. weissi*-სა და *Proch. albrechtii-austriae*-ს ზონით იწყება. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ე. რენგარტენის (1951), ტ. მორდვილკოს (1956, 1960, 1962) და სხვათა მონაცემებით, *D. weissi* N. et Uhl. ჩრდილო კავკასიაში *D. deshayesi*-ს ზონის დამახასიათებელი ფორმაა, ამავე ზონაში ისინი აღნიშნავენ *Proch. albrechtii-austriae* Hoh.-ის არსებობასაც. უკანასკნელი სახეობის არსებობას დასავლეთ საქართველოს ქვედა აპტურის დეეზის ზონაში აღრე მ. ერისთავიც (1952₂, გვ. 35) აღნიშნავდა. ტ. მორდვილკოს (1960, 1962) მიხედვით, *Acrioceras furcatus* d'Orb. ჩრდილო კავკასიაში ქვედა აპტის პირველი ზონას სახელმძღვანელო ნამარხია; საქართველოში ამ ფორმის ზუსტი სტრატიგრაფიული გარცელება ჭერათხობით დადგენილი არა (პირველადაა ნაპოვნი).

ზემოაღნიშნულის საფუძველზე ეგზოგირებიან შრეში ქვედა აპტის პირველი ზონის არსებობა საბოლოოდ ვერ დადგინდა, მაგრამ საკითხის დასმის შინაგანი მაინც შეიძლება ითქვას, რომ ეს შრე შესაძლოა კონდენსირებული ბუნების იყოს — შეიცავდეს ქვედა აპტის პირველი ორი ზონის შერეულ ფაუნას.

ურგონულისზედა კირქვები ფაუნით ღარიბია. განსაკუთრებით იშვიათია მათში ამონიტები. თანაც ისინი უმთავრესად ცუდადაა დაცული და სახეობამდე თითქმის არ ისაზღვრება. მდ. ჭერათხევის მარჯვენა მხარეს (ეკლესიასთან) ამ კირქვების ქვედა შრებში ნაპოვნია *Ancylloceras*-ს დიდი ზომის კალაპოტების. ნატეხები. მდ. ჭერათხევის ხეობაშივე, სოფ. ალის მიღამოებში (ფაილალელში) ურგონულისზედა კირქვების ჰორიზონტის თითქმის შუა ნაწილში, ნანახია ბელემნიტი *Neohibolites ewaldi* Stromb., რომელიც საქართველოს, ყირიმის, ჩრდილო კავკასიის, მანგიშლაკის და ინგლისის ქვედა აპტისათვისაა დამახასიათებელი. სოფ. ბიჭნისის მიღამოებში, მდ. შუალელის მარჯვენა წყალგამყოფის დასაწყისში, ამ კირქვებში ეგზოგირებიანი შრიდან სტრატიგრაფიულად-9—10 მ-ით მაღლა ნაპოვნია დიდტანიანი. ამონიტის კალაპოტის ნატეხი (თითქმის ნახევარხვეული), რომელიც ქვედააპტური *Cheloniceras*-ების ჯგუფის წარმომადგენელია.

შედარებით ხშირია ჰორიზონტში მხართფეხიანები (უმთავოესად რინჩონე-ლიდები და ტერებრატულიდები) და პელეციპოდები, რომლებსაც ზუსტი სტრა-ტიგრაფისათვის უმნიშვნელო ღრაჟბულება აქვთ.

ეგზოგირებით შრეში აღმოჩენილი ფაუნის საფუძველზე, ირკვევა, რომ ურგონულისზედა კირქვების ჭედა ასაკობრივი საზღვარი დევზის ზონის ფარ-გლებს გარეთ არ გადას. რაც შეეხება ზედა ასაკობრივ საზღვარს. (ძევევ, რო-გორც წიფის რაიონში), ზუსტად უნდა თანხვდებოდეს საზღვარს ბედულურ და გარგაზულ ქვესართულებს შორის. ეს დასკვნა ფაუნისტურად კარგად საბუთდე-ბა, რადგანაც ურგონულისზედა კირქვებზე უშუალოდ განლაგებული კირქვიან-ქვიშევიანი და მერგელოვანი ქანების სულ ქვედა შრეებშივე შესწავლილი ზოლის მრავალ ადგილას ნაპოვნია გარგაზის ქვედა ზონისათვის დამახასიათებე-ლი ფაუნა (იხ. ქვემოთ). ამიტომ ამ ჰორიზონტის ზედა ნახევარი ჭირობითად უნდა მიეკუთვნოს ქვედა აპტის ზედა ნაწილს, რომელიც ჩრდილო კავკასიაში და კასპიისიქეთა მხარეში Dufrenoya furcata-ს ზონის სახელშოდებით არის გამოყოფილი.

ამგვარად, ძირულის მასივის აღმოსავლეთ პერიფერიაზე ურგონულისზე-და შრეებრივი სუსტადქვიშიანი კირქვები, განლაგებული ტიპიურ ურგონულ ფაციესა და აპტის მერგელოვან ქანებს შორის, უდავოდ ქვედაპტური ასა-კისაა და ამ ქვესართულის შუა (ნაწილობრივ) და ალბათ ზედა ზონებს მიეკუთ-ვნება.

ამასთან დაკავშირებით, ისმის საკითხი რექვიენიებიანი კირქვების ზედა ასაკობრივი საზღვრის შესახებ. როგორც უკვე აღნიშნეთ, ალპურ ზოლში, აგ-რეთვე შუაეკრობულ ოლქებში, ქვედა აპტი Deshayesites weissi-სა და Proche-loniceras albrechti-austriæ-ს ზონით იწყება. კავკასიაში ამ ზონისა და ბარემულის სასაზღვრო შრეებში გარეცელებულია Matheronites-ის, Colchidites-ის, Imerites-ის, Heteroceras-ის და Argvethites-ის გვარების აღვილობრივი სახეები, რომლე-ბიც, მ. ერისთავის (1962, გვ. 103) მიხედვით, Matheronites ridzewskyi-სა და Col-chidites securiformis-ის ზონისათვისაა დამახასიათებელი. შესწავლილი ზოლის ეგზოგირებიან შრეში აღნიშნული ზონის ფაუნა ნაპოვნი არაა, რაც შეიძლება სამი მიზეზით აიხსნას: 1) ამ ფაუნას ეგზოგირებიანი შრე შეიცავს (ცხადია, იშვიათად), მაგრამ ვერ ვიპოვნეთ, 2) შრეში კოლხიდიტები არ გვხვდება იმი-ტომ, რომ მათი ცხოვრების პირობები შრის დალექვის პირობებისაგან (თხელი რეგრესიული ზღვა და ახვ.) განსხვავებული იყო, 3) კოლხიდიტები და ზონის სხვა ფორმები შრეში არ გვხვდება იმიტომ, რომ ისინი უკანასკნელზე უფრო ძველი ასაკისაა. საკითხი დამატებით კვლევას მოითხოვს, მაგრამ აღნიშნული სამი მიზეზიდან უფრო მართებულია მესამე.

ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ ეგზოგირებიან შრეში არა თუ Colchidites securiformis-ს ზონის, არამედ თვით Deshayesites weissi-სა და Procheloniceras albrechti-austriæ-ს ზონის არსებობა, როგორც ზემოთ ითქვა, დასაბუთებულად ვერ ჩაითვლება. ამ შრეში ქვედა აპტის მხოლოდ დევზის ზონის (კერძოდ, მისი ქვედა ნაწილის) გამოყოფა შეიძლება. გარდა ამისა, ეგზოგი-რებიანი შრე ფაციალურად უშუალოდაა დაკავშირებული ურგონულ კირქვებ-თან — იგი არსებითად უკანასკნელთა სახურავს წარმოადგენს.

მოყვანილი ფაქტიური მასალის შაფუძელზე, ძირულის მასივის აღმოსავ-ლეთ პერიფერიაზე *Colchidites securiformis*-ს ზონა (შესაძლოა *Deshayesites weissi*-ს ზონის ნაწილიც) ურგონული ფაციესის კირქვების ზედა ნაწილით უნდა იყოს წარმოდგენილი.

ამ საკითხს დასაზუსტებლად ურგონული კირქვებიდან შეგროვილი იქნა ქვის მასალა მიკროფაზნისტური კვლევისათვის. ნიმუშებიდან მიკროფაზნის ამოღება, სამწუხაროდ, არ მოხერხდა. შლიფებში მიკროფაზნის შესწავლით (ზ. იმნაძე) გამოიკვა, რომ რექვერნიებიანი კირქვების ქვედა ნაწილში უხვად მოი-პოვება *Miliolina*-ს და *Steusionina*-ს წარმომადგენლები (დამახასიათებელია ბარემისათვის), ხოლო ზედა ნაწილში კი მათთან ერთად გვხვდება მრავალკამე-ჩიანი *Anomalina* და *Globigerina* (იხ. ფონას ჭრილის ოლწერა), რომლებიც საქართველოს ბელტზე აპტზე უფრო ძველ ნალექებში, ზ. იმნაძის მიხედვით, ჯერადობით ნაპოვნი არაა.

სხვათა შორის, ურგონული კირქვების ზედა ნაწილში, ზოგიერთ ადგილას, რექვიენიების გარდა სხვა მაკროფაზნაც გვხვდება. მაგალითად, მდ. ჭერათხე-ვის მარჯვენა მხარეზე ურგონის ზედა ნაწილში ნ. ბენდუქიძისა და ჩვენ მიერ ნაპოვნი იქნა მარჯნები (ამუშავებს გ. სიხარულიძე) და მუცელოფეხიანები. უკა-ნასკნელიდან გამსაზღვრულია *Nerinea eristawii* Dvali sp. n., *Nerinella pseudobella* Dvali sp. n. და *Phaneroptyxis aliensis* Dvali sp. n. სოფ. ფონას და ცედანს მიდამოებში, ურგონული კირქვების ზედა შრეებში, გვხვდება აგრეთვე ცუდად დაცული ორსაგდულიანებიც. მ. გარენცოვი (1950, გვ. 21) მდ. ჭერათხევის მარცხენა ნაპირზე გაშიშვლებულ ურგონულ კირქვებ-ში ამონიტების ცუდად დაცული კალაპოტების და ანაბეჭდების ასებობაზე მიუთითებს (დასტები ნ, დ, ჯ), არაც მეტად საგულისხმოა, მაგრამ შემოწმებას საჭიროებს.

როგორც მოყვანილი ფაქტობრივი მასალიდან ჩანს, საკვლევ რაიონში აპტზა და ბარემს შორის საზღვრის გატარების საკითხი უშუალოდაა დაკავში-რებული კოლხიდიტებიანი შრეების სტრატიგრაფიული მდებარეობის საკით-ხონან, არმელიც ჯერ კიდევ სადაცა. არსებული მასალების საფუძველზე, ჩვე-ნი აზრით, უფრო გამართლებული ჩანს ნ. ლუპოვის (1960), ვ. დრუშჩიცის (1963, 1966) და სხვათა შეხედულება, რომლის თანახმადაც *Colchidites securiformis*-ს ზონა ზედა ბარემს უნდა მიეკუთვნოს და არა ქვედა აპტს. ამჟამად ამ აზრს, დასავლეთ საქართველოს კოლხიდიტებიანი შრე-ების სტრატიგრაფიისა და ფაზნის სპეციალური შესწავლის საფუძველზე, ე-კოტეტიშვილი და მ. კაკაბაძეც იზიარებენ.

ზედა აპტური ნალექები ქვედასაგან ლითოლოგიის საკმაოდ მკვეთრი შეც-ვლით განიჩეუა. ისინი წარმოდგენილი არიან მერგელოვანი გლაუკონიტიანი ქვიშაქვებით, ქვიშიან-მერგელოვანი კირქვებით და ქვიშიანი მერგელებით— ქვედა ნაწილში და მერგელოვანი კირქვებით, მერგელებით და თიხიანი მერგე-

ლებით — ზედაში. ქანების ფერი ცვალებადობს ღრა ნაცრისფერიდან მუქ ნაცრისფერად. გვხვდება მომწვანო-მონაცრისფრო და მოცისფრო სახესხვაობებიც. ეს ნალექები გაშიშვლებულია მდ. ორხევის, შუალელის, ცედანისწყლის და ჭერათხევის ხეობებში. ზედააპტური ნალექების ქვედა შრეები გაშიშვლებული არის აგრეთვე სოფ. ბრილის მიდამოებში და მდ. ლოპანისწყლის მარჯვენა მხარეს. ნალექების ფაციალური ცვალებადობა უმთავრესად იმითაა გამოხატული, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით ქვიშიანი მასალის მინარევი ქანებში თანდათან კლებულობს, ხოლო ნალექების სიმძლავრე კი, პორიქით, მატულობს და 35—40 მ-დან (მდ. ორხევი, შუალელე) 50—60 მ-მდე აღწევს (მდ. ჭერათხევი).

საკვლევ რაიონში გარგაზი ორ ჰორიზონტად ნაწილდება. ფაუნისტურად უფრო კარგადაა დახასიათებული ქვედა ჰორიზონტი. ასე, მაგალითად, სოფ. წიფის მიდამოებში ურგონულისზედა შრეებრივ სუსტადვიშიან კირქვებზე უშუალოდ განლაგებული მოლურჯო-ნაცრისფერი ქვიშიანთიხიანი მერგელების, კირქვან-მერგელოვანი ქვიშაქვებისა და თიხა-მერგელოვანი ქანების დასტის სულ ქვედა შრეებში თავთფეხიანებიდან ნაპოვნია *Epicheloniceras orientalis* Jac., Ep. *tschernyschewi* Sinz., Ep. *subnodosocostatum* Sinz., *Colombiceras subpeltoceroides* Sinz., *Neohibolites inflexus* Stol. სოფ. ჩუმათელეთის მიდამოებში, მიმინისლელის მარჯვენა მხარეზე გლაციონიტიანი ქვიშიანი მერგელების დასტაში (სისქ 16 მ-მდე), რომელიც აქაც უშუალოდ ბედულურ ურგონულისზედა კირქვებზეა განლაგებული, ნაპოვნია *Epicheloniceras subnodosocostatum* Sinz., *Colombiceras caucasica* Lupp., C. cf. *tobleri* Jac. et Tobl., *Tetragonites duvalianus* d'Orb. სოფ ცედანის რაიონში (დიდსერი) განსახილველი ჰორიზონტის ქვიშიან-მერგელოვანი კირქვის პირველსავე შრეში გვხვდება გვარ *Colombiceras*-ს (C. aff. *tobleri* Jac. et Tobl. და სხვ.) და გარგაზული ამონიტების სხვა წარმომადგენლები. სოფ. ბრილში, სოფ. წაბლოვანისაკენ მიმავალ გზის პირას გაშიშვლებულია მერგელოვანი ქვიშაქვები და ქვიშიან-კირქვიანი მერგელები, რომლებშიც უხვად მოიპოვება ამონიტები, ბელემნიტები, ორსაგდულიანები, მხართფეხიანები და, იშვიათად, მუცელთფეხიანები (*Solarium* sp. ind.). თავთფეხიანებიდან განსაზღვრულია *Epicheloniceras subnodosocostatum* Sinz., *Ammoniticeras pavlowi* Wass., A. cf. *ramososeptatum* Anth.; *Neohibolites aptiensis* Kil., N. *inflexus* Stol., N. *strombecki* Müll. მდ. ჭერათხევის მარჯვენა მხარეს (წრუწუნალელე), ზედააპტური ნალექების სულ ქვედა შრეებში, ნაპოვნია *Epicheloniceras martini orientalis* Jac., *Colombiceras subpeltoceroides* Sinz., C. *subtobleri* Kas., *Hamiticeras aliensis* Lobj. sp. n.

დასახელებულ უბნებში ნაპოვნი ამონიტებიდან *Epicheloniceras subnodosocostatum* Sinz., Ep. *tschernyschewi* Sinz., Ep. *martini orientalis* Jac. და *Colombiceras caucasica* Lupp. გარგაზის ქვედა ზონის სახელმძღვანელო სახეებია; დანარჩენი ფორმები კი საერთოდ გარგაზულისათვისაა დამახასიათებელი.

ამგვარად, შეიძლება დაგასკვნათ, რომ ბერელური ასაკის ურვონულის-ზედა კირქვებზე განლაგებული გლაუკონიტანი ქვიშიან-კირქვიანი და მერგლოვანი ქანების ქვედა ნაწილი შეესაბამება გარგაზის ქვედა — *Epichelonicheras subnodosocostatum*-ისა და *Epich. tschernyschewi*-ს ზონას.

აღნიშნული ზონის ნალექებს (სისქე 10—20 გ) მოჰყება ქვიშიანი და თი-ხინი მერგელები, ხომლებშიც იმკიათად მერგელოვანი კირქვების შეუძლებელი გამოიყრევა. მდ. ოჩხევის ჭრილში, ამ დასტის ქვედა ნაწილში, ნაპოვნია ზედა გარგაზისათვის დამახასიათებელი *Acanthohoplites cf. laticostatus* Sinz. (Лобжаниძე, 1964, გვ. 260), რის საფუძველზეც, აგრეთვე სტრატიგრაფიული მდებარეობითაც (სუბნოდოზოკისტატუმისა და ნოლანის ზონებს შორის), შემცველი შრეები უნდა მიეკუთვნოს გარგაზის მეორე ზონას, გამოყოფილ ჩრდილო კავკასიაში და კასპიისიქეთა მხარეში *Parahoplites melchioris*-ის, ხოლო საქართველოში კი *Colombiceras tobleri*-ს სახელწოდებით.

ეს ზონა (სისქე 25—40 გ), ჩუმათელეთ-ცივწყაროს ზოლის გარდა, ფაუნისტურად — *Colombiceras aff. tobleri* Jac. et Tobl.-სა და *Acanthochoplites aff. bigoti* Seu n.-ს საფუძველზე, გამოიყოფა აგრეთვე სოფ. ცედანის მიღმოებში და მდ. ჭერათხევის ხეობაში.

სურამის ქედის აღმოსავლეთ ფერდზე გარგაზულის მოცულობა ზემოაღნიშნული ორი ზონით უნდა განისაზღვრებოდეს. ყოველ შემთხვევაში *Acanthohoplites aschiltaensis*-ის ზონა, რომელსაც მრავალი მკვლევარი გამოჰყოფს ჩრდილო კავკასიის (Ренгартен, 1951; Луппов, 1956; Мордвинко, 1956, 1960, 1962) და კასპიისიქეთა მხარის (Луппов и др., 1960; Богданова и др., 1960; Савельев и Василенко, 1963) გარგაზულის სულ ზედა ნაწილში, ჩვენ მიერ შესწავლილ ჭრილებში არ დგინდება არც სტრატიგრაფიული მდებარეობით და არც ფაუნისტურად.

2) კლანსეფი ჰი ჰორიზონტი

სანამ უშუალოდ რაიონის კლანსეური ნალექების დახასიათებას დავიწყებდეთ, მოკლედ შევხებით კლანსეური პორტიზონტის სტრატიგრაფიული მდებარეობის ზოგად საკითხს, რომელიც გადაწყვეტილი ჭერ კიდევ არაა. ამ საკითხის შესახებ არსებულ შეხელულებათა მიმოხილვა რამდენიმე შრომაშია მოცემული (ერისთავი, 1945₁, 1962; Breistroffer, 1947; Друшциц, 1963₁, 1966; Лобжаниძე, 1964; Егоян, 1965 და სხვ.) და მისი აქ გამორჩება მიზანშეწონილი არ იქნება. იღნიშნავთ მხოლოდ, რომ დიდი ხნის მანძილზე მკვლევართა უმეტესობა (Jacob, 1905, 1907; Kilian, 1907—1913; Spath, 1923—1943; Breistroffer, 1940; Ренгартен, 1951; Луппов, 1952, 1956, 1960; Глазунова, 1953; Мордвинко, 1956, 1960, 1962; Друшциц, 1963₁, 1966; Богданова и др., 1963 და სხვ.) კლანსეურ შრეებს აღბს აკუთვნებდა. განსხვავებულ აზრს იცავდა ე. ოგი (1910, გვ. 1170, 1199), რომლის თანახმადაც კლანსეური აპტს უნდა მიეკუთვნოს. რუსი მკვლევრებიდან ამ შეხედულებას ემხრობდა.

ნენ ა. ნაცი, ი. ნიკშიჩი და ნ. ანდრუსოვი. დასავლეთ საქართველოს აპტურსა და ალბურს შორის საზღვრის გატარების საკითხში ოგის შეხედულება: სავსებით გამართლებულად მიიჩნია აგრეთვე მ. ერისთავმა (1945).

დასმული საკითხის შესახებ უკობის, კილიანის, სპეთის და სხვათა, შეხედულებას პირველ ხანებში (1940) ბრეისტროფერიც იზიარებდა, მაგრამ უფრო მოგვიანებით (1947) მან, პარიზის, ლიონის და გრენობლის მუზეუმებში არსებული კლანსეური ფაუნის მდიდარი კოლექციების დეტალური შესწავლის, აგრეთვე მრავალი ქვეყნისა და რეგიონის ალბური და აპტური ნალექების ურთიერთდამოკიდებულების ანალიზის საფუძვლზე, თავისი ადრინდელი შეხედულება უარპყო და კლანსეური პორიზონტი აპტის ზედა ქვესართულად გამოჰყო. მან უჩვენა, რომ კლანსეული ფაუნა მჭიდროდ არის დაგავშირებული გარგაზულ ფაუნასთან და ძალიან სუსტად — ზევითმდებარე ტარდეფურკატას ზონის ფაუნასთან.

ამჟამად აზრი აპტსა და ალბს შორის საზღვრის გადატანის შესახებ ტარდეფურკატას ზონის ფუქეში უკვე მიღებულია საფრანგეთის, ინგლისისა და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების წამყვანი ბიოსტრატიგრაფების მიერ (Lexique..., 1957; Arkell, Kummel, Wright, 1957, გვ. 128, 385; Casey, 1961; Colloque..., 1965). ამ ფაქტს ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან, როგორც ნ. ლუპოვი (1956, გვ. 219) აღნიშნავს, „ცარცული სისტემის ქვედა სექტიის სტრატიგრაფიული დანაწილების ძირითადი სქემა ხმელთაშუა ზღვის პროვინციის ჭრილებით არის შემუშავებული. ფაუნის, პირველ რიგში ამონიტების, განაწილება სწორედ ამ პროვინციის სტრატიგრაფიულ ჭრილში წარმოადგენს ძირითად კრიტერიუმს სართულების გამოყოფისათვის და მათ შორის საზღვრების ზუსტი გატარებისათვის. ამიტომ, საერთაშორისო სტრატიგრაფიული სკალას გავრცელება სსრ კავშირის ტერიტორიაზე განვითარებულ ნალექებზე პირველ რიგში უნდა განხორციელდეს ხმელთაშუა ზღვის პროვინციაში შემავალი ჩევნი ქვეყნის სამხრეთ ოქებზე — ყირიმი, კავკასია, კასპიისიქეთა მხარე“. მიუხედავად ამისა, საბჭოთა მკვლევრების უმრავლესობა, განსაკუთრებით კი ვ. დრუშჩიცი (1963, 1966), ქვედა ცარცის კლანსეურის აპტისადმი მიყენების წინააღმდეგია. როგორც ჩანს, ისინი უმთავრესად პრიორიტეტის წესის დარღვევას ერიდებიან, რადგანაც გარგაზული და კლანსეური ფაუნების მჭიდრო ნათესაური კავშირი არც მათში იწვევს ეჭვს. მაგალითად, ნ. ლუპოვის (1956, გვ. 224) თქმით: „თუ ამონიტური ფაუნის განვითარებილან გამოვალთ, მაშინ აპტსა და ალბს შორის საზღვრის გატარება სწორი იქნება არა იქ, სადაც ის ამჟამად არის გავლებული — *Acanthoplites nolani*-ის ზონის საგებში, არამედ ოგის შეხედულების შესაბამისად, ზევით — *Leymeriella tardefurcata*-ს ზონის საგებში, სადაც გვარი *Leymeriella*-ს ამონიტების გამოჩენა ამონიტური ფაუნის განვითარების ახალ ეტაპს აღნიშნავს“. შემდეგ თ. შოგღანოვა, ნ. ლუპოვი და ე. იახნინი (1963, გვ. 78) მიუთითებენ, რომ „აპტსა და ალბს შორის საზღვრის გადატანას *Leymeriella tardefurcata*-ს ზონის ფუქეში არსებითი პალეონტოლოგიური საფუძვლები აქვს და კარგად ეთნებება ამონიტური ფაუნის განვითარების ეტაპებს: ამ შემთხვევაში ოჯახის *Parahoplitidae*-ს განვითარება თითქმის მთლიანად დაუკავშირდებოდა აპტურ საუკუნეს, ხოლო ალბური საუკუნს დასაწყისს შეესაბამე-

ბოდა ამონიტების ახალი ჯგუფების გაჩენა, რომლებიც აპტურ დროში სრულებითაც არაა.

მეორე მხრივ, მ. ბრესტროფერისა (1947) და სხვა ფრანგი სტრატიგრაფების (Colloque, 1965) სპეციალური კვლევებით დადგნილია, რომ აღნის სტრატიგიური კლანსეური ჰორიზონტი საერთოდ არ არის წარმოდგენილი — ეს აღნის იშევება *Leymeriella tardefurcata*-ს შემცველი შერებით, რომლებშიც იშვიათად გადალექილი კლანსეური ამონიტები გვხვდება. ასე რომ, მოცემული საკითხის გადაჭრისას პრიორიტეტის წესი მხედველობაში მისაღები არაა. ყოველ შემთხვევაში, ეს საკითხი ფრანგი სტრატიგრაფების კომპეტენციაში შედის და ამიტომ მათ დასკვნებს ამ შემთხვევაში გადაწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.

იქვევა, რომ კლანსეური ჰორიზონტი უფრო უახლოვდება აპტს, ვიდრე აღნის არა მარტო ფაუნისტურად, არამედ ფაციალურადაც. დასავლეთ საქართველოში ეს შეხედულება დამახურებლად არის დასაბუთებული მ. ერისთავის (1945) მიერ. ლიტერატურული წყაროების გაცნობამ გვიჩვენა, რომ ნალექდაგროვების პირობების მიხედვით კლანსეური უფრო ახლოს დგას გარგაზულთან, ვიდრე ქვედა აღბურთან, არა მარტო საქართველოში, არამედ საბჭოთა კავშირის სამხრეთი ნაწილის აღმოჩნდით ზოლის თითქმის ყველა რეგიონში. ასე, მაგალითად, მანგიშლაკში, ა. საველიევისა და ვ. ვასილენკოს (1963, გვ. 273) მონაცემებით, ნოლანის ზონა ხშირად „აღბათ გამოვარიდნილია ჭრილებიდან“ — გადარეცხილია ტარდეფურკატას ზონის ქანების დალექვის წინ. კოპეტდალში, ნ. ლუ პოვისა და თანა ასავტორი (1960, გვ. 163—164) მიხედვით, მკვეთრი ლითოლოგიური საზღვარი ნოლანის ზონასა და მის ქვეშმდებარე ზედაპირურ შერებს შორის არაა და საზღვარი მათ შორის ძირითადად პალეონტოლოგიური მონაცემების საფუძველზე ტარდება. თანაც „ამ ზონის ფაუნის საერთო კომპლექსი ზედა აპტის ზედა ზონის ფაუნის კომპლექსი გვაგონებს“. და ეს მაშინ, როგა „*Hypacanthoplites jacobi*-ს ზონის ალევროლიტები და ქვიშაქვები ზოგჯერ თანდათან, ზოგჯერ მკვეთრად ცვლება *Leymeriella tardefurcata*-ს ზონის თიხიანი ალევროლიტების და ალევრიტული არგილიტების შრენარით“. ტუარკიში, თ. ბოგდანოვს და თანაავტორების თანახმად (1963, გვ. 84—85), კლანსეური ფაუნის შემცველი შერები „როგორც აპტური სართულის ზედა ნაწილი,... წარმოდგენილია ძირითადად მუქი ნაცრისფერი თიხიანი ალევროლიტებით“. უაკობის ზონის ნალექები ზოგან „მთლიანადა გადარეცხილი“, ზოგან კი „მხოლოდ მათი კვალი შეიმჩნევა“, მეორე მხრივ, ტარდეფურკატას ზონის ნალექები „მთელი რაიონის ფარგლებში... იშევება ღია ნაცრისფერი ან მოთეთრო დამახასიათებელი კონგლომერატით, რომელიც შედგება ფოსფატიზებული ქანების ქვარგვალებისაგან და აუცელინებისა და ამონიტების ფოსფატიზებული კალაპოტებისაგან. ეს ფენი ქვეშმდებარე ნალექებზე განლაგებულია გადარეცხვის აშკარა ნიშნებით“. ჩრდილო კავკასიაშიც კლანსეური ნალექები ლითოლოგიურად ახლოს დგას გარგაზულ წარმოხქმნებთან. ტარდეფურკატას ზონა კი ფაუნისტურად დახასიათებული არის მხოლოდ სოფაურუშას (დალესტანი) მიღამოებში, მდ. ურუპის აუზში და მდ. „ბოლშოი ზელენჩუკის“ ჭრილში (?). თანაც, ტ. მორდვილოს მონაცემებით (1962, გვ. 174), აკუ-

შას ჭრილის გარდა, „ქვედა ალბის სამივე ზონა (იგულისხმება ნოლანის, უკობის და ტარდეფურკატას ზონები — გ. ლ). კავკასიის ქედის ჩრდილო ფერდის მთელ სიგრძეზე ერთდროულად არ გაიდევნება“. მიუხედავად ამისა ტ. მორდვილკოს (1960, გვ. 74) მიერ დაღვენილია, რომ მდ. ურუპის რაიონში „კლანსეურ ნალექებსა და ტარდეფურკატიანი ქვიშავების ქვედა შრეებს შორის არის გადარეცხვის ნიშნები“. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ ჩრდილო კავკასიაში და ყირიმში კლანსეური ნალექების ურთიერთდამოკიდებულების საკითხი გარგაზულთან და ტარდეფურკატს ზონის შრეებთან დამატებით დაკვირვებებს საჭიროებს.

ქვემოთ ნაჩვენები იქნება, რომ ჩემ მიერ შესწავლილ ზოლშიც ნალუქ-დაგროვების პირობების უფრო მნიშვნელოვანი ცელილებები შესამჩნევია ტარ-დეფურკატას ზონის დასაწყისიდან და არა გარგაზულისა და კლანსეურის საზღვარზე.

ზემოთ მოყვანილი მასალის საფუძველზე ბიოსტრატიგრაფიული და გეოლოგიური თვალსაზრისით უფრო ბუნებრივია აპტისა და ალბის შორის საზღვარი გატარდეს კლანსეური ჰორიზონტის ზევით, *L. tardefurcata*-ს ზონის ფუძეში.

სურამის ქედის აღმოსავლეთ ფერდობზე კლანსეური ნალექების გამოსასვლელი გვხდება სოფ. ჩუმათელეთ-ცივწყაროს უბანზე, სოფ. ცედანის მიდამოებში და მდ. ჭერათხევის ხეობაში. ისინი ლითოლოგიურად თითქმის არ გამოიჩინება ქვეშმდებარე გარგაზული ნალექებსაგან; ჩუმათელეთ-ცივწყაროს ზოლში კლანსეური ქანები წარმოდგენილია მონაცრისფრო ქვიშიანი მერგელებით, ქვიშიან-მერგელოვანი კირქვებით და კირქვიანი ქვიშაქვებით. მათში ძალიან ხშირია მომწვანო-მუქი ფერის გლაუკონიტის მარცვლები. რამდენადმე განსხვავებული ფაციესით — მონაცრისფრო-ლია და მოთეთრო შრეებრივი მერგელოვანი კირქვებითა წარმოდგენილი კლანსეური სოფ. ცედანის მიდამოებში და სოფ. ალის რაიონში. სოფ. ცედანში ეს მერგელოვანი კირქვები საჭმაოდ მაგარია, მოყვითალო-ნაცრისფერი და ამის გამო ერთი შეხედვით ქვედაპტურ ურგონულისზედა ფიცხ კირქვებს ჰგავს. ამგვარად, დგინდება, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით (მიმართებაზე) კლანსეურ ნალექებში ტერიგენული მასალის მინარევი თანდათან კლებულობს.

აღნიშნული ნალექები (სიმძლავრე 17—25 მ) ფაუნისტურად დახასიათებულია სოფ. ალის, ცედანის და ჩუმათელეთის მიდამოებში. ცედანში, საკირელელის ხევის წყალგამყოფებზე (უმთავრესად მარჯვენა წყალგამყოფზე), კლანსეური დასტის ქვედა ნახევარში ნაპოვნია: *Acanthohoplites nolani* Seun. *Ac. multispinatus* Anth., *Epicheloniceras clansayense* Jac. c., ხოლო დაახლოებით შუა ნაწილში კი — *Hypacanthoplites anthulai* Kas. სოფ. ალის რაიონში (ფაიდალელე) მოთეთრო ფერის მერგელოვანი კირქვების ქვედა შრეებში ვიპოვნეთ *Ac. multispinatus* Anth. მდ. ორხევის ჭრილში ქვიშიანი მერგელების დასტის ისევ ქვედა ნაწილში მ. ერისთავება (1952) იპოვნა *Acanthohoplites multispinatus* Anth. და *Ac. cf. nolani* subrectangulata Sinz. მას სოფ. ალის კლანსეურ ჰორიზონტში აღნიშნული აქვს აგრეთვე *Diadochoceras cf. nodosocostatus* d'Orb.-ს და *Acanthohoplites cf. bigoureti* Seun.-ს არსებობა.

ამონიტური ფაუნის აღნიშნული სახეების საფუძველზე განსახილველ ნა-
ლექებში კლანსეურის ქვედა ზონის (ქვეზონის?) — *Acanthohoplites nolani*-ს
არსებობა დადგენილად უნდა ჩაითვალოს.

კლანსეურის მეორე — *Hypacanthoplites jacobi*-ს ზონის არსებობა
ფაუნისტურად დასაბუთებული არ არის. მიუხედავად ამისა, სტრატიგრაფიუ-
ლი მდებარეობის, აგრეთვე სოფ. ცედანის მერგელოვანი კირქვების დასტის
თითქმის შუა ნაწილში *Hypacanthoplites anthulai* Kas.-ს აღმოჩენის საფუძ-
ველზე, შეიძლება დავუშვით, რომ კლანსეური შრეების ზედა, ფაუნისტურად
დაუხასიათებელი ნაწილი ამ ზონას (ქვეზონას?) შეესაბამება.


III. ა ლ ბ ი

ალბური ნალექები სრულად მხოლოდ ფონა-ცივწყაროს ზოლში არის
წარმოდგენილი. უფრო ჩრდილო-აღმოსავლეთით ისინი გვხვდება სოფ. ცედა-
ნის და სოფ. ალის რაიონებშიც. მაგრამ ცედანის ალბური ნალექებში მნიშ-
ვნელოვანი ამპლიტუდის რღვევებია განვითარებული, ხოლო მდ. ჭერათხევის
ჭრილში კი ალბური მხოლოდ ქვედა ნაწილით არის წარმოდგენილი, ისიც
ძალიან ცუდად გაშიშვლებული. ამიტომ სტრატიგრაფიული დასკვნების გამო-
ტანისათვის ძირითადად მარტო ფონა-ცივწყაროს უბანია ვარგისი. ამ
უბანში ალბის კარგი ჭრილები გვხვდება მდ. ორხევის გასწვრივ და მის მარ-
ჯვენა შენაკად ბალათხევში (სოფ. ჩიუმთელეთის შიდამოები), მდ. შუალე-
ლის (სოფ. ბიჯნისი) და მდ. ცოცხნარისწყლის ხეობებში. ყველა ამ ჭრილ-
ში ალბური ნალექები ლითოლოგიურად მკვეთრად იყოფა ორ ნაწილად (სურ.
11). ქვედა ნაწილი წარმოდგენილია არაცხალშრებრივი ფხვიერი გლაუკონი-
ტიანი ტუფქვიშაქვებით და ქვედა ალბის შეესაბამება, ხოლო ზედა (ბევრად
უფრო სქელი) ნაწილი წარმოდგენილია თიხა-მერიგელოვანი ფაციუსით და
მოიცავს ალბის შუა და ზედა ქვესართულებს.

ქვედა ალბი

ფონა-ცივწყაროს ზოლში ქვედაალბური ნალექები წარმოდგენილია არა-
ცხადშრებრივი მუქი ნაკრისფერი (მომწვანო ელფერით?) ფხვიერი გლაუ-
კონიტიანი ტუფქვიშაქვებით (იხ. მდ. ორხევის ჭრილის მე-19 დასტ). დგინ-
დება, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით პირველადი ტუფოვენი
მასალის მინარევი თანდათან კლებულობს. ამის შედეგად, სოფ. ცედანის და
ალის მიდამოებში ქვედა ალბი უკვე თიხიან-ქვიშიანი მერგელებით და მერ-
გელოვანი თიხებით არის წარმოდგენილი, რომლებშიაც, ძირითადად მხოლოდ
ორსაგდულიანები გვხვდება.

ქვედა ალბის ზონებად დანაწილებისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა
აქვს მდ. ორხევის ჭრილს (ლობუანიძე, 1961, 1964), რომელიც შეიძლება მი-
ვიღოთ როგორც ერთ-ერთი დასაყრდენი საქართველოს ტერიტორიისათვის და
საბჭოთა კავშირის სამხრეთი ნაწილის მოსაზღვრე რეგიონებისათვისაც კი.



სურ. 11. ძირულის მასივის აღმოსავლეთ პერიფერიის ქვედაცარცული ნალექების სტრატიგრაფიული ჭრილების შედარება.

1 — გაბრო-აფიზიტლიტი; 2 — გრანიტოდები; 3 — ვულკანოგენური ქანები; 4 — ბრექჩიები; 5 — ბრექჩიულ-კონგლომერული კარქები; 6 — თიხები; 7 — დოლომიტები; 8 —

ამ ჭრილში გლაუკონიტიაზი ტუფქვიშაქვების ქვედა ნაწილში შეგროვდა მდიდარი და საკმაოდ კარგად დაცული ფაუნის კომპლექსი (იხ. ორხევის ჭრილის აღწერა, ვვ. 34), რომელიც საფუძველს იძლევა დარწმუნებით ითქვას, რომ ტუფქვიშაქვების ეს ნაწილი შეესაბამება ქვედა ალბის პირველ — L. tardefurcata-ს ზონას.

ყურადღებას იმსახურებს ამ ზონაში D. mammillatum^f Schloth.-ს, Puzosia aff. majoriana d'Orb.-ის, Beudanticeras beudantii Brongn.-ის და, განსაკუთრებით, Tetragonites timotheanus Mayot-ს არსებობა, რომლებიც უფრო ახალგაზრდა ნალექებიდან აღინიშნება.

აღნიშნული ფაუნის ალების ადგილიდან 8,5 მ მაღლა (სტრატიგრაფიულად), გლაუკონიტიაზი ტუფქვიშაქვების სულ ზედა ნაწილში, აღმოჩნდა აღნის ქვევიდან მეორე ზონის სახელმძღვანელო ამონიტი Douvilleiceras monile Sow. ზევით გლაუკონიტიაზი ტუფქვიშაქვები თიხიან-ქვიშიანი მერგელებით იცვლება. ამ ქანების საზღვარზე, მათი „ფაცისების ჭიდილის“ ზოლში D. monile-ს მდებარეობის დონიდან 0,30 — 0,50 მ-ით მაღლა, უკვე Hoplites dentatus-ის ზონის ფაუნა არის ნაპოვნი (იხ. ზემოთ, ვვ. 34). ამის საფუძველზე დგინდება, რომ გლაუკონიტიაზი ტუფქვიშაქვების ზედა ნაწილი D. monile-ს ზონას მთლიანად მოიცავს.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩუმათელეთ-ცივწყაროს ზოლში ქვედა ალბური გლაუკონიტიაზი ტუფქვიშაქვები მნიშნელოვნად უფრო ნაკლები სისქისა (10—12 მ), ვიდრე ქვეშ- და ზევითმდებარე ქვესართულების კირქვოვან-მერგელოვანი ნალექები. აქედან ჩანს, რომ გლაუკონიტი ნალექების მხოლოდ ნელი დაგროვების პირობებში წარმოქმნება.

აქვე საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ შევჩერდეთ ქვედა და შუა ალბური შორის საზღვრის გატარების საკითხების ამჟამად დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში (Breistroffer, 1947; Lexique..., 1957; Arkell, Kummel, Wright, 1957; Casey, 1961; Colloque..., 1965 და სხვ.) გავრცელებულია ალბის დანაწილების სქემა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული საზღვარი გატარებული არის Douvilleiceras mammillatum-სა და Hoplites dentatus-ის ზონებს შუა. ბოლო ხანებში ამ შეხედულებას იცავდა მ. ერისთავიც (1960, 1962). მაგრამ საბჭოთა მკვლევრების უმეტესმა ნაწილმა ალბური ნალექების დანაწილებისას საფუძვლად მიიღო სპეციალისტის (1941, ვვ. 668) სქემა (გარკვეული დამატებებით და ცვლილებებით), რომლის მიხედვითაც ქვედა ალბი მთავრდება L. tardefurcata-ს ზონით, ხოლო D. mammillatum-ის ზონა მოთავსებულია შუა ალბის ფუძეში. ამნაირად არის გატარებული, მაგალითად, საზღვარი

კირქვიანი ღოლომიტები; 9 — ღოლომიტიშებულა კირქვები; 10 — კირქვები; 11 — სუსტად-ქვიშიანი კირქვები; — მერგელოვანი გლაუკონიტიაზი ქვიშებები; 13 — ქვიშიან-მერგელებიანი კირქვები; 14 — ქვიშიანი მერგელები; 15 — კარბონატული ქვიშაქვები; 16 — გლაუკონიტიაზი ტუფქვიშაქვები; 17 — მერგელოვანი თიხები; 18 — ქვიშიან-თიხიანი მერგელები; 19 — თიხიანი მერგელები; 20 — მერგელები; 21 — მერგელოვანი კირქვები; 22 — კვარციან-გლაუკონიტიაზი ქვიშაქვები; 23 — კვარცის ქვიშები ქვიშაქვების ლინზებით.

ქვედა და შუა ალბს შორის ჩრდილო კავკასიაში (Ренгартен, 1951; Луппов, 1952; Мордвинко, 1959, 1960, 1962; Друшциц, 1960, 1966; Кудрявцев, 1960) და კასპიის ტერიტორიაზე (Глазунова, 1953; Луппов и др., 1960, Богданова и др., 1963). ჩვენი აზრით, *D. mammillatum* — ზონის მოთავსება შუა ალბის ფუძეში დასაბუთებული არ არის. ასე, მაგალითად, ტ. მორდვილოს (1960, 1962) მონაცემებით, *L. tardefurcata*-სა და *D. mammillatum*-ის ზონები ერთდროულად ჩრდილო კავკასიის არც ერთ ჭრილში არ არის დახასიათებული ფაუნისტურად *D. mammillatum*-ის ზონა დაღესტნის ტერიტორიაზე სრულიად არ არის. ციტირებული ავტორის აზრით (1962, გვ. 178) ამ ზონას კავკასიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში „შეესაბამებოდა ხარვეზი ნალექ-დაგროვებაში, რომელიც აქ მრავალ რაიონში ქვედა ალბის ბოლოს დაიწყო“. ეს ხარვეზი, როგორც ნ. ლუპოვის (1960) მონაცემებით ჩანს, აღინიშნება აგრეთვე კოპეტდალის ზოგიერთ უბნებშიც. ამ და სხვა მასალების მიხედვით, ირკვევა, რომ საბჭოთა კავშირის სამხრეთ ნაწილის ალპური ზოლის უმეტეს აუზებში *D. mammillatum*-ის ზონა ფაციალურად მჭიდროდაა დაკავშირებული *L. tardefurcata*-ს ზონასთან.

D. mammillatum-ის ზონის მოთავსება ქვედა ალბში მართლდება როგორც ნალექთადაგროვების პირობების, ისე, რაც მთავარია, ამონიტების ნათესაური ურთიერთდამოკიდებულების ხასიათის მიხედვით: *D. mammillatum*-ის ზონის ამონიტები აშკარად უფრო ახლო დგას *L. tardefurcata*-ს ზონის ამონიტებთან, ვიღრე *Hoplites dentatus*-ის ზონის ამონიტებთან. მ. ერისთავი (1964₂) იავლიდა, რომ *L. tardefurcata*-ს და *D. mammillatum*-ის ზონების ფაუნები ალპური პროვინციის ამონიტური ფაუნის განვითარების ერთ ეტაპს შეესაბამება. მაშასადამე, თუ ქვედა და შუა ალბს შორის საზღვარი *D. mammillatum*-ის ზონის საგებში გატარდება, მაშინ ეს ეტაპი შუაზე წყდება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის, აგრეთვე შესწავლილი რაიონის ფაქტური მასალის ხასიათის საფუძველზე, უფრო მართებული იქნება, თუ *Douvilleiceras mammillatum*-ის ზონას ქვედა ალბს მივაკუთვნებთ და შუა ალბს დავიწყებთ *Hoplites dentatus*-ის ზონით. ამავე დროს, ვფიქრობთ, რომ უმჯობესია ზონას ეწოდოს *D. monile*-ს და არა *D. mammillatum*-ის სახელი, ვინაიდნ უკანასკნელი ფორმა, მართალია, უფრო ფრთთ გეოგრაფიული გავრცელებით ხასიათდება, მაგრამ ხშირად გვხვდება „თავისი“ ზონის საზღვრებს გარეთაც — მისი გავრცელების ვერტიკალური სტრატიგრაფიული დიაპაზონი მოიცავს მთელ ქვედა ალბს და, ეტყობა, *H. dentatus*-ის ზონის ქვედა ნაწილსაც.

შუა და ზოდა ალბი

შუა და ზედა ალბი ერთფეროვანი თიხა-მერგელოვანი წყებით არის წარმოდგენილი. თანაც ეს წყება, უმთავრესად კი მისი შუა ნაწილი, ამონიტური ფაუნით ღარიბია. ამ გარემოების გამო შუა და ზედაალბური ნალექების ზუსტი გამიჯვნა არ მოხერხდა. ამიტომ აღნიშნულ ქვესართულებს შორის საზღვ-

რის გატარება და საერთოდ მთი დეტალური სტრატიგრაფიის საკითხები შემდგომ დამატებით კვლევებს, უმთავრესად მიკროპალეონტოლოგიურს, საჭიროებს.

შესწავლილ რაიონში შუა და ზედა ალბის ნალექები განვითარებულია სურამის უღელტეხილიდან სოფ. ცივწყარომდე (უწყვეტი ზოლის სახით) და სოფ. ცედანის მიდამოებში. ისინი წარმოდგენილი არიან მუქი ნაცრისფერი თიხიან-ქაშიანი მერგელებით და მერგელოვანი თიხებით, რომლებშიაც იშვიათად მომწვანო-მონაცრისფრო ფხვიერი გლაუკონიტიანი ტუფქვიშაქვების (2—25 სმ) და ღია ნაცრისფერი, შედარებით მაგარი, კირქვიანი მერგელების (3—5 სმ-დან 0,30—1,0 მ-მდე) შეაშრებიც გვხვდება. თვით მერგელოვან-თიხოვან ქანებში შეიმჩნევა პირველადი ვულკანოგენი მასალის მინარევი, წარმოდგენილი უმთავრესად მინდვრის შპატების მოთეთრო ფერის (მოვარდისფრო ელფერით) მარტილებით და ჩანაწინწყლებით, რომლებსაც ხშირად ქანის 20—30% უჭირავთ. მუქ ნაცრისფერ მასაში გაბნეული ამ მოთეთრო ფერის მარტილების არსებობით განსახილველი შუა და ზედაალბური თიხა-მერგელოვანი ქანები ადვილად გამოიჩევა ქვეშ-და ზევითმდებარე ნალექებისაგან.

წყების სისქე 80—110 მ-ის ფარგლებშია.

წყების დასაწყისშივე თიხიან-ქვიშიანი მერგელებისა და ქვეშმდებარე გლაუკონიტიანი ტუფქვიშაქვების „ფაციესების ჭიდილის“ ზოლში, მდ. ორხევის ჭრილში, ნაპოვნია (იხ. ზემოთ, გვ. 34) შუა ალბის ქვემოდან პირველი — *Hoplites dentatus*-ის ზონის ფაუნა. ალსანიშნავია, რომ ეს სახელმძღვანელო ამონიტი, რომელიც პ. გამყრელიძემ აღმოაჩინა ერთ-ერთ ექსკურსიაზე ყოფნის დროს, და საერთოდ *Hoplites*-ის რომელიმე სხვა წარმომადგენელი საქართველოში აქამდე ნაპოვნი არ ყოფილა.

ზონის სიმძლავრე ზუსტად არ ისაზღვრება, ვინაიდან შუა ალბის ზედა ზონა, გამოყოფილი დასავლეთ ევროპაში *Hoplites nitidus*-ის ან *Euhoplitae autus*-ის, ხოლო კავკასიაში და კასპიისიქეთა მხარეში *Anahoplites intermedius*-ის სახელწოდებით, საკვლევ რაიონში ფაუნისტურად დახსასიათებული არ არის. ასევე არ არის დასაბუთებული ფაუნისტურად აქ ზედა ალბის ქვედა — *Hystericeras orbignyi*-ს ზონის (ქვეზონის?) არსებობა. წყების შუა ნაწილის ჰერებში, რომლებიც ამ ზონებს უნდა შეესაბამებოდეს, შედარებით ფართოდა გავრცელებული მხოლოდ ორსაგდულიანები (ლიჯანიძე, 1964); გვხვდება ბელემნიტებიც.

წყების ზედა ნაწილში შეგროვილია ამონიტები *Pervinquieria cf. inflata* Sow., *P. aff. rostrata* Sow., *Hamites cf. rotundus* Sow., *H. virgulatus* Brongn., ფრეთვე ორსაგდულიანები — *Aucellina gryphaeoides* Sow., *A. cf. aptiensis* d'Orb., *Inoceramus concentricus* Park., *Pecten ninae* Kar., *Plicatula gurgitis* Pict. et Roux, რომელთა კომპლექსი ჭრილის აღნიშნულ ნაწილში ზედა ალბის შუა *Pervinquieria inflata*-ს ზონის გამოყოფის საშუალებას იძლევა.

ამრიგად, შესწავლის ახლანდელ სტადიაზე სურამის ქედის აღმოსავლეთ ფერდობის აპტური და ალბური ნალექების დანაწილების სქემა შემდგინება (იხ. ცხრილი).

აპტური და ალბური ნალექების ურთერთდამოკიდებულების საკითხი
ქვემოთ იქნება განხილული.

ცხრილი

ძირულის მასივის აღმოსავლეთ პერიფერიის აპტური და ალბური ნალექების
დანაწილების სქემა

საზოგადო ქვემო	ზონა	მოქლე ლითოლოგიური დახასიათება	ზონა	ზონა
0 2 3 6	Pervinquieria inflata ?	მუქი ნაცრისფერი თაბან-ქვიშიანი მერგელები და მერგელოვანი თიხები მომწანო-მინაცრისფერი ფხვიერი გლაუკონიტიანი ტუფ-ქვიშების (2—25 სმ) და თანაცრისფერი, შედარձით მკრივი, კირქვანი მერგელების (0,03—1,0 მ) ჭუაშრებით	80 — 110	Pervinquieria cf. inflata Sow., P. aff. rostrata Sow., Hamites cf. rotundus Sow., H. virgulatus Brongn., Aucellina gryphaeoides Sow., Inoceramus concentricus Park. და სხვ.
0 2 4 6	?			Inoceramus cf. concentricus Park., In. anglicus Woods, Aucellina aptiensis d'Orb., Neohibolites sp. და სხვ.
5 8 12 13	Hoplites dentatus			Hoplites dentatus Sow., Douvilleiceras aff. mammillatum Schloth., Kossmatella cf. agassiziana Pict., Desmoceras latidorsatum Mich., Hamites cf. tenuicostatus Spath და სხვ.
5 8 12 13	Douvilleiceras monile	მუქი მომწვანო-ნაცრისფერი არაცხალშრებრივი გლაუკონიტიანი ტუფ-ქვიშები	5—9	Douvilleiceras monile Sow., Neohibolites sp. და სხვ.
5 8 12 13	Leymeriella tardefurcata*	თიხან-ქვიშიანი მერგელები და მერგელოვანი თიხები	6 — 8	Leymeriella tardefurcata Leym., L. tardefurcata intermedia Spath, L. tardefurcata orcheviensis Lobj. sp. n., L. aff. revili Jac., L. regularis Brug., L. regularis crassa Spath, L. bogdanowitchii Gals., Douvilleiceras mammillatum Schloth., Puzosia cf. quenstedti Par. et Bon., P. aff. majoriana d'Orb., Desmoceras latidorsatum Mich., Uhligella walleranti Jac., Beudanticeras beudanti Brongn., Tetragonites timotheanus Mayor, Euphylloceras velleae Mich., Ptychoceras cf. laeve Math. და სხვ.
0 4 5 6 7 8 9 10 11 12 13	Hypacanthoplites jacobi (?)	მონაცრისფრო ქვიშიანი მერგელები, ქვიშიან-მერგელოვანი კირქვები, მერგელოვანი კირქვები, კირქვანი ქვიშაქვები	17 — 25	Hypacanthoplites anthulai Kas., Aucellina caucasica Buch.
0 4 5 6 7 8 9 10 11 12 13	Acanthohoplites nolani*			Acanthohoplites nolani Seun., Ac. multispinatus Anth., Epi-cheroniceras clansayense Jac., Diadochoceras cf. nodosocostatum d'Orb. და სხვ.

სახისურავი	კვანძის მდგრადი	ზ მ ნ ი	მოკლე ლითოლოგიური დახასიათება	სურ ნ დ ჭ ი	ფ ა უ ნ ი
1	Colombiceras tobleri	მერგელები და ქვიშან- თობიანი მერგელები მერგე- ლოვანი-კირქვების შუა- შრეებით	25 — 40	Acanthohoplites cf. laticosta- tus Sinz., Ac. aff. bigoti Seun., Colombiceras aff. tob- leri Jac. et Tobl. და სხვ.	
2	Epicheloniceras subnodosocostatum, Ep. tschernyschewi*	ღიადან მუქ ნაცრისფრა- დე მერგელოვანი გლაუკო- ნიტიანი ქვიშანები, ქვიში- ან-მერგელოვანი კირქვები, ქვიშანი მერგელები	10 — 20	Epicheloniceras martini orien- talensis Jac., Ep. tschernyschewi Sinz., Ep. subnodosocostatum Sinz., Colombiceras caucasica Lupp., C. subpeltoceroides Sinz., C. subtobleri Kas., C. cf. tobleri Jac. et Tobl., Tetragonites duvalianus d'Orb., Ammonitoceras pavlowi Wass., Ammonitoceras cf. ramososeptatum Anth., Hamiticeras alien- sis Lobj. sp. n., Neohibolites inflexus Stol. და სხვ.	
3	Dufrenoya furcata (?)	მოყვითალო და ღია მო- ნაცრისფრო ფიცხი შრე- ებრივი სუსტადქვიშანი კირქვები, ზოგჯერ გარაზ- ბული	15—20	Plicatula inflata Sow., Pan- paea cf. gurgitis Brongn. და სხვ.	
4	Deshayesites deshayesi		15—18	Ancyloceras sp., Cheloniceras sp., Neohibolites ewaldi Stromb., Aucellina aptiensis d'Orb. და სხვ.	
5	Deshayesites weissi, Procheloniceras albrechti— austriae (?)	ბრექჩიული, ზოგიც ბრექ- ჩიულ-კონკრეტული ტერული კირქვა (ეგზოგირებიანი შრე)	1,8 — 2,0	Deshayesites deshayesi Leym., D. cf. dechyi Papp, D. cf. weissi N. et Uh., Procheloniceras albrechti-austriae Hoh., Acro- ceras furcatum d'Orb., Costi- discus recticostatus d'Orb., Cheloniceras cornuelianum d'Orb., Ch. cornuelianum pygmaea Niksch., Ch. cf. seminodosum Sinz., Ancylo- ceras orbignyi Math., Pseudo- haploceras douvillei Fallot, Ptychoceras meyratii Ost. და სხვ.	

* ზონები, რომელთა დამახასიათებელი ფორმების გარკვეული ნაწილი წინა მკვლევრების მიერადაც იყო ნაპოვნი.

საკვლევი რაიონის ზედაცარცული ნალექები, ქვედაცარცულის მსგავსად, მდ. ჩხერიმელის ხეობის შესაბამისი წარმონაქმნების უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს და სურამის უღელტეხილიდან მდ. ცოცხნარისლელემდე (დაახლოებით 7,5 კმ-ზე) უწყვეტი ზოლის სახით გვხვდება. უფრო ჩრდილო-აღმოსავლეთით ისინიც მეტწილად შუამიოცენური წარმონაქმნებით არიან და ფარცული და მხოლოდ ორ აღილას — სოფ. წაბლოვანის მიღამოებში (მდ. ცედანისწყლის მარცხენა ფერდობი) და სოფ. ალთან (მდ. ჭერათხევის მარჯვენა მხარეს) შიშვლდებიან. მთელ აღნიშნულ ზოლში ზედაცარცული ნალექები მონოკლინურადაა განლაგებული (დაქანებულია სამხრეთ-აღმოსავლეთი-საკენ, 15—25°, იშვიათად 40—45°-მდეც). ისინი ყველგან განლაგებული არიან აღბურზე (გამონაკლისის წარმოადგენს სს. ცედანსა და წაბლოვანს შუა გამავალი მშრალილელის მარცხენა ფერდობის ზემო ნაწილი, სადაც სენომანი ტექტონიკურად უნდა ეხებოდეს ქვედა აპტის შრეებრივ ქვიშიას კირქვებს) და თავის მხრივ უთანხმოდ იფარება შუამიოცენური ნალექებით ან პალეოცენ-ეოცენური ქანებით (მდ. ოჩხევი, შუალელე).

პირველი ცნობები სურამის ქედის აღმოსავლეთ ფერდობის ზედა ცარცის შესახებ ჰ. აბის (1853, გვ. 136—137) მოეპოვება. მას ქედს ამ მხარეზე დათვალიერებული აქვს მდ. ჭერათხევის ჭრილი, სადაც გამოჰყოფს ზედა ცარცის სხვადასხვა ფაციესებს. მისი მონაცემებით, აქ ზედაცარცული შრეებია უშუალოდ არის განლაგებული ძველ გრანიტებზე. სათანადო აღგილას აღნიშნული გვაქვს, რომ მდ. ჭერათხევის ხეობაში პალეოზოურ ქანებზე სინამდვილეში ბარემული ნალექებია განლაგებული, რომლებსაც ზევით აპტური და ალბური აგრძელებს. ალბურს თავის მხრივ სენომანური კვარციან-გლაუკონიტიანი ქვიშაქვის მასივი შრე მოჰყვება, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ არის შემონახული ტრანსგრესიული შუა მიოცენის ქვეშ. ამგვარად, აბისმა მდ. ჭერათხევის ხეობის ბარემული, აპტური, ალბური და მიოცენის ქვეშ შემორჩენილი სენომანურის ქვედა ნაწილი მთლიანად ზედა ცარცი მიკუთვნა. ეჭვს გარეშეა, რომ მის მიერ ჭერათხევის ჭრილში გამოყოფილი „ზედაცარცული ფაციესები“ არასწორად განსაზღვრულ ფაუნაზეა დაფუძნებული. ყოველ შემთხვევაში, ზედაკანიანური Bel. mucronata d'Orb.-ის არსებობა აღნიშნულ ჭრილში სრულიად გამორიცხულია. ამ ცდაზ მონაცემებზე დაყრდნობით ჰ. აბის მიუთითებდა, რომ ძირულის მასივის აღმოსავლეთით, სურამის მიღამოებში, ცარცის მხოლოდ ზედა ქვესექცია არის წარმოდგენილი.

ე. ფავრს (1875), როგორც ჩანს, ამ ზოლის შესახებ საკუთარი დაკვირვებები არ გააჩნია და ამიტომ მხოლოდ აბისის მონაცემებს იმეორებს. უნდა ითქვას, რომ ფავრის აზრით ზედა ცარცი საქართველოში სენოხური კირქვებით არის წარმოდგენილი. აქედან გამომდინარე ეს გეოლოგი ძირულის მასივზე სენონურის ტრანსგრესიულ განლაგებას აღნიშნავს.

აქაური ზედა ცარცი რამდენადმე უფრო უკეთ შეისწავლეს ა. სოროკინ-მა და ს. სიმონოვიჩმა (1880, 1885) და ს. სიმონოვიჩმა (1892). მათ აღწერი-

ლი აქვთ მდ. ორხევის ხეობის ზედაცარცული ნალექები, რომლებშიაც გამოპყოფენ სენონურ კირქვებს და კირქვიან მერგელებს, ტურონულ მერგელებს და კირიან ფიჭლებრივ თიხებს, სენომანურ „უფაუნო“ გლაუკონიტიან ქვიშაქვებს და ქვიშიან კირქვებს. უნდა შეგნიშნოთ, რომ აღნიშნულ მკვლევრებს სენონურ ზღარბებთან ერთად შეცდომით დასახელებული აქვთ სენომანური *Inoceramus crippsi* Mant. და ტურონული *In. cuvieri* Sow., რაც არასწორადა განსაზღვრული².

ტურონული ქანები დათარიღებული აქვთ მათში *In. labiatus* Schloth.-ს პოვნის საფუძველზე, ხოლო სენომანური სართული სტრატიგრაფიული მდებარეობის მიხედვით აქვთ გამოყოფილი. სიმონოვიჩი (1892, გვ. 363) სენონურ კირქვებს აღნიშნავს მდ. ლობანისწყლის ხეობაშიც (ციფ. აპანს-თან), სადაც სინამდვილეში ცარციდან მხოლოდ ბარემული და აპტერი ნალექებია გაშიშვლებული. ირკვევა, რომ აქ მას სენონურად მიჩნეული აქვს ქვედა აპტერი ურგონულისზედა და შრეებრივი ქვიშიანი კირქვები.

ე. ფურნიემ (1896, გვ. 161—163) აბიის, სიმონოვიჩის და სოროკინის მასალას ფონასა და სურამის შორის წარმოებული თავისი დაკვირვებებიც დაუშატა და სურამის ქედის აღმოსავლეთ ფერდობზე სენომანური, ტურონული და სენონური ნალექების არსებობა ფაუნისტურად კიდევ უფრო დაასაბუთა. ფონასურამის ჭრილში (გვ. 136, ჭრ. XVII) ფურნიეს ზედაცარცულის აღნიშნული სართულები ლითოლოგიურ-ფაუნისტურ ჰორიზონტებად აქვს დანაწილებული. სახელდობრ, სენომანურში სამი ჰორიზონტია გამოყოფილი, ტურონულში—ოთხი, ხოლო სენონურში (დანიურის გამოყლებით) — ორი. ფურნიემ პირველმა იპოვნა („ფონას მთაზე“) სენომანური ამონიტური ფაუნა და ფაუნის (*Nautilus danicus*-ის და ზღარბების) პოვნის საფუძველზევე დაადგინა დანიური სართულის არსებობა „ფონას სამხრეთით“.

ამგვარად, ჩევოლუციამდელი მკვლევრების მიერ განსახილველ რაიონში ზედა ცარციდან დაღინდა სენომანის, ტურონის და სენონის (დანიურის ჩათვლით) არსებობა. მათ მონაცემებს სქემატურობის გამო დღეს მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, საკვლევი რაიონის ზედაცარცული ნალექების სიერცობრივი გავრცელება, დამოკიდებულება ქვეშ—დაზევათმდებარე წარმონაქმნებთან, სიმძლავრეები და სხვა ამგვარი არსებობა—საკითხები მათ შრომებში არ არის გაშუქებული.

აღნიშნული საკითხები სურამის რაიონისათვის შესწავლილი აქვს პ. გამყრელიძეს (1949), რომელიც ფაქტიურად ამ რაიონს სტრატიგრაფიის და ტექტონიკის პირველი მკვლევარია. უფრო ჩრდილო-აღმოსავლეთით, სოფ. წაბლივანის და ლის მიღამოებში, ზედაცარცულ ნალექებს სწავლობდნენ ნ. კანდელცი და ს. ჩიხელიძე (1948).

მდ. ჩხერიმელის ხეობაში და სურამის მიღამოებში საველე კვლევები ჩაატარა ბ. მეფერტმაც (1941). მან სიმონოვიჩის და ფურნიეს მართებული მითითებები სურამის უღელტეხილის მიღამოების გლაუკონიტიანი ქვიშაქვების და ქვეშიან-მერგელოვანი კირქვების სენომანურად დათარიღების შესახებ სა-

² ა. ცაგარელის (1954, გვ. 32) მიხედვით, სიმონოვიჩის და სოროკინის *In. crippsi* Mant.-და ეტყობა, განსაზღვრული აქვთ *In. balticus* Böhm, ხოლო *In. cuvieri* Sow.-და კი — *In. georgicus* Tsag.

ეჭვოდ მიიჩნია და ეს ნალექები უსაფუძვლოდ ქვედა ტურონს მიაკუთვნა. მისი აზრით, ჩხერიმელის ხეობაში და სურამის მიდამოებში ალბურზე უშუალოდ არის განლაგებული ტრანსგრესიული ქვედატურონული წყება. მეფერტს, აბიხის მონაცემებზე დაყრდნობით, ძირულის მასივის აღმოსავლეთ პერიფერიაზე სენომანის არსებობა მიიჩნია მხოლოდ სოფ. ალთან. მაგრამ აქაც შეცდომა არის დაშვებული — ფურნიეს „ფონას მთაზე“ აღმოჩენილი სენომანური ამონიტები შეფერტს. აბიხის მიერ ალის მიდამოებში ნაპოვნი ფაუნის სიაში აქვს შეტანილი.

საყურადღებოა, რომ მეფერტი, დასავლეთ ამიერკავკასიაში ზედაცარცულ ეპოქაში, ორ რეგიონალურ ხასიათის სტრანსგრესის უშვებდა: სენომანურს და ტურონულს. ტურონული ტრანსგრესია, მისი წარმოლდენით, სამხრეთით (სურამის რაიონი და სხვ.) ქვედა ტურონში იწყება და უფრო ჩრდილო რაიონებში („რეონის ზონისა“ და სამხრეთი ფერდის მოსაზღვრე ზოლში) მხოლოდ ზედა ტურონში აღწევს.

როგორც ცნობილია, ზედაცარცული ნალექების ზედა ნაწილის ჰუსტი სტრატიგიულისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ექინოდებს. ამ მხრივ აღსანიშნავია ი. რუხაძის შრომა (1940), რომელშიაც სურამის მიდამოებში შეგრძენილი პ. გამყრელიძის და საკუთარი კოლექციებიდან ზედასენონური ზღაპრების ათი სახეა აღწერილი. სამწუხაროდ, ავტორს მითითებული არა აქვს ფორმების, პოვნის ზუსტი აღვილი, რაც მათ სტრატიგიული მნიშვნელობას საგრძნობლად ამკირიებს.

ჩაიონის ზედაცარცული ნალექების სტრატიგრაფია, საკუთარი დაკვირვებების საფუძველზე (უმთავრესად სოფ. წაბლოვანის მიდამოებში) დააზუსტა მ. ვარენცოვმა (1950). მას აქ ფაუნისტურად დასაბუთებული აქვს სენომანური, ქვედა- და ზედა ტურონული, ქვედასენონური (სანტონ-კონიაკური), კამპანური, მასტრიხისტული და დანიური სართულების არსებობა, საერთო სიმძლავრით 450—500 მ.

უფრო მოვციანებით სურამის მიდამოებში (მდ. მდ. შუალელისა და ორ ხევის ხეობების) ზედა ცარცული დეტალურად შეისწავლა ა. ცაგარელმა (1949, 1954, 1964), რომელმაც აღწერა ქვესექციის ყველა სართული და, რაც მთავარია, სართულებში გამოკიონ ფაუნისტური ჰორიზონტები.

ზედაცარცული ნალექების დახასიათებას (უმთავრესად ლითოლოგიის თვალსაზრისით) მნიშვნელოვანი აღვილი აქვს დათმობილი აგრეთვე დ. ჭილაურის და თანააცტორების 1959 წლის ანგარიშში.

დასასრულ, აღვინშნავთ, რომ ზედაცარცული ნალექების ქვემოთ მოყვანილი აღწერა უმთავრესად პ. გამყრელიძის (1949), მ. ვარენცოვის (1950), ა. ცაგარელის (1954) მონაცემებზე და ჩვენს საკუთარ მასალებზე არის დაფუძნებული.

ჭრილების შესწავლით დგინდება, რომ საკვლევი რაიონის ჩუმათელეთობისს ზოლში ზედაცარცული ნალექები მიმართებაზე მნიშვნელოვან ფაციალურ ცვლილებებს არ განიცდის. ამიტომ მათი ხასიათის ზოგადი გაცნობისათვის ერთი აღმავალი ჭრილის მოყვანაც საკმარისი იქნება. საგრძნობლად განსხვავებული ფაციესით არის წარმოლგენილი ზედა ცარცული სოფ. წაბლოვანის მიდამოებში, რის გამოც ქვემოთ მისი ჭრილის აღწერაც არის მოკლესული.

სურამის უღელტეხილიდან სოფ. ოძისის მიღამოებამდე ზედაცარცული ნალექების ქვედა ნეწილის ყველაზე უფრო სრულყოფილი ჭრილი მდ. შუალელის გასწვრივ არის წარმოდგენილი. ამ მდინარის კალაპოტში, სოფ. ბიჯისის დასაწყისში რამდენიმე ათეულ მეტრ სიგრძეზე გამოსავალს იძლევა მუქი ნაცრისფერი (ზოგან მომწვანო ელფერით) თიხიან-ქვიშიანი მერგელების და მერგელოვანი თიხების დასტა, რომელიც ზედა ნაწილში ზედა აღბის შუაზონის სახელმძღვანელო *Pervinquieria* cf. *inflata* Sow.-s შეიცავს. დასტას, უშუალოდ (კარგად ჩანს შეხება) ადევს თავზე

1. წვრილკენიანი (1—3 მმ-დან 5—10 მმ-დე) ქვერივი კონგლომერტი, რომლის ნაგორები მასლა უმთავრესად პირფირიტული ქანებით არის წარმოდგენილი. ზევით მასალის სიმსის თანდათან კლებულობს და ზრის ზედა ნახვარი უკვე მოლურჯონ-ნაცრისფერი მსხვილ-და საშუალომარცვლოვანი ქვიშაქვით არის აგებული. შრეში ვაბოვნეთ *Mantelliceras mantelli* Sow., *Puzosia planulata* Sow., *Puzosia* sp., *Inoceramus* cf. *tenuis* Mant., *In. scalprum* Boehm. 0,30 მ.

ქედან ქვემოთ, 12 მ სიგრძეზე, ხარვეზია გაშიშვლებაში (სისქე, 3,0 მ-დე), რომლის ერთოდაც ფიქსირებულია

2. მოლურჯონ-ნაცრისფერი პსამიტური სტრუქტურის ფხვიერი გლუკონიტიანი ქვიშაქვები (კაბონატული ცემენტით) და თიხიან-ქვიშიანი მერგელები, მდიდარი ნიჟარების ნატეხებით. გლუკონიტიან ქვიშაქვებში ლინზებისა და სხვადასხვაზომის (ზოგჯერ საკმოლ დადი) ნატეხების სახით მომწვანო-მუქი მერგელები გამდება. დასტა მდიდარია ინოცერამებით, რომელთაგანაც განსაზღვრულია *Inoceramus tenuis* Mant., *In. cf. crippsi* Mant., *In. scalprum* Boehm. შრების დაჭ. 140° \angle 15°. 2,7 მ.

3. ღია მონაცისფერო საქმაოდ მკრივი კვარცინ-გლუკონიტიანი კირქვიანი ქვიშაქვები, რომლებშიაც მოთეთრო კირქვების და ქვიშიანი კირქვების ცალკეული ნატეხები და ლინზები შეიმჩნევა. ქაში მცირე რაოდენობით პირიტის ჩანაწინწკლებიც გახვდება. 3, 5 მ.

აქედან ქვემოთ, მდინარის გასწვრივ, საშუალოდ SO 120° მიმართულებით (რელიეფის დახრა 3—4°), დაახლოებით 110 მ მანძილზე ხარვეზია გაშიშვლებაში. გამოთვლით მიაღება, რომ ამ მონაცემთვე დაფარული ნალექების სისქე 20 მ-დე იქნება. უფრო ქვემოთ ზედაცარცული, სახელობრ, ზედასენომანურ-ტურონული ნალექები შედარებით კარგადა გაშიშვლებული შეუძლების მარტენა ფერდიბზე, სადაც მათში შემდეგი აღმავალი თანმიმდევრობა შეიმჩნევა:

4. სოფლის დასაწყისში, მდინარის მარცხნივ, საშუალოდ SO 120° მიმართულებით (რელიეფის დახრა 3—4°), დაახლოებით 110 მ მანძილზე ხარვეზია გაშიშვლებაში. გამოთვლით მიაღება, რომ ამ მონაცემთვე დაფარული ნალექების სისქე 20 მ-დე იქნება. უფრო ქვემოთ ზედაცარცული, სახელობრ, ზედასენომანურ-ტურონული ნალექები შედარებით კარგადა გაშიშვლებული შეუძლების მარტენა ფერდიბზე, სადაც მათში შემდეგი აღმავალი თანმიმდევრობა შეიმჩნევა:

60 მ სიგრძეზე (ზოგადად 90—1250 მიმართულებით, რელიეფის დახრა 2—40) ხარვეზია გაშიშვლებაში. 10—12 მ.

5. მდინარის კალაპოტში 25 მ სიგრძეზე გაშიშვლებულია ნაცრისფერი რბილი შრებრივი თიხიანი მერგელები და მერგელოვან-ქვიშიანი კირქვები. დაჭ. 1380, \angle 200°. 6,0 მ.

90—1050 მიმართულებით (რელიეფის დახრა 50—მდე) 45 მეტრზე ხარვეზი (სისქე 7 მ) და შემდეგ

6. მე-5 დასტას ანალოგიური ქანები ფაუნით: *Inoceramus labiatus* Schloth., *In. opalensis* Böse, *In. cf. hercynicus* Petr. 9,5 მ

115—140° მიმართულებით (მდინარის გასწვრივ) 55 მეტრზე ხარვეზი (სისქე 12 მ-დე), რომლის შემდეგაც, მარცხნა უერდობზე გამოდის

7. მოთეთრო რბილი გამოფიტული თიხოვან-მერგელოვანი ქანები, 2,5 მ ხარვეზი 13,5. მ.
8. 45 მეტრ სიგრძეზე (ფერდობზე), თათქმის შრეების დაქანების გასწვრივ, გამოდის
- ა) მოთეთრო ფერის მკვრივი კირქვა, რომელაც ცუდად დაცულ დიდი ზომის ამონიტებს შეიცავს. 0,5 მ.
- ბ) რბილი გლოუკონიტინი (?) კარბონატული თიხების და მოთეთრო სუსტალგავარ-ცებული კირქვების ოხელშრეებრივი (0,05—0,15 მ) დასტა; ზედა ნაწილში განლაგებულ კირქვის შრეში ვიპოვნეთ *Lewesiceras peramplum* Mant. 2,10 მ.
9. 60 მეტრზე ალგალაგ გამოდის მოთეთრო და მოყავისფრო-ლია ფერის რბილი (ხელს სკრის) კირქვები. დასტაში საგებადან 5-ოდე მეტრით მაღლა ნაპოვნია *Inoceramus cf. cuvieri* Sow. და ცუდად დაცული ამონიტები. უკანასკნელი დასტის ზედა ნაწილშიც მოიპოვება. 15 მ.
10. შედარებით რბილი ქვიშიან-მერგელიანი კირქვა, მერგელების უბნებით. ქვიშიანი მასალა დაშრეების გასწვრივა და თანაც სსგადასხვა რაოდენობით; ამის გამო ქანი ზოლებრივი ხასიათისაა. გვხვდება ცუდად დაცული ზღარბები. 0,90 მ.
11. მოყავისფრო-თეთრი საშუალომარცვლოვანი კირქვა, რომელშიც იშვიათად მომწვანო თიხების ციკირე ზომის უბნები შეიმჩნევა. 0,17 მ.
12. მე-10 მსგავსი ქანი, რომლის ზედა ნაწილი მოთეთრო ფერის შედარებით რბილი კირქვითა წარმოდგენილი. შეიცავს 2—3 სმ-მდე დასტრის დაუანგულ კონკრეციებს. საც. 0,70 მ. ხარვეზი (1 მ) და შემდგგ.
13. ერთგვაროვანი თეთრი შრეებრივი კირქვები. 1,5 მ.
14. შედარებით მკვრივი მოთეთრო კირქვები თიხიან-მერგელოვანი ქვიშაქვების და შერგელოვანი თიხების შუაშრეებით. კირქვებში ცუდად დაცული ზღარბები და ინკირამები გვხვდება. 4,0 მ.
15. ამის შემდეგ უშუალოდ ფერდობის ქვედა ნაწილის გასწვრივ, 1300 მიმართულებით (პორიტონტულურად) დახსლოებით 140 მეტრ სიგრძეზე ხარვეზია გაშიშვლებაში. მაგრამ აქ დაფაზული ნალექების ცალკეული ნახენები შეიმჩნევა მე-14 დასტის გამოსავლიდან ზემოთ, სოფ. ურთხვის სასაფლაომდე, რომელთა მიხედვითც ირკვევა, რომ ჭანები წარმოდგენილია თეთრი, შედარებით რბილი კირქვებით, რომლებიც პატარა ზომის წესიერ ზღარბებს შეიცავს. აღნიშვნული ქანები ფერდობის ქვემო ნაწილში (მდინარის მარცხენა მხარეს), როგორც უკვე ითქვა, დაფარულია (140 მ სიგრძეზე). ამ დაფარული მონაცემის დაახლოებით შუა აღიარებს, ნაყარში, გაპოვნეთ ამონიტის შიგა კალაბოტის ნატეხი, რომელიც ზედატურონულ *Romaniceras aff. deverianum* d'Orb.-ს უნდა ეკუთვნოდეს. 30—35 მ.
16. 1 შუალელის მარცხენა ნაპირზე, სოფ. ზეკოტის პირდაპირ გამოდის მოთეთრო და და ნაცრისფერი (მომწვანო ელფურით) ფიცხი, ყლერადი თხელშრეებრივი მიკრომარცვლოვანი მერგელოვანი კირქვები, რომლებიც მუქი ნაცრისფერი მერგელოვან-ქვიშიანი ქანების ლინზებით და ცალკეული უბნებით ხასიათდება. დასტის ზედა ნაწილი კიდევ უფრო თხელშრეებრივია და მუქი ჟვითელი და მიწითალ-ყავისფერი კაუის ლინზებს შეიცავს. ფაუნა იშვიათია, გაპოვნეთ *Inoceramus aff. stillei* Heinz, In. cf. *inconstans* Woods, In. cf. *lamarcki* Park. დაჭ. აზ. 140°. კ 13—15°. 15 მ.
- ამ დასტის ქანები აქ პატარა ბორცვს იძლევა, რომლის სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდესთან მდ. შუალელს მარცხენა მხარეს მცირეწყლიანი დელფ უერთდება.
- უფრო ქვემოთ, შუალელის გასწვრივ, ზედაცარცული ნალექები (რომლებიც დაახლოებით 800 მ სიგრძეზე განვითარებული) ძალიან ცუდად არის გაშიშვლებული.
- ჭრილის გაგრძელება შეიმჩნევა მდინარის მარცხენა წყალგამყოფზე (955,0 მ სიმაღლის ბორცვის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ მიღმოებში), სადაც ა. ცაგარლის (1954, გვ. 29—30) მონაცემებისა და ჩვენი დაცირკებების მიხედვითც ასეთი თანმიმდევრობაა: თვით 955,0 მ სიმაღლის მეონე ბორცვზე მე-16 დასტის ქანებია განვითარებული, რომლებსაც აგრძელებს
16. II ანალგიური კირქვები კაუის ლინზებით და კონკრეციებით. მათში ა. ცაგარელია იმონა *Inoceramus striato-concentricus* Gumb. ~ 10 მ.

ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით, თიკქმის შრების მიმართების გაწვრივ დახსროებით 250 მ-ზე ხარვეზია (სისქე 10—15 მ), რომლის შემდეგაც ცარცის ძველ კარიერზე გამოდის.

17. თეთრი ცარცისმაგვარი თხელშრეებრივი კირქვები სხვადასხვა ფერის კუსის კონკრეციებით და მერგლოვანი ცარცის შუაშრეებით. იშვათად გვხვდება მომწვანო თიხის შუაშრეებიც. 5 მ.

რამდენიმე მ-ნი ხარვეზის შემდეგ, კარიერიდან სოფ. ურთხვასაკენ ჩამომავალი გზის გასწვრივ შიგვლდება

18. მომწვანო-ნაცრისფერი სუსტადქვიშანი მერგლოვანი კირქვები კარბონატული თიხების შუაშრეებით. 30 მ

უფრო ქვემოთ, აღნიშნულ მიდამოებში, წყება აუღად არის გაშიშვლებული. სამა-გიეროდ, მე-18 დასტის ზევითმდებარე ნალექების სინჯრინული და ფაცისურადაც ანალოგიური ქანგბი შედარებით კარგად არის გაშიშვლებული მდ. ორხევის მარჯვენა ფერდობებზე, ე. წ. „ახოსთავის“ მიდამოებში. აქ, ყოფილი ტიპინგზის გასწვრივ, ძლე-ულისლელესა და საითხელელეს შუამდებარე მონაკვეთში ჭრილი ასეთია:

19. თითქმის შრების მიმართების გასწვრივ დახსროებით 300 მ სიგრძეზე გამოდის თეთრი და მონაცრისფრო-ლია ფერის შედარებით რბილი კირქვები შეიძინან მერგელების შუაშრეებით. მათში ა. ცაგარელმა (1954, გვ. 30) იპოვნა *Inoceramus cf. balticus* B ö h m., *In. georgicus* T s a g., *In. tenuilineatus* Hall, *In. regularis* d' O r b. ~ 60 მ.

რამდენიმე მეტრზე ხარვეზია გაშიშვლებაში და შემდეგ კი, იტრიის კარიერზე, გა-შიგვლებულია

20. მონაცრისფრო-თეთრი რბილი სქელშრეებრივი მერგლოვანი კირქვები ნაცრის-ფერი თიხიან-ქვიშიანი მერგელების შუაშრეებით, ლინზებით და ცალკეული უქნებათ. დასტის საგებში ჩანს ღია ნაცრისფერი მერგელის შრე (ხილული სისქე 0,5 მ), რომელ შაც კაბონეც *Pachydiscus cf. neubergericus* H a u e r, *Cardiotaxis heberti* C o t t. უფრო ზედა შრეებში გვხვდება ზორბები — *Coraster frechi* B ö h m., *Echinocorys ovatus* L e s k e, *Ech. edhemii* B ö h m., *Ech. perconicus* H a g., *Ech. aff. pyramidalis* Portl. და სხვ. შრეების ღაე. აზ. 100°, \angle 10—15°. ~ 25 მ.

21. კარიერის ზედა ნაწილში გაშიშვლებულია ღია ნაცრისფრი (მოყვავისფრო ელ-ფერით) თხელშრეებრივი (0,15—0,30 მ) მერგელოვანი კირქვები და ზოლებრივი კარ-ბონატული თიხები. დასტაში შეიმჩნევა აგრეთვე მოყავისფრო-ლია მაგარი მსხვილმარ-ცვლოვანი ორგანოგენული კირქვის 0,25 მ-ინი შედა. ზედა ნაწილში გამოიყოფა ბრექ-ჩიულ-კონგლომერატული კირქვები, რომლებსაც მოჰყება (კარიერის ზემოთ) მონა-ცრისფრო-თეთრი ფიცხი მიკრომარცვლოვანი კირქვები. შევაგროვეთ *Coraster sphæreiculus* S e u n., *C. vilanovaë* C o t t., *Homoeaster abichi* A n t h., *Echinocorys cf. sulcatus* G o l d f. და სხვ. ამავე დასტიდან ა. ცაგარელს (1954, გვ. 31), ზორბების გარდა დასახელებული აქტი აგრეთვე *Hercoglossa danica* S c h l o t h. ე. ფურნის ამავე შრეები-დან უნდა ჰქონდეს შეგროველი ზემოაღნიშნული დანიური ფორმებიც. 15—20 მ.

როგორც ჩანს, მე-20 და 21-ე დასტებიდან არის აღებული ი. რუხაძის (1940) მიერ და-მუშავებული ზორბების ფაუნაც.

მოყვანილი ჭრილის 1 და 2 დასტებში ნაპოვნი ფაუნის კომპლექსი ქვედა სენომანურია.

დასტა 4-ში არსებული ინოკურამები ჯერჯერობით მხოლოდ ზედა სენო-მანიდანაა აღწერილი³.

მე-6 დასტაში ნაპოვნი ფორმები ქვედა ტურონულისათვის არის დამახასი-ათებელი.

3 ფაუნის ანალიზისას უმთავრესად ვეყრდნობით ა. ცაგარლის შრომებში (1942, 1949, 1945) და „Atlas...“-ში (1959) მოყვანილ მონაცემებს.

Lewesiceras peramplum Man t.-ის ზუსტი სტრატიგრაფიული მნიშვნელობა გერ კიდევ არაა დადგენილი. გერჩერობით ფორმა მიჩნეულია ტურონული, მაგრამ აღწერილ ჭრილში იგი, ეტყობა, ქვედატურონული ნალექების ზედა ნაწილიდანაა, ვინაიდან მისი აღების ადგილიდან სტრატიგრაფიული 4 მ-ით მაღლა (მე-9 დასტის ქვედა შრეებში) ნაპოვნია *Inoceramus* cf. *cuvieri* Sow., რომელიც ჩრდილო კავკასიის და მანგიშლაკის ზედა ტურონულის სულ ქვედა ნაწილიდან, აგრეთვე გერმანიის და ინგლისის შუა ტურონიდან არის ცნობილი.

მე-16 დასტიში შეგროვილი ფაუნიდან განსაზღვრული ფორმები ზედატურონულია.

მე-19 დასტიდან განსაზღვრული ფაუნა ზოგადად კამპან-მაასტრიქტულია; მიუხედავად ამისა, დასტა კამპანურს უნდა მიეკუთვნოს, ვინაიდან მასტრიქტულისათვის დამახსასიათებულ ფორმებს ზევითმდებარე მე-20 დასტა შეიცავს.

21-ე დასტიდან დამუშავებული ფაუნა Fch. ovatus Leske-ს გამოკლებით, ხმელთაშუაზღვის ოლქის დანიური სართულისათვის არის დამახსიათებელი.

ამრიგად, ზემოაღნიშვნილი ჭრილის 1,2 დასტები და, ცხადით, მათ შუა დაფარული შრეები ქვედა სენომანურია⁴. სტრატიგრაფიული მდებარეობისა და ლითოლოგიური მსგავსების საფუძველზე, ამავე ქვესართულს უნდა მიეკუთვნოს მე-3 დასტა და ალბათ 3-სა და 4-ს შუა განლაგებული დაფარული ნალექების ქვედა ნაწილიც. უკანასკნელთა ზედა ნაწილი, დასტა 4 და შესაძლოა 4-სა და 5-ს შორის განლაგებული დაფარული შრეები ზედა სენომანს უნდა მოიცავდეს. სისქე ქვედა და ზედა სენომანური ნალექებისა 40—45 მ-მდეა.

ნალექები 5-დან 14-ის ჩათვლით და ალბათ დასტა 15-ც (ყოველ შემთხვევაში, ქვედა ნაწილი მაინც) დაცული ფაუნის მიხედვით და ლითოლოგიური მსგავსების გამო, ქვედა ტურონულია (სისქე 80—90 მ), ხოლო 15-ის ზედა ნაწილი (?) და 16—17¹ დასტები კი — ზედა ტურონული (სისქე 50—60 მ). დასტა 18 სტრატიგრაფიული მდებარეობის საფუძველზე კონიაკურ-სანტრინურს უნდა მიეკუთვნოს. ზემოთ უკვე ითქვა, რომ მე-19, მე-20 და 21-ე დასტები კამპანურად, მასტრიქტულად და დანიურად თარიღდება. სენონური ნალექების სისქე 140—200 მ-ის ფარგლებშია. ამგვარად, შუალელესა და ორხევის ხეობებში ზედაცარცულის სრული სიმძლავრე 350—400 მ-ზე ნაკლები არაა.

ჩუმათელეთ-ონისის ზოლში ზედაცარცული ნალექების ჭრილები შევისწავლეთ აგრეთვე მდ. ორხევის და ცოცხარისტყვლის გასწვრივ. ამ ჭრილებშიაც ფაუნისტურად შედარებით მდიდარია სენომანური და, ვინაიდან კვედატურონული შრეები და მნიშვნელოვნად უფრო ღრიბია ზედატურონული და სენონური ნალექები. თანაც, სენონური ქანები ლითოლოგიურადაც ერთფეროვანია, რის გამოც მათში ცალკეული სართულების მოცულობების დადგენა და, მაშასადამე, მათი ერთიმეორისაგან გამოყოფა (კარტირების თვალსაზრისით) ჯერჯერობით არ ხერხდება.

⁴ სურამის ქედის აღმისავლეთ ფერდობზე ქვედასენომანური ნალექების არსებობა აქადემიური ფაუნისტურად დაუსაბუთებული იყო.

ზედაცარცული ნალექები მდ. ორხევის გასწვრივ დაახლოებით 1,0 კმ მანძილზე არის განვითარებული — იტრიის საკირეებიდან ზემოთ ბალათხევის შესართავამდე (ორხევის მარჯვენა შენაკადი). მათგან ზედარებით კარგადაა გაშიშვლებული სენომანური და ქვედატურონული ქანები. სენომანური ნალექები წარმოდგენილია თხელშრეებრივი თიხიან-მერგელოვანი ქვიშაქვებით, ზოლებრივი გლაუკონიტიანი მერგელოვანი ქვიშაქვებით (რომლებშიც ზოგჯერ პირველადი ტუფოლევი მასალაც შეიძჩევა) და იშვიათად მკვრივი გლაუკონიტიანი ქვიშიანი კირქვებით. ქვედა ნაწილში ფიქსირებულია მოლურჯო ჭვრილი ნატეხოვანი ბრექჩიულ-კონგლომერატული ხასიათის ქვიშაქვები (პერფიტურა-გლომერატული ტუფქვიშაქვები?), რომლებშიაც ზოგან მკვრივი ჭმინდამარცვლოვანი კირქვების უბნებიც გამოიყოფა. ფაუნა იშვიათია; გვხვდება *Inoceramus tenuis* Mant., *In. cf. scalaris* Boehm. და გვარ *Puzosia*-ს ცუდად-დაცული წარმომადგენლები (ქვედა ნაწილში). შრების განლაგება ზოგადად ასეთია: დაწ. აზ. 65—105°, $\angle 20$ —30° (დაქანების აზიმუტი აღმავალ ჭრილში თანდათან კლებულობს, ხოლო კუთხე კი, ბრტყელით, — მატულობს). სენომანურის გამოსავლები მდინარის გასწვრივ 120—150 მ სიგრძეზე გვხვდება (ალბურთან შეხების ზოლი დაფარულია). მათი სისქე 40—50 მ-ს არ აღმატება. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დ. ჭილაურისა და თანავტორების მიხედვით მოცუმულ ჭრილში სენომანური ნალექების სიმძლავრე 140 მ რიგისაა. სინამდვილეში სენომანურს მათ მიერ აღწერილი „სენომანური ნალექების“ ჭრილის მხოლოდ 1—6 დასტები და დასტა 7-ის ქვედა შრები მიუქცოვნება, ხოლო 7-ის ზედა ნაწილი და დასტები 8—11 (სისქით 90—100 მ) კი მთელ ქვედა ტურონს მოიცავს.

ქვედატურონული ნალექები მდინარის გასწვრივ დაახლოებით 450 მეტრზე არის განვითარებული. ისინი წარმოდგენილია თხელშრეებრივი მონაცრისფრო ქვიშიან-თიხიანი მერგელებით, მერგელოვანი ქვიშაქვებით, ქვიშიან-მერგელოვანი თიხებით და მერგელოვან-ქვიშიანი კირქვებით. წყების ზედა ნაწილში შეიმჩნევა 1,5—2,0 მ-დე სისქეს გლაუკონიტიანი ქვიშაქვის შრე, რომელშიც მკვრივი კირქვის ცალკეული უბნებიცაა. ირკვევა, რომ აღმავალ ჭრილში ქვიშიან-მერგელოვანი მასალა თანდათან კლებულობს და შესაბამისად მატულობს კირქვოვანი მასალა. შედეგად, წყების ზედა ნაწილში ქანები უმთავრესად წარმოდგენილია ღია-მონაცრისფრო ჭმინდა-და ჭრილმარცვლოვანი კირქვებით და ქვიშიან-გლაუკონიტიანი კირქვებით. ქვიშიან-მერგელოვანი თიხები აქ მხოლოდ შუაშრეების სახით გვხვდება.

მდ. ორხევის კალაპოტში და მის მარჯვენა ფერდობზე გამავალი ყოფილი რკინიგზის გასწვრივ (ძლეულის სილის დასავლეთით) ქვედატურონული ნალექები საჭმალ მდიდარია ინოცერამებით, რომელთაგანაც უფრო ხშირია *Inoceramus labiatus* Schleth., *In. hercynicus* Petr. და *In. opalensis* Böse. შრეების განლაგების ელემენტები მეტწილად ასეთია: დაწ. აზ. 80—95°, $\angle 20$ —25°, ქვედა ტურონის სისქე ირხევის ჭრილში 100 მ-მდეა.

5 ამ მხრივ სინამდვილეს არ შეესაბამება აგრძათვე თ. შათირიშვილის (1967, სურ. 2) მონაცემებით, რომელთა თანახმად სურამელის ჭრილში სენომანურის სისქე 25 მეტრია, აღურის 29% მ (90—100 მ-ს შეადგენს), ხოლო პრტურის — 15 მ (100 მ-მდეა).

ჭედატურონული ნალექების გამოსავლების შემდეგ, მდ. ორხევის გასწრუივ დახსლოვებით 240 მ სიგრძეზე, შუამიოცენური ქვიშებია განვითარებული. უხეშლოდანი კონგლომერატის 2,5—3 მ-ანი შრით ფუქიში. ასე რომ, მოცუმულ ჭრილში ზედატურონული და სენონის ქვედა ნაწილის ნალექები შუამიოცენურითაა დაფარული. უფრო ქვემოთ (სტრატიგრაფიულად ზევით), ძლეულისლელის შესართვიდან იტრიის საკირებამდე, დაახლოებით 200 მეტრზე, გაშიშვლებულია ზედასენონური ნალექები, რომელთა აღწერა ზემოთ მოყვანილ ჭრილშია მოცემული (დასტები 19,20 და 21).

სურამის რაიონის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სოფ. წაბლოვანის მიღამოებში, ზედატურონული ნალექები მნიშვნელოვნად უფრო განსხვავებული ფაციესით არის წარმოდგენილი. აქ მათი აღმაგალი ჭრილი ასეთია:

სოფ. ცედამასა და ჭაპლოვანს შუა ჩამომავალი „შრალი დელის“ (ანუ ქოხების-ლელს) ზემო ნაწილში, კერძოდ მის კალაპოტში და მარცხნა ფერდობზე, კარგად ჩანს, რომ აღბის მუქი ნაცრისფერი და მომწვანო-მონაცრისფრო უბნებისაგან შემღვარი თინიან მერგელებზე (დაქ. აზ. 165°, გ. 50°) უშუალოდ, კუთხეური უთანხმოების რაიმე შესამჩნევი ნიშნების გარეშე, განლაგებულია

1. მომწვანო-მორუხო ფერის არაცხადშრეებრივი ქვიშაქვები შედარებით უფრო ღია კვარციან-გლაუკონიტიანი კირქვების და მერგელოვანი ქანების ლინებითა და შუაშრეებით. ქვიშაქვება ზოგან საკმაოდ მკვრივია, ზოგან კი ფხვიერი. მათში მაკროსკოპულად კარგად შეიმჩნევა მასივის პალეოზოური ქანების (ძირითადად გრანიტოდების), ბაიოსური გულფანგენების და ქვედატურცული კირქვების და მერგელების დაკუთხული, ზოგჯერ სუსტად დამუშავებული ჩანართები, ზომით რამდენიმე მმ-დან 1,0—1,5 სმ-მდე. როგორც იღნიშნულიდან ჩანს, ქანი შედგენილობით გრაუვაკულია. მასში მცირე რაოდენობით პირველადი ტუფოგენი მასალაც (?) გვხვდება. შეიმჩნევა (უმთავრესად ქვედა ნაწილში) ირიბი შრეებრივითა. ქანი ქვედა ნაწილში შედარებით წერილ-მარცვლოვანია. ზევით იკი უფრო მსხვილმარცვლოვანი ხდება და სულ ზედა ნაწილში გადასის ჯრ გრაველიტში, შემდეგ კი წერილენტიან კონგლომერატში (სისქე 6—7 მ), რომელშიაც კენჭების სიმსხო ქვევიდან ზევით თანდათან მატულობს. ცემენტი კარბონატულია. მასში უხვადა თხელი ნიჟარების ნატეხები. რომელთა რაოდენობაც ისევ ქვევიდან ზევით მატულობს. ამგვარად, აღნიშნული კონგლომერატის რეგრესულ პირობებში წარმოშობა ეჭვს არ იწვევს.

აღწერილი ქანი, როგორც უკვე თქვევა, არაცხადშრეებრივია და მისი ცალკეულ დასტებად დანაწილება, როგორც ეს მ. ვარენცოვის (1950, გვ. 30—31) და დ. გაღაურის შრომებში არის მოცემული, რამდენადმე ხელოვნური ჩანს. ფაუნა იშვიათაა; ვინოვნები *Inoceramus* cf. *tenuis* Mant. (ქვედა ნახევარში), *In.* cf. *crippsi* Mant. (მოელ სისქეზე) და *Belemnoides*-ს ცულად დაცული წარმომადგენლები. აღნიშნულია ინოცერამები და აგროვე *Neohibolites ultimus* d'Orb. (ქვედა ნაწილში) იპოვნა მ. ვარენცოვმაც. წერილში შუა ნაწილიდან დ. ჭილურის დასახელებული აქვს *Inoceramus orbicularis* No et I., *In. tenuis* Mant. *In. etheridgei* (= *scalprum* — გ. ლ.) Boehm.

აღწერილ ქანებს დელის მარცხნა ფერდობზე შრეებრივობის (დაქ. აზ. 170—180°, გ. 45—48°) გამჭრივ დაახლოებით 140 მ მონაკვეთი უკავია (რელიეფი დახრილია იმა-30 მიმტრთულებით, კუთხე საშუალოდ 6°). გამოთვლით მიიღება, რომ მათი სისქე 90—95 მ-ის რიგისა და არა 150 მ-მდე, როგორც ამას მ. ვარენცოვი აღნიშნავს.


2. მოთეთრი ფერის შედარებით ჩბილი (ხელს სვრის) შრეებრივი კირქვები მერგელოვანი ქანების უბნებით და მომწვანო და მუქი ფერის ქანების და მინერალების ჩანართებით და ჩანაწილენტელებით. წყების შუა ნაწილში იღნიშნება მერგელოვანი კირქვების თხელი შრეებიც. ზედა ნაწილში კირქვები კიდევ უფრო ჩბილია და ცარცის შუაშრეებს შეიცავს. მ. ვარენცოვი (1950, გვ. 40) ამ ზედა პორტიზონტებში აღნიშნავს ვულკანური ფერდობის არსებობასაც. ფაუნისტურად ნალექები ძალიან დარიბია. სენომანურ კონგლომერატზე უშუალოდ განლაგებულ კირქვებში, „შრალილელის“ მარცხნა

ნაპირზე (წყების სულ ქვედა შრეებში), გვხვდება ცუდად დაცული ფორმები, რომელთაგანც Inoceramus aff. labiatus Schloth. განასახლერა. სისქე 120—150 მ.

3. მოყვაისფრო-ლია მკრივი, ზოგან გაფენებული, მიკრომარცვლოვანი (ცელიტომინ-ფული) მასიური კირქვები, რომელებშიაც სოფ. წაბლოვანის ეკლესის მიდამოებში, ნ. კანდელაკის თანახმად, მარჯნები გვხვდება. კირქვები წყალშემცავია (წაბლოვანის წყარო გენეტურად შათანაა დაკავშირებული). ხილული სისქე ცირქვები მითცენითაა დაფარული) რამდენიმე ათეული მეტრია.

ზემოთ მოყვანილი მასალიდან ჩანს, რომ სოფ. წაბლოვანის მიდამოებში ფაუნისტურად მხოლოდ სენომანტრი სართული არის დახსიათებული (1). დადგენილია აგრეთვე ტურონტულის ქვედა საზღვარი. რაც შეეხება ტურონტულისზედა ჟაზღვარს, იგი პირობითად, ლითოლოგიური ნიშნის და სტრატიგრაფიული მდგრადრეობის მიხედვით, 2-სა და 3-ს შუა უნდა გატარდეს. ასევე პირობითად მასიური ჟულიტომორტფული კირქვების გაშიშვლებულ ნაწილში (3) უმთავრესად ქვედა სენონის არსებობა უნდა ვივულისხმოთ.

ზედაცარცული ნალექების მცირე ზომის იზოლირებული გამოსავალი გვხვდება აგრეთვე მდ. ჭერათხევის მარჯვენა მხარეზე. აქ, სოფ. ალის ჩრდილო კიდეში, სამანქანო გზის პირას, ჩანს, რომ ქვიშიან-ტიხიანი მერგელების და მერგელოვანი თიხების დასტაზე (ქვედა ალბი?) განლაგებულია მასიური კვარციან-გლაუკონიტიანი ქვიშაქვები (სისქე 15 მ-დე), რომლებიც კარგადგამოსახული ირიბი შრეებრივობით ხასიათდება (სურ. 12). ქვიშაქვები თავის მხრივ



სურ. 12: სენომანტრი ირიბშრეებრივი კვარციან-გლაუკონიტიანი ქვიშაქვები სოფ. ალის ჩრდილო ბოლოში.

ტრანსგრესიული ჟუამიოცენურით იფარება. ისინი მოყვითალო-მორუხო ფერისაა, ფხვიერი და საშუალომარცვლოვანი (პსამიტური და პსამიტურ-პსეფიტური). მაკროსკოპულად შეიძინევა როგორც მასივის კრიტალური ქანების, ასე ბაიოსური, შეცვლილი პროფირიტების და ქვედაცარცული კირქვების მარ-

ცვლების და ნატეხების არსებობა. ცემენტი უმთავრესად კარბონატით არის. წარმოდგენილი. მასში ნიჟარების ნაშავრევი მასალაც შეიმჩნევა.

დ. ჭილურისა და თანაავტორების მონაცემებით, ქვიშაქვების ქვედა ნაწილში გამოიყოფა 4—6 მ სისქის არაცხადშრებრივი ქანები, წარმოდგენილი მიკროკონგლომერატებით და ჰიდროთერმალურად შეცვლილი (გაცეოლი-ტებული, გაკალციტებული, გაქლორიტებული) აგლომერატული ტუფებით. ეს მითითება, რომელიც შემდგომ შემოწმებას მოითხოვს, ძალიან საგულის-ხმოა.

აღნიშნული სუსტადგლაუკონიტიანი კვარციანი ქვიშაქვები ფაუნისტურად დახასიათებული არა, მაგრამ მათი სტრატიგირაფიული მდებარეობა და, რაც მთავარია, წაბლოვანის მიდამოების ანალოგიურ წარმონაქმნებთან შედარება საშუალებას იძლევა ითვას, რომ ისინი სენომანურია. აქვე უნდა ითვას, რომ სოფ. ალის და წაბლოვანის მიდამოების კვარციან-გლაუკონიტიანი ქვიშაქვები აღრე ალბურად იყო მიჩნეული და სენომანურს პირველად მ. ვარენ-ცოვმა (1950) მიაკუთვნა.


მოკლედ შევეხებით სენომანურის ალბურთან ურთიერთობის საკითხს, რომელიც ჭერ კიდევ სადისკუსიოა. მყვლევაზეთა ერთი ნაწილის აზრით, სურამის რაიონში სენომანი ალბზე ტრანსგრესიულად, უთანხმოდ არის განლაგებული, ხოლო მეორე ნაწილის შეხედულებით კი — თანხმობით.

როგორც ზემოთ აღწერილი მასალებიდან, ირკვევა, ძირულის მასივის აღმოსავლეთ პერიფერიის ჩუმათელეთ-ობისის ზოლში, სენომანურის ალბურთან დამოკიდებულება კარგად ჩანს მდ. შუალელის ჭრილში, სადაც ზედა ალბის თიხა-მერგელებზე უშუალოდ არის განლაგებული 0,3 მ სისქის წვრილ-კენტიანი კრონფლომერატი, რომელიც ქვედას ერთმანეთში ფაუნას შეიცავს. ამ კონგლომერატის არსებობა და მისი სასიათი (ცენტრული სისტემა შევეღიან ზევით თანაბათან კლაშულობს). სენომანურის ტრანსგრესიის სასარგებლოდ შეტყველებს უთუთდ.

სოფ. წაბლოვანის მიდამოებში, მ. ვარენცოვის (1950, გვ. 31) თანხმად, სენომანური ნალექები „უთანხმოდ არის განლაგებული უფრო ძველ ჰორიზონ-ტებზე, ნეოკომამდე და შუალურულ პორფირიტებამდე“. უნდა შევნიშნოთ, რომ ციტირებული მთითოება აღნიშნული უმაღლეს გეოლოგიური ავტოლების არასრულყოფილ მთხაცემებზეა დაფუძნებული; ამ მიდამოებში, სახელმისამართო მშრალილელის მრტვენა ფერდობის ზემო ნაწილში სენომანურ ქანები, ნამდვილად ეხება ქვედა პტიის შერებრივ ქვიშიან კრატებს, მაგრამ ირკვევა, რომ ეს შეხება ტექტონიკური ხასიათისაა (სურ. 13) და არა სტრატიგიური ფორმი. აქ სენომანის ნორმსლური შეხება ქვეშილებარე ნალექებთან ჩანს მშოლოდ ღელის კალაპოტში და მარცხენა ფერდობის ქვეში ნაწილში, სადაც იგი უშუალოდ ალბურზეა განლაგებული. აღნიშნულ საზოგადოებს შორის უთანხმოების რაიმე უტყუარი ნიშანი ფიქსირებული არა, მაგრამ ალბური თიხა-მერგელების უკარი შეცვლა სენომანის მასიური კვარციან ქვიშაქვებით, რომლებიც პალეოზოური კრისტალური ქანების, ბათოსური ვულკანოგენების და ქვედაცარ-ცულ კირქვების მასალის შემცველობით ხასიათდება, საშუალებას იძლევა ითვას, რომ სენომანი აქაც ტრანსგრესიულია.

კიდევ უფრო ნათელი სურათია მდ. ჭერათხევის ხეობაში, სოფ. ალის ჩრდილო ბოლოსთან, სადაც დ. ჭილურის მონაცემებით სენომანური „ტრანს-გრესიულად, კუთხური უთანხმოებით“ არის განლაგებული ალბურზე. აღნიშ-

ნული მითითება უშუალო დაკვირვების შედეგი არ უნდა იყოს (აյ ალბური თიხა-მერგელებისა და სენომანური ქვიშაქვების შეხების ზოლი უკანასკნელთა ნაყარით არის დაფარული), მაგრამ ამ უბანზე სენომანურის ტრანსგრესიული ზესიათი მართლაც საეჭვო არაა, ვინაიდან მის ქვეშ ალბურიდან მხოლოდ ქვე-და ქვესართულია შემორჩენილი (ზედა და შუა ალბური გადარეცხილია) (სურ. 14).




სურ. 13 „მშრალილელის“ სათავეების გეოლო-
გიური აგებულების სქემა (სოფ. წაბლოვანის დასავ-
ლეთი მიდამოები).

1 — ბაიოსური; 2 — ბარემული; 3 — ქვედააპ-
ტური; 4 — ალბური; 5 — სენომანური; 6 — ტრა-
ნსგრესიული; 7 — შუამიოცენური; 8 — ნასხლეტი.

ამრიგად, ჩვენი დაკვირვებებით მართებული ჩანს პ. გამყრელიძის (1949), მ. ვარენცოვის (1950) და დ. ჯილაურის შეხედულება, რომელთა თანახმადაც ძი-
რულის მასივის აღმოსაფერო პერიფერიაზე სენომანური ალბურზე განლაგებუ-
ლია ტრანსგრესიულია.


დასასრულ, საჭიროა აღინიშნოს, რომ ზემოაღწერილი ლიასური, შუა-
ურული და ცარცული წარმონაქმნები სტრუქტურულად მხოლოდ სამხრეთ-
სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ დაქანებულ მონკულინს აგებს, რომელშიც იურუ-
ლი შრეები ბევრად უფრო დიდი კუთხით საშუალოდ. $35-45^{\circ}$ არის და-
ქანებული, ვიდრე ცარცული ($15-25^{\circ}$). კუთხეურ უთანხმოებას ქვედაცარცულ
კირქვებსა და ბაიოსურ პორფირიტულ სერიას აღნიშნავენ ქართლის
დეპრესიაშიც (გორის საყრდენი ჭაბურლილი). მოვლენის ახსნის მიზნით უნდა
ვივარაუდოთ, რომ საქართველოს ბელტის კრისტალური სუბსტრატი ცარცულ
პერიოდში ბევრად უფრო სუსტად ახდენდა რეაგირებას დამნაოჭებელ მოძრა-

228. მიხევი, გურჯა




სურ. 14 ძირულის მასივის აღმოსავლეთ პერიფერიის ზედაცარცული ნალექების სტრატიგრაფიული კრიოლების შედარება.

1 — თიხიან-ქვიშიანი მერგელები; 2 — თიხიანი მერგელები; 3 — მერგელოვანი თიხები; 4 — გლაუკონიტიანი ტუფქვიშაქვები; 5 — გლაუკონიტიანი ქვიშაქვები; 6 — გლაუკონიტიანი მერგელოვანი ქვიშაქვები; 7 — კვარციან-გლაუკონიტიანი კირქვიანი ქვიშაქვები; 8 — გლაუკონიტიანი ქვიშიანი კირქვები; 9 — მერგელოვანი ქვიშაქვები; 10 — ქვიშიან-მერგელოვანი თიხები; 11 — თიხიან-ქვიშიანი კირქვები; 12 — გლაუკონიტიანი კირქვები; 13 — ცარცისმაგვარი კირქვები; 14 — მერგელოვანი კირქვები; 15 — კირქვები; 16 — სქელმრებებრივი მარგნიანი კირქვები; 17 — მერგელები; 18 — თიხები; 19 — გრაველიტი; 20 — კონგლომერატები; 21 — კვარცის ქვაშები; 22 — კარის ლინზები.



სურ. 15. ძირულის მასივის აღმოსავლეთ პერიფერიის სქემატური გეოლოგიური რუკა.

1—შეოთხეული. ალევიური ნალექები; 2—ქვედა შუა სარმატი. ძირითადად ქვაშექვები; 3—ჩოქაი, კარაგანი კონკი. ძირითადად კვარცის ქვაშები; 4—შეა მიოცენი. ნაბატერების ქვაშექვები; 5—ორიოლური და ქვედა მიოცენი. მაიკოპური სერია. ძირითადად თახები; 6—ზედა ეოცენი. მერგელოგინი თიხები, იშვაად ქვაშექვები; 7—ბალოცენი და ეოცენი. მერგელოგი, მერგელოგანი თიხები; 8—სერინი. იშვაები, მერგელები; 9—ტურონი. თიხიანი შერგელები, კირქვები კარის ლინზებით; 10—სერინი. კვარციან-გლაუკორინ ქვაშექვები და კირქვები იშვაად ტურებულებულები; 11—ალბი. გლაუკორინი ტურებულებულები, თიხიანი შერგელები; 12—ზედა ატრი. ძირითადად შერგელები და მერგელოგან-გლაუკორინი ქვაშექვები; 13—ქვედა აპტი. თხელებრებრიერი სერტაქებისანი კირქვები 14—ბაზამი. ურგონული კირქვები დოლომიტიზებული კირქვები; 15—ბაზამი. პორფირიტები და მარი. პიროკლასტები, ორთოფიტები; 16—შეა და ზედა ლიასი, ალიოლიტები, თიხიანი შერგელები, ქვაშექვები, იშვაად ზოოგენური კირქვები; 17—ლიასი. კვარციანი ქვაშექვები, კვარციტები, კონგლომერატები; 18—კამბრიული. მეტამორფული ფიქლები შარმარილობის ლინზებით; 19—კამბრიული და ქვედა ბალონიური. კრისტალური ფიქლები და გრანიტების ინტერიერი; 20—შეა იურა. ხევის გრანიტორიტული ინტერიერი; 21—ზედა ლიასი (?) და შეა იურა. კვარციანი ალბიტოლიტები. კარტიკორფულები და კარტიკიანი ინტერიტული ფიქლები; 22—ლიასის შერგელული ლიასურ ნალექები; 23—ბირულისტული ჭანის შეგრძერები (?) ლიასურ ნალექები; 24—პალიოზური დიორიტები; 25—პალიოზოური. გარმატებები; 26—შეა პალიოზოური ალიტები და მიკროგრანიტები; 27—შეა ბალონიური გრანიტოლიტები; 28—პალეოზოური სერპენტინიტები; 29—პალეოზოური გაბრი-მფილიტები; 30—ბარმარილობი; 31—კვარციტები; 32—ტრასგრუსული წყების ღურმა; 33—ანტიკლინის ღურმა; 34—სინკლინის ღურმა; 35—შეცოლება; 36—ნასხელება.



სურ. 15. ძირულის მასივის აღმოსავლეთ პერიფერიის სქემატური გეოლოგიური რუკა.

1—მეოთხეული. ოლევიური ნალექები; 2—ქვედად შუა სარმატი; 3—ჩიკრავი, კარაგანი, კონკი. ძირითადად კვარცის ქვაშები; 4—შუა მოოცენი. ნაბახტევის ქვაშეები; 5—ოლევიური და ქვედა მიოცენი. მაიამიური სერია. ძირითადად თხები; 6—ზედა კოცენი. მერგელოვანი თიხები. შენიათა და ქვაშეები; 7—აალევიური და კოცენი. მერგელები, მერგელოვანი თხები; 8—სენინი. კირქვები, მერგელები; 9—ტურონი. თხიანი მერგელები, კირქვები კაუსი ლინიებთ; 10—სენომანი. კვარციულ-გლაუკოტიანი ქვაშეები და კირქვები, იშვათად ტუფქვაშეები; 11—ალბი. გლაუკონიტიანი ტუფქვაშეები, თხიანი მერგელები; 12—ზედა აპრი. ძირითადად მერგელები და მერგელოვან-გლაუკონიტიანი ქვაშეები; 13—ზედა აპრი. თელლევებრივი სუსტარევებიანი კირქვები 14—ბარები. ურგანული კირქვები ლილომიტიზებული კირქვები; 15—ბაიოსი. პორფირიტები და მთი პირკლასტები, ინთოფირები; 16—შუა ზედა ლიანი, არგალიტები, თხიანი მერგელები, ქვაშეები, იშვათად ზორგუნული კირქვები; 17—ლასა. კვარცინი ქვაშეები, კვარციტები, კანკლოლიტები; 18—კაბრილული. მეტამორფული ფარები, მარმარილობების ლინზებით; 19—კაბრილულმდელი (?) და ქვედა ბალეოზოური. კრისტალური ფარები და გნესისები გრანიტოლების ინტერიერით; 20—შუა იურა. ხევის გრანიტოლებისტული ინტრუზიები; 21—ზედა ლიანი (?) და შუა იურა. კვარცინი ალმიტოფირები. კვარციკრაფტები, კვარცინი ინთოფირები და კერატოფირები; 22—ღიაბაზის შრემაღლები ლიასტრ ნალექებში; 23—პორფირიტული ქინის შრემაღლები (?) ლიასტრ ნალექებში; 24—პალეოზერი. ლიასტრიტები; 25—პალეოზოური. გაბროიტებები; 26—შუა. პალეოზოური ალიტები და მიეროგრანიტები; 27—შუა პალეოზოური გრანიტოლები; 28—პალეოზოური ლერენტიტები; 29—პალეოზოური გაბრო-მიფიზოლიტები; 30—მარმარილობების; 31—კვარციტები; 32—ტრასგრესიული ჭყების ფურცელები; 33—ანტილინის ლერძით; 34—სინკლინის ლერძით; 35—შეცოცება და შესხეული; 36—ნასკლეტები.

ობებზე, უიდრუ ქვედა—და შუაიურულ დროში. ჩატ შეეხება მასივის ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიის (ხრეითის ქვეზონის სამხრეთი ნაწილის) იმ უბანს, რომელსაც შესწავლილი რაიონი მოიცავს, აյ ლიასური და ბაიოსური წარმონაქმნები აგებს კავკასიური მიმართების მქონე საკმაოდ ინტენსიურად შეკუმშულ სინკლინს, რომელიც ჩრდილოეთისაკენ არის გადახრილი.

СТРАТИГРАФИЯ МЕЗОЗОЙСКИХ ОТЛОЖЕНИЙ ВОСТОЧНОЙ ПЕРИФЕРИИ ДЗИРУЛЬСКОГО МАССИВА

Резюме

Исследованный район расположен на восточном склоне Сурамского хребта, охватывая бассейны рек Орхеви, Шуагеле, Цеданисцкали, Чератхеви, а также нижние течения рек Лопанисцкали и Проне-западная.

По современной схеме геотектонического районирования Грузии, составленной П. Д. Гамкрелидзе (1964, 1965), основная часть района расположена в тектонической полосе Дзирульской зоны поднятия и зоны восточного погружения Грузинской глыбы. Северо-восточная периферийная часть относится к Хрейтской подзоне Окриба-Хрейтской зоны поднятия, которая ограничивает вышеупомянутые зоны с севера и по своей тектонической природе и истории геологического развития является переходной между Грузинской глыбой и складчатой системой Южного склона Большого Кавказа. К югу район непосредственно примыкает к Аджаро-Триалетской складчатой системе.

Нижняя юра

Нижнеюрские отложения на восточной периферии массива распространены в междуречье Орхеви и Шуагеле, а также в балке Хевагеле, а на северо-восточной периферии прослеживаются непрерывной полосой.

В междуречье Орхеви и Шуагеле лейас трансгрессивно залегает на палеозойских гранитоидах и начинается крупногалечными конгломератами изменчивой мощности (3—15 м). Выше конгломераты сменяются кварцевыми, полевошпатово-кварцевыми, слюдисто-кварцевыми и кварцитовидными песчаниками. На водоразделе рек Шуагеле и Орхеви, где мощность лейасских отложений достигает 300 м, в верхах толщи встречаются и сланцеватые аргиллиты.

Одни авторы (Кахадзе, 1947; Нуцубидзе, 1964) толщу конгломератов и кварцевых песчаников рассматривают как базальные образования среднего лейаса, а другие относят их к нижнему лейасу (Гамкрелидзе, 1949 и др.). В аналогичных кварцево-слюдистых песчаниках южной периферии массива за последнее время фаунистически было доказано наличие синемюрского яруса (Топчишвили, 1965, 1969). Вместе с тем, на северо-восточной периферии массива базальные образования фаунистически охарактеризованного среднего лейаса имеют гораздо меньшую мощность (15—25 м).

Исходя из вышеизложенного, присутствие нижнего лейаса в конгломератах и песчаниках междуречья Орхеви и Шуагеле следует считать вполне логичным. Верхняя часть толщи, очевидно, охватывает средний лейас и, возможно, тоар.

Нижнеюрские отложения северо-восточной периферии массива, в отличие от остальных периферий, характеризуются постепенным переходом в вулканогенные образования байоса, более глубоководной фацией и отсутствием нижнего лейаса. В ущелье р. Чератхеви и западнее лейасовые отложения налегают на гранитоиды массива и начинаются неяснослоистыми кварцево-аркозовыми песчаниками (15—25 м), являющимися типичными базальными образованиями. Выше они сменяются довольно мощной (300—450 м) и однообразной свитой сланцеватых мергелистых известняков, мергелей, мергелистых глин и аргиллитов. В верхней части свиты в виде прослоев встречаются мелкозернистые песчаники, количество которых в восходящем разрезе постепенно увеличивается. В междуречье Чератхеви и Лопанисцкали кварцево-аркозовые песчаники и низы глинисто-мергелистой свиты фациально замешаются сероватыми и красноватыми известняками (мощность до 35 м), лежащими с гранитным конгломератом (0,5—1,0 м) в основании непосредственно на массиве. В ущелье р. Лопанисцкали в контакте массива с глинисто-мергелистой свитой внедрена дайка кварцевого ортофира мощностью 70 м. Еще восточнее, на правом склоне ущелья р. Пронезападная глинисто-мергелистые породы с конгломератом в основании непосредственно залегают на Чорчано-Уцлевской филлитовой толще кембрия.

По возрасту рассматриваемые отложения охватывают домерский подъярус среднего лейаса и весь верхний лейас. Домеру соответствуют нижняя часть глинисто-мергелистой свиты (60—90 м) с аммонитами *Amaltheus margaritatus* Montf. и кварцево-аркозовые песчаники (базальная формация). Тоарские отложения, мощностью 100—150 м, установлены находкой верхнептоарского *Grammyseras thquarsense* d'Orb. Верхняя часть свиты (80—110 м) по стратиграфическому расположению условно относится к верхам тоара и ааленскому ярусу. Обе границы аалена условны и требуют уточнения, особенно верхняя, что имеет большое значение для решения общего дискуссионного вопроса о проведении границы между нижней и средней юрой. В этом отношении северо-восточная периферия Дзирульского массива является одной из наиболее интересных на территории Грузии.

Примерно в среднюю часть тоарских и ааленских отложений внедрена пластообразная жила диабаз-порfirита (мощность от нескольких метров до 100—130 м), по-видимому, байосского возраста. В ущелье р. Лопанисцкали на 80—100 м ниже (стратиграфически) от этой жилы, в низах тоарских образований, обнажается другое линзообразное тело темно-серой порfirитовой породы (мощность до 60 м) с включениями домерских красных известняков. В верхней приконтактовой части последней, среди аргиллитов и мергелистых глин встречаются прослои алевритово-песчаниковых туфов.

Местами глыбы лейасских красных известняков и кварцевых песчаников встречаются среди моноклинально падающих вулканогенных образований байоса. Полевыми наблюдениями установлено, что упомянутые глыбы и обломки по характеру залегания представляют собой «ксенолитовые» включения в туфобрекциях и туфах (Лобжанидзе, 1965), поэтому их следует рассматривать частично как продукт обрушения и

сползания лейасских коренных пород в байосский бассейн, частично, как выбросы вулканов.

Средняя юра

